საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
27 სექტემბერი – 3 ოქტომბერი, 2017
№35 (411)
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

5 -  =41

## ნაცებს მინუს ცოცხი უდრის «ოცნებას» 3

## «მიზანი იყო, ტახტზე აეყვანათ ან ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი, ან ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი პეტრე» 2

„მეუფე დიმიტრის მაინც ვერ დაიჭერდნენ უხმაუროდ. ყველამ იცის, რომ ის ერთ-ერთი დამნაშავეა, თავის რაიონში ჩასვლაც აუკრძალეს, ხევში არ უშვებენ“

„ლიბერალები ორივე მიტროპოლიტისგან ელოდებიან, რომ, ტახტზე ასვლის შემთხვევაში, სააკაშვილს უკან დააბრუნებენ“



# ქაჯები 5

## 4 «სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას იმ პიროვნების მიმართ, რომელმაც საქართველოს მტრებს ქართული პასპორტები დაურიგა»

## «ილია ჭავჭავაძე ხომ ნამდვილი ქართველი და ერის მამაა, მისი ძეგლი რატომ გდია ბორჯომის ნაგავსაყრელზე?!» 9

«ილიას ძეგლს ტანს ედავებიან, – ძერჟინსკისააო. როდის ეცვა ძერჟინსკის კრაველის საყელოიანი პალტო?! ან ძეგლის თითები ვისია, რა, დნმ-ის ანალიზი ჩაუტარეთ?!»



ილიას ძეგლი ბორჯომში

## «30 წელიწადში იმერეთი, შესაძლოა, მოსახლეობისგან დაიცალოს, ანალოგიური ბედი ელის სამეგრელოს» 16



25 წელიწადში საქართველოში 223 სოფელი გაუკაცრიელდა

## «დასავლეთის ფრონტზე ცვლილებებია» 10

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მეუფე დიმიტრის მაინც ვერ დაიჭერდნენ უხმაუროდ. ყველამ იცის, რომ ის ერთ-ერთი დამნაშავეა, თავის რაიონში ჩასვლაც აუკრძალეს, ხევში არ უშვებენ“.



ნიკოლოზ მჟავანაძე:

# მიზანი იყო, ტახტზე აეყვანათ ან ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი, ან ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი პეტრე

## ლიბერალები ორივე მიტროპოლიტისგან ელოდებიან, რომ, ტახტზე ასვლის შემთხვევაში, სააკაშვილს უკან დააბრუნებენ

**პატრიარქის მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილი დეკანოზი გიორგი მამალაძე სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას შორენა თეთრუაშვილის განზრახ მკვლელობის მომზადებისა და იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვის ცხრაწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.**
**თავდაპირველად გიორგი მამალაძეს ბრალდება წარდგენილი ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსის 18,109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მომზადება ანგარებით) და 236-ე მუხლის მეორე ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა). თბილისის საქალაქო სასამართლომ გადააკვალიფიცირა გიორგი მამალაძისთვის წარდგენილი ბრალდება და იგი დამნაშავედ ცნო განზრახ მკვლელობის მომზადებაში, სსკ-ის 18,108-ე მუხლით.**

**დეკანოზი გიორგი მამალაძე 2017 წლის 10 თებერვალს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. ინფორმაცია ამის თაობაზე პროკურატურამ 13 თებერვალს გაავრცელა. მას პატრიარქის მდივან-რეფერენტ შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მომზადება ედება ბრალად. შორენა თეთრუაშვილი, ილია მეორესთან ერთად, აღნიშნულ პერიოდში ბერლინში იმყოფებოდა, სადაც პატრიარქი მკურნალობდა.**

**დამნაშავე დასჯილია და თითქოს კითხვის ნიშნებიც არარ არსებობს, მაგრამ საზოგადოებისთვის საეჭვო რჩება ის გარემოება, რომ მთელ ამ სკანდალურ და ხმაურიან საქმეში მხოლოდ ერთი დეკანოზია დამნაშავე და დასჯილი, რომ მხოლოდ ერთმა კაცმა დაგეგმა დანაშაული და შესრულებაც გადაწყვიტა... ვინ არის რეალურად პატრიარქისა და საპატრიარქოს წინააღმდეგი? ამ საკითხზე ადამიანის უფლებათა დამცველი ნიკოლოზ მჟავანაძე გვესაუბრება.**

**— დეკანოზ გიორგი მამალაძეს 9 წლით აღუკვეთეს თავისუფლება, თუმცა საქმე კვლავ ძიებაშია... ნუთუ მარტო მოქმედებდა დეკანოზი?**

— ხელისუფლებაში სააკაშვილის გუნდი რომ იყოს, მამალაძეს წამებით აღიარებინებდნენ ყველაფერს, მაგრამ ის რეჟიმი აღარ არის და დეკანოზიც მალავს მთავარ ინფორმაციას, როგორც ჩანს, ჰპირდებიან, რომ ციხიდან გამოიყვანენ, პრეზიდენტი შეიწყალებს ან რამე მსგავსი მოხდება. ფაქტია, მკვლელობის დამკვეთები გარეთ არიან... გიორგი მამალაძე, ალბათ, მალე მიხვდება, რომ მოატყუეს და ალაპარაკდება, იტყვის, რა და როგორ იყო. გამოძიებამაც უნდა დააჩქაროს პროცესი. მათი ვალია, დროულად გამოააშკარავონ დამკვეთები.

როდესაც ეს ამბავი მოხდა, მაშინვე ვამბობდი, რომ ნაციონალების კვალი და ხელწერა იკვეთებოდა. **პატრიარქის წინააღმდეგ რაც ხდება, ყველაფერი სააკაშვილის დაკვეთაა.** გახსოვთ, ალბათ, როდესაც ის ხელისუფლებაში მოვიდა, საჩუქრად გადასცა ეკლესიას „პრადოები“ და ჯიპები... ამით სურდა, ჯიბეში ჩაესვა ეკლესია, მაგრამ ასე არ მოხდა. მეტიც, 2012 წელს საპატრიარქომ მხარი არ დაუჭირა სააკაშვილს, რაც მან და მისმა მხარდამჭერებმა არ აპატიეს პატრიარქს. თუ ჩემი არ გჯერათ, **გადახედეთ, ვინ უჭერს მხარს დეკანოზ მამალაძეს — „რუსთავი 2“, „ნაცმოძრაობა“ და მისი განშტოებები, მყრალი დედაკაცი ელისო კილაძე, ვითომ ექსპერტები და ა.შ.** მათ სურთ, წამებულის მანტია მოარგონ მამალაძეს და უტევენ ეკლესიას.

გიორგი მამალაძის ადვოკატები არიან **მეუფე დიმიტრისა** და **სოსო ოხანაშვილის** ადვოკატები, რომლებიც ცდილობენ, ბრალდებულმა სიმართლე არ ილაპარაკოს, რადგან, თუ ის ხმას ამოიღებს, საპროცესო შეთანხმებით გათავისუფლდება. გამოძიება გრძელდება, მაგრამ აქამდე ვერ დაადგინეს ბევრი რამ და ამიტომ დამნაშავე არ უნდა მისცენ პასუხისგებაში? მამალაძეს კონკრეტული დანაშაულისთვის გამოუტანეს 9-წლიანი სასჯელი, მაგრამ გამოძიება სხვა მიმართულებითაც მიმდინარეობს. რაც ხელთ ჰქონდათ, იმ ფაქტებით დააპატიმრეს მამალაძე. ასე რომ არ ყოფილიყო და ვიღაცები ვერსიების საფუძველზე დაეჭირათ, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა. მამალაძის დაჭერაზე რა ამბავი ატეხეს და რას იზამდნენ, ეპისკოპოსები რომ დაეპატიმრებინათ?!

ამ ხელისუფლებას ისედაც აკლია გაბედულება, მაგრამ რომც ჰქონოდა, მეუფე დიმიტრის მაინც ვერ დაიჭერდნენ უხმაუროდ. ყველამ იცის, რომ ის ერთ-ერთი დამნაშავეა, თავის რაიონში ჩასვლაც აუკრძალეს, ხევში არ უშვებენ, მაგრამ სამხილების გარეშე ხელს ვერ დაადებ. ყველამ ვიცით, რომ **ზურაბ ჟვანია** სააკაშვილმა მოკლა, მაგრამ ხომ ვერ დადეს მტკიცებულება? ასე რომ, მტკიცებულებები აუცილებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი საპატრიარქოს ეხება, თუმცა დუმილს ყოველთვის ვერ შეძლებენ და საქმე გაიხსნება.

**— რა იყო მიზანი, რა სურდათ, თუკი პატრიარქის სიცოცხლის ხელყოფას მოახერხებდნენ?**



მეუფე დიმიტრი

## «არსებობს უამრავი ვერსია იმისა, თუ როგორ ცდილობდნენ დროდადრო უწმინდესის მოკვლას; იყო შემთხვევებიც, როდესაც ის ცუდად გახდა, სასწრაფო დახმარების მანქანა არ გამოიძახეს»

— ზემოჩამოთვლილი ადამიანების მიზანი იყო, ტახტზე აეყვანათ ან ბათუმისა და ლაზეთის **მიტროპოლიტი დიმიტრი**, ან ჭყონდიდის ეპარქიის **მიტროპოლიტი პეტრე.** ლიბერალები ორივე მიტროპოლიტისგან ელოდებიან, რომ ტახტზე ასვლის შემთხვევაში, სააკაშვილს უკან დააბრუნებენ, რადგან არსებული ხელისუფლება ცუდია. ეს ასე იგეგმებოდა, მაგრამ პატრიარქი გადარჩა და ახლა ცდილობენ, გული გაუხეთქონ მას, თუმცა, როგორც ჩანს, ის ძლიერი ადამიანია, რადგან იმ სიბინძურეს, რომელიც ეკლესიისა და საპატრიარქოს წინააღმდეგ აგორდა, ძნელად თუ გადაიტანდა კაცი.

**იმთავითვე ყველამ იცოდა, რომ უწმინდესის დაცვის უფროსი სოსო ოხანაშვილი ნაცების ჩანერგილი იყო.** ის ამ ადგილას ბაჩო ახალაიას თანაშემწის თანამდებობიდან გადაიყვანეს, რასაც ახლა თავდაცვის სამინისტროც ადასტურებს. სოსო ოხანაშვილი 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის აქტიური მონაწილე იყო და ეს ყველამ იცოდა.

ეკლესიასთან ახლოს ვარ და ვიცი, როგორ იზოლაციაში ჰყავდა მოქცეული ოხანაშვილს პატრიარქი — ოპოზიციის ლიდერები ვერ ახერხებდნენ კომუნიკაციას ილია მეორესთან. **არსებობს უამრავი ვერსია იმისა, როგორ ცდილობდნენ დროდადრო უწმინდესის მკვლელობას. იყო შემთხვევები, როდესაც ის ცუდად გახდა, სასწრაფო დახმარების მანქანა არ გამოიძახეს. მოკლედ, ყველანაირად ცდილობდნენ, პატრიარქი მოეკლათ.** ამის დასტური იყო ისიც, რაც თვითონ ოხანაშვილმა განაცხადა, რომ სურდათ, სამედიცინო პუნქტი გაეკეთებინათ. საინტერესოა, რისთვის სჭირდებოდათ სამედიცინო პუნქტი, რა, პატრიარქი ულრან ტყეში ან უდაბნოში ცხოვრობდა?! ბევრი ინფორმაცია მაქვს, მაგრამ ფაქტებით არ არის გაჯერებული და ამიტომ ვერ ვლაპარაკობ. ის ადამიანები, რომლებმაც ყველაფერი იციან, ალბათ, მალე ალაპარაკდებიან.

**— რატომ იყვნენ ასეთი გავეშებულები? პატრიარქმა ანდერძი დაწერა და იცოდნენ, ვინ იქნებოდა მისი თანამესაყდრე?**

— პატრიარქი სიკვდილს არ აპირებდა, ამიტომ ანდერძს არ დაწერდა, მაგრამ, ალბათ, ტახტის მსურველებმა იციან, რომ თანამესაყდრეები ვერ იქნებიან. არადა, ცდუნება დიდია. მეუფე დიმიტრისაც უნდა პატრიარქის ტახტი და პეტრესაც.

ის, რომ ოხანაშვილი დიმიტრის სიძეა, ხოლო გიორგი მამალაძე — მისი კადრი, ეჭვის საბაბს იძლევა, რომ დიმიტრიმ იცოდა მათი განზრახვის თაობაზე.

**ოხანაშვილი მხოლოდ იმიტომ არის ჩამოსათრევი და ყურებით დასაკიდებელი, პატრიარქზე რომ თქვა: ტერორისტებს მფარველობდაო. იცით, ვის გულისხმობდა? — ლაზებს, რომლებიც საქართველოს იცავენ. ნაძირალაა ოხანაშვილი და ახლა ყველაფერს იკადრებს, რადგან იცის, ეს ამბავი არ შერჩება და დაიჭერენ. თავს იცავს პატრიარქის დისკრედიტაციის ხარჯზე, მაგრამ არაფერი გამოუვა. ის ამ საქციელით აღიარებს და ადასტურებს, რომ მართლაც ჩანერგილი იყო ეკლესიაში და არა მხოლოდ ეგ.** მაქვს ინფორმაცია, რომ ოხანაშვილინაირი კიდევ უამრავი პირია ჩანერგილი, მათ შორის, სასულიერო პირები. 40 ეპისკოპოსიდან ბევრი გამყიდველია. მათგან ზოგი ჩუმად არის და მხოლოდ დიმიტრი აქტიურობს, მხოლოდ ის იბრძვის ღიად, რათა საპატრიარქო „ნაცმოძაობის“ საagitაციო შტაბად გადაიქცეს.

ბევრი ამბობს, პოლიტიკა ეკლესიაშიც შევიდა და იქ დაპირისპირებააო, მაგრამ ასე არ არის. უბრალოდ, იქ ფაშისტმა ნაციონალებმა ადამიანები ჩანერგეს. მათ სურდათ, მოესპოთ ჩვენთვის ყველაზე წმინდა რამ — სარწმუნოება.

**— ბევრს ხომ არ ვსაუბრობთ ნაციონალებზე? ისინი ხელისუფლებაში აღარ არიან. არ ფიქრობთ, რომ შესაძლოა, ამ ხელისუფლებაშიც ვიღაცას აღიზიანებდეს პატრიარქის რეიტინგი? საზოგადოებას ახსოვს ჭაბუა ამირეჯიბის ორმოცზე სუფრასთან ბიძინა ივანიშვილმა ილია მეორეზე თქვა: ისიც ჩვეულებრივი მოკვდავიაო... არც ივანიშვილს მოსწონს, როდესაც ვინმე მასზე წინ დგას...**

— ამ ხელისუფლებაში ყინწვისის ანგელოზები რომ არ არიან, ბევრჯერ გვილაპარაკია. ბევრია სოროსის კადრი და მოღალატე, მაგრამ მეეჭვება, ივანიშვილს ილია მეორის წინააღმდეგ მოქმედების სურვილი ჰქონდეს.

ვითომ თეოლოგები ათას სულელურ ჭორს ავრცელებენ. მაგალითად, ამას წინათ თქვეს, ილია მეორემ ივანიშვილს სთხოვა მიშა დავაბრუნოთო...

**ნაცების მიზანია ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინების დაკანონება და პროსტიტუციის ლეგალიზება. ამას ეკლესია მხარს არ დაუჭერს და, თუ შეძლებენ ამ ინსტიტუტის დაკნინებას, მაშინ ყველასთვის სულერთი იქნება, ეკლესია რაიმეს მხარს დაუჭერს თუ არა. აი ამისთვის სჭირდებათ დიმიტრისა და პეტრეს, ოხანაშვილთან ერთად, პატრიარქისა და საპატრიარქოსთვის ჩირქის მოცხება.**

**— კენჭისყრისას ერთხელ ჩავარდნილი ანტიდისკრიმინაციული კანონი საქართველოს პარლამენტმა ივანიშვილის ბრძანებით დაამტკიცა. ამ კანონის მიღების წინააღმდეგი იყო ეკლესია...**

— ეს ხელისუფლება იძულებულია, კოჭი გაუგოროს გარკვეულ ძალებს. ხედავთ, ალბათ, რა ხდება უკრაინაში. წინააღმდეგობას გაუწევ და იზოლაციაში მოხვდები, მერე კი სულ გაგაქრობენ... ვერ ხედავთ, ამერიკის პრეზიდენტი სულ სხვა ლოზუნგებით მოვიდა და სხვა რაღაცას აკეთებს. რომელ ივანიშვილზე და რომელ მთავრობაზე მელაპარაკებით?!

ერთხელ პატრიარქმა თქვა: გლობალიზმი წარმოიდგინეთ, როგორც დიდი ლოდი, რომელიც დაეშვა მთიდან და, თუ ლავირება ვერ მოასწარი, ყველა ვარიანტში დაგეჯახება. უნდა მოვიქცეთ ისე, რომ არ გავეჯახოს და არ მოვყვეთ ქვეშ!

## «მეუფე დიმიტრისაც უნდა პატრიარქის ტახტი და პეტრესაც. მაგრამ ის, რომ ოხანაშვილი დიმიტრის სიძეა, ხოლო გიორგი მამალაძე — მისი კადრი, ეჭვის საბაბს იძლევა, რომ დიმიტრიმ იცოდა მათი განზრახვის თაობაზე»

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**რაც დრო გადის, მით უფრო იკვეთება სურათი, რომ ივანიშვილმა ნაცები კი არ მოაშორა ამ ქვეყანას, უბრალოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, როგორც პოლიტიკური პარტიის, რეორგანიზაცია ჩაატარა და სახელი შეუცვალა — „ქართული ოცნება“ დაარქვა. თუკი რეალურად შევხედავთ სურათს, სწორედ ასეა: დღეს საქართველოს ისევ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მართავს, ოღონდ მიხეილ სააკაშვილისა და კიდევ სამი-ოთხი ისეთი პერსონის გარეშე, რომლებიც „მხსენლ“ მილიარდერს გულზე დიდად არ ეხატებოდა.**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს მათემატიკურ-პოლიტიკური ფორმულა უკვე მყარად მკვიდრდება ქართველი საზოგადოების ცნობიერებაში. მიუხედავად იმისა, რომ მილიარდერთან მიტმასნილი გარკვეული პერსონები, როგორც სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ვითარებაში სჩვევიათ ხოლმე, ახლაც შეეცადნენ, საზოგადოება ნამუსზე აეგდოთ და აქტიურად აამუშავეს ტერმინი „უმადური ხალხი“, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ „ხრიკს“ დიდად არავინ აუღელვებია და ნელ-ნელა ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა.**




# ნაცებს მინუს ცოცხი უდრის «ოცნებას»

2012 წლის „ბიძინური ეიფორია“ ნელ-ნელა წყნარდება და უკვე ზედაპირზე ამოდის ის, რაც, როგორც ჩანს, სინამდვილეში მოხდა 5 წლის წინათ ოქტომბრის დასაწყისში. დიახ, სწორედ იმ საპარლამენტო არჩევნებს ვგულისხმობთ, რომლის შედეგსაც დღემდე გვაყვედრიან „ქართული ოცნების“ მეხოტბეები და რომლის „არდაფასების“ გამოც გვიწოდებენ „უმადურებს“.

„ბიძინამ მიშა მოგვაშორა“, „ბიძინამ უკანალიდან ცოცხები გამოგვიღო“ „ბიძინამ გადაარჩინა წამებას უამრავი ადამიანი“ — ეს ფრაზები, რა თქმა უნდა, ყველას გეცნობათ და ასეთი მსჯელობის საწინააღმდეგო არც არაფერი გვექნებოდა, თუკი ბრიყვებივით დავაქნევდით თავს ყველაფერზე და არ გავიაზრებდით, რას მოითხოვენ ჩვენგან ამის სანაცვლოდ.

მოდი, პირდაპირ გადავიდეთ ერთგვარ ხატოვან მაგალითზე: დავუშვათ, ქმარი ცოლს სცემს ყოველდღე, ფიზიკურად შეურაცხყოფს, აგინებს ამცირებს და ა.შ. ამ მომენტში ამ ქალს ვიღაც ჩაავლებს ხელს და მიჰყავს. გაიყვანს სადღაც უკაცრიელ ადგილზე, უსახსროდ, მშიერს, შიშველტიტველს დააგდებს, მობრუნდება და მიდის. ეს ქალი, რა თქმა უნდა, მიაძახებს, — სად მიდიხარ, აქ ასე რატომ მტოვებო. ამ დროს მისი „გადამრჩენელი“ რომ მიუტრიალდეს და მიაძახოს, — ჰოი, შე უმადურო, აკი დესპოტი ქმრისგან მე გიხსენიო! — აი ასეთ სიტუაციაში ჩააგდო ივანიშვილმა საქართველო, როდესაც დესპოტი სააკაშვილისგან „გამოხსნილები“, ღმერთმა უწყის, სად დაგვაგდო, სად მიგვატოვა, ვის ხელში ჩაგვაგდო და თანაც ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობის დაკისრებაც არ სურს. რაც მთავარია, როგორც კი მას პასუხისმგებლობის შესახებ შევახსენებთ, მას და მის ფანატებს იმწამსვე მზად აქვთ ეპითეტები: „უმადური ხალხი“, „დაუნახავი ხალხი“ და ა.შ. არ სურთ, გაიგონ, რომ ნებისმიერ „გადარჩენას“ პასუხისმგებლობაც ახლავს თან და, თუკი არ გაქვს იმის თავი, რომ რამეზე პასუხისმგებლობა დაიკისრო, მაშინ „სუპერმენობასაც“ თავი უნდა დაანებო(!).

იმედია, გაუგებართა გარკვეულმა ნაწილმა მაინც გაიგო, რაზეა აქ საუბარი და კონკრეტულად რას ვერჩით ბატონ „მხსნელ“ მილიარდერს, თუმცა უფრო საინტერესო ის არის, **მართლა მოაშორა თუ არა ნაცები ამ ქვეყანას ბიძინა ივანიშვილმა.**

სიმართლე გითხრათ, რაც დრო გადის, მით უფრო იკვეთება სურათი, რომ ივანიშვილმა ნაცები კი არ მოაშორა ამ ქვეყანას, უბრალოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, როგორც პოლიტიკური პარტიის, რეორგანიზაცია ჩაატარა და სახელი შეუცვალა — „ქართული ოცნება“ დაარქვა. თუკი რეალურად შევხედავთ სურათს, სწორედ ასეა — **დღეს საქართველოს ისევ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მართავს, ოღონდ მიხეილ სააკაშვილისა და კიდევ სამი-ოთხი ისეთი პერსონის გარეშე, რომლებიც „მხსენლ“ მილიარდერს გულზე დიდად არ ეხატებოდნენ.**

როგორც ჩანს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეორგანიზაცია 2012 წლამდეც იყო დაგეგმილი, მაგრამ ამ გეგმის წინააღმდეგ სწორედ მიხეილ სააკშვილი და მისი უახლოესი გარემოცვის რამდენიმე წევრი წავიდა, რის გამოც ისინი ივანიშვილმა მოიძულა და მისი და მისი მომხრეების პირად შიდაპარტიულ ბრძოლას „მიშისტებთან“ საზოგადოების თვალის ასახვევად „საერთო-სახალხო“ სახე მისცა. **მან ხალხის განწყობა უბრალოდ და უნამუსოდ გამოიყენა პირადი მიზნის მისაღწევად და აქ არაფერ შუაშია არც „საქართველოს ხსნა“ და მით უფრო ბიძინას თავგანწირვა სამშობლოსათვის.**

დღეს ხელისუფლების სათავეში მოდერნიზებული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რომ ჩვენ გვყავს, ამაში დასარწმუნებლად „ოცნების“ მიერ სხვადასხვა თანამდებობაზე დაწინაურებული და პარლამენტში შეყვანილი ადამიანების სახელებისა და გვარების, უფრო ზუსტად კი, მათი წარსულის გადახედვაც კმარა.

გასულ კვირაში ამ მხრივ ყველაზე სკანდალური პერსონა გახლდათ **ზურაბ ადეიშვილის** ყოფილი მარჯვენა ხელი — **ვანო ზარდიაშვილი**, რომელიც ახლა „ქართული ოცნების“ სიაშია და კბილებით იცავს მას. „ქართული მარშის“ ლიდერმა ამ პერსონას ტელეეთერით პირდაპირ უთხრა, რომ ის იმ საშინელი 9 წლის განმავლობაში რეჟიმისა და მანიაკების უახლოესი გარემოცვის წევრი იყო და ადამიანების წამებაში დასდო ბრალი.

პასუხი, როგორც ასეთ „პორტირებულ“ დემაგოგებს სჩვევიათ ხოლმე, ისევ და ისევ ზოგადი იყო. აი რა დაწერა სოციალურ ქსელში ვანო ზარდიაშვილმა: „მე, პირადად, არასოდეს მიმიღია ადამიანების წამებაში მონაწილეობა და, ვინც ასეთ ბრალდებას მიყენებს, არ შევარჩენ, აუცილებლად სასამართლოში ვაგებინებ პასუხს“. ეს არის კლასიკური და გავრცელებული თავის მართლება 9-წლიანი მანიაკური რეჟიმის მხარდამჭერებისა და მათ გვერდზე მდგომებისა, მანიაკებისა და უახლოესი გარემოცვის იმ წევრებისა, რომლებიც ახლა „ქართული ოცნების“ ხელშეწყობით ისევ თბილ სავარძლებში სხედან.

ანუ, **თუკი მას პირადად არ უწამებია არავინ, თუკი საკუთარი ხელით არ შეურჭვია ვინმესთვის უკანალში ხელკეტი ან ცოცხი, ესე იგი პირნათელია ერისა და ქვეყნის წინაშე?!** მანიაკების გვერდით დგომა, მათი დავალებების შესრულება ადამიანთა წამებისა და მოკვდინებისთვის ხელის შეწყობა — ყოველივე ამისთვის ნოყიერი ნიადაგის შექმნა, „გაპრავება“ და თუნდაც ხმის არამოღება, თურმე არაფერს ნიშნავს და თურმე ახლა ასეთი ადამიანები ღირსებიც არიან იმ თანმდებობებისა, რომლებზეც სხედან. აი, ეს არის „ქართული ოცნების“ მიერ ქართველ საზოგადოებაში დღეს დამკვიდრებული „ზნეობა“. თუმცა უფრო კომიკურია ის, რომ ნაცებსა და ქოცებს არა მხოლოდ პერსონები ჰყავთ ერთი და იგივე და პოლიტიკური თვალსაზრისი საერთო, არამედ საარჩევნო ტრიუკებიც ერთნაირი აქვთ.

ორიოდე დღის წინათ თბილისის ქუჩებში გამოჩნდა ველოსიპედზე ამხედრებული **კახა კალაძე.** „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილმა თბილისის მერობის კანდიდატმა ჩვენ, ქართველებს, მოგვიწოდა, ვიყოთ „ევროპელები“, დავძლიოთ ჩამორჩენილი ქართული მენტალიტეტი და ვიაროთ ველოსიპედებით.

მრავალჭირნახულ ქართველ ამომრჩეველს აუცილებლად გაახსენდებოდა ჯერ **მიხეილ სააკაშვილი** და შემდეგ — **ალეკო ელისაშვილი,** რომლებიც თავის დროზე სწორედ იმით აწონებდნენ თავს მოქალაქეებს, რომ ველოსიპედით ასიოდე მეტრს გაივლიდნენ და გაიძახოდნენ, — ჯანსაღი ცხოვრების წესს ვამკვიდრებ და ევროპელი ვარო.

მოგვიანებით, **გოგა ხაჩიძის** სახით, ერთდღიანი „ჯანსაღი ცხოვრების“ მომდევრებიც გამოჩნდნენ. გახსოვთ, ალბათ, 2012 წელს პარლამენტის მუშაობის პირველ დღეს რომ გამოცხადდა გაგირჩებული ყოფილი ნაცი სამსახურში ველოსიპედით და ბევრიც იმარიაჟა. აი, მეორე დღიდან კი ხაჩიძის ველოსიპედი თვალით აღარავის უნახავს და ჯიპიდან არც ჩამოუღია ერთი ადგილი. დარწმუნებული ვართ, კალაძის შემთხვევაშიც ასე იქნება და „ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებელი“ კამპანია სწორედ იმ ნახევარი საათით ამოიწურება, რომელიც კალაძემ ველოსიპედზე გაატარა პეკინის ახალგარემონტებულ გამზირზე ჟურნალისტებისა და ოპერატორების თვალწინ.

თუ არა, თბილისის მომავალ მერს, მიუხედავად მისი უახლოესი სპორტული წარსულისა, მაინც უამრავი ზედმეტი დროისა და ენერგიის ხარჯვა მოუწევს იმისათვის, რომ თბილისის ყველა უბანსა და დასახლებას მიაქციოს ყურადღება. აბა, წარმოიდგინეთ, ველოსიპედით მიმავალი თბილისის მერი თავისუფლების მოედნიდან ჭონქაძის ქუჩის ბოლოსკენ ან გადასასვლელი ხიდიდან ჯავის ქუჩისკენ, ან კიდევ აღმაშენებლიდან სვანეთის უბნისკენ. ამხელა აღმართებსა და ე.წ. სერპანტინებზე ველოსიპედით ასვლა ველორბოლაში მსოფლიო ჩემპიონებსაც კი გაუჭირდებათ.

რაც შეეხება „ევროპულ მენტალიტეტს“, რომელიც თურმე ველოსიპედით სიარულში გამოიხატება, ჩანს, გასული საუკუნის 70-იან წლებშივე სამტრედიასა და აბაშაში ჩვენს ბაბუებსა და კიდევ მათ ბაბუებს უკვე ჰქონიათ მსგავსი მენტალიტეტი. იქ ხომ პენსიონერებიც კი პურისა თუ რძის პროდუქტების მაღაზიებში სწორედ ველოსიპედებით დადიოდნენ. მიზეზი მარტივია — სამტრედია და აბაშა დაბლობზე გაშენებული ქალაქებია და იქ, წამლად რომ გინდოდეს, ერთ შემაღლებას ვერ ნახავ. შესაბამისად, ველოსიპედით გადაადგილება რთული არ არის, პირიქით — სასიამოვნოც კია. თბილისის მთაგორიანი ლანდშაფტი კი ვერასოდეს შეეგუება ველოსიპედებით მასობრივ გადაადგილებას.

სამწუხაროდ, თბილისის მომავალ მერს უნდა შევახსენოთ, რომ თბილისი მხოლოდ „პლეხანოვი“ და დიდუბე არ არის. თუ არ დაგვიჯერებს, მაშინ ვურჩიოთ მას, ველოსიპედით მოიაროს ნუცუბიძის პლატოს ყველა მიკრორაიონი და დღის ბოლოს, უბრალოდ, დაგვენახვოს, ბრიფინგიც კი აღარ იქნება საჭირო.

ხუმრობის გარეშე რომ ვთქვათ, **იქნებ ერთხელ და სამუდამოდ შეიგნონ ნაცებმაც და ქოცებმაც, „დამოუკიდებელმა“ ელისაშვილმაც და ყველა სხვა მატრაკვეცამაც, რომ ველოსიპედებით ევროპის იმ ქალქებში დადიან, რომლებიც დაბლობზეა გაშენებული.** ევროპის მთაგორიან ქალაქებში კი ველოსიპედის ჭაჭანება არ არის და არც შეიძლება იყოს. ასე რომ, ველოსიპედით სიარულს საერთო არაფერი აქვს ამ ყბადაღებულ „ევროპულ მენტალიტეტთან“. სამაგიეროდ, ფაქტია, რომ **ყოველივე ის, რის გამოც მიშას ვაკრიტიკებდით, დავცინოდით და შეშლილს ვეძახდით — ველოსიპედით უაზროდ და უადგილო ადგილას სიარული, შუშის შენობებით ქალაქის გადავსება, ფასადების შეღებვა — ბიძინას, კახა კალაძისა და ნაცების იმჟამინდელი სხვა ფულიანი მხარდამჭერების „ბავშვობის ოცნება“ ყოფილა თურმე.** აკი 2011 წლამდე ყველა ისინი მიშას „დიდი ბანაკის“ წევრები იყვნენ და მათ მიერ გაკეთებული შტერობებიც მიშას მიეწერებოდა. ახლა კი ისინი, მიშას „მოშორების“ შემდეგაც, წარმატებით ისრულებენ ოცნებებს.

თუმცა, ველოსიპედი და შუშის შენობები ჯანდაბას, როდესაც „მიშასეული“, რუსეთთან „გაბუტვის“ სრულიად სულელური და ჩვენი ქვეყნის დამაზარალებელი პოლიტიკაც კი, როგორც ჩანს, სწორედ ბიძინა ივანიშვილის ტვინის ნაყოფი ყოფილა და ეს სრულიად იდიოტური საგარეო პოლტიკა დღემდე „წარმატებით“ გრძელდება...

აი, ასე და ამგვარად განაგრძეს ამ ქვეყნის დაქცევა და გაპარტახება „ნაციონალური მოძრაობის“ საქმეების „ღირსეულმა“ გამგრძელებლებმა. ერთი ეგ არის, ცოცხი არ გამოუყენებიათ, ისიც, ალბათ, მხოლოდ ჯერჯერობით. რას მოუტანს მომავალში ამ ბედკრულ ქვეყანას „ქართული ოცნების“, ანუ მოდერნიზებული „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობა, ამაზე უკვე ფიქრიც კი ცუდ განწყობაზე დააყენებს ქვეყნის მოყვარულ ადამიანს.

**ყოველივე ის, რის გამოც მიშას ვაკრიტიკებდით, დავცინოდით და შეშლილს ვეძახდით — ველოსიპედით უაზროდ და უადგილო ადგილას სიარული, შუშის შენობებით ქალაქის გადავსება, ფასადების შეღებვა — ბიძინას, კახა კალაძისა და ნაცების იმჟამინდელი სხვა ფულიანი მხარდამჭერების «ბავშვობის ოცნება» ყოფილა თურმე. აკი 2011 წლამდე ყველა მათგანი მიშას «დიდი ბანაკის» წევრი იყო და მათ მიერ გაკეთებული შტერობებიც მიშას მიეწერებოდა. ახლა კი ისინი, მიშას «მოშორების» შემდეგაც, წარმატებით ისრულებენ ოცნებებს**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინტერვიუ**

**„უცხო ქვეყნების თითქმის ყველა მოქალაქეს ორმაგი მოქალაქეობა მიანიჭეს „ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის“. ეს იყო საფუძველი და, უბრალოდ, მაინტერესებს: თუ ასეთი ღვაწლი აქვს ვილაცას ჩვენი ქვეყნის წინაშე, ასეთი დამსახურება და ამაგი, არ უნდა ვიცოდეთ?! რატომ არის ეს ინფორმაცია კონფიდენციალური?!“**



გიორგი ანდრიაძე:

# სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას იმ პიროვნების მიმართ, რომელმაც საქართველოს მტრებს ქართული პასპორტები დაურიგა

## «მარგველაშვილი ბოკერიასა და სააკაშვილის სულიერი მეგობარია»

**საპატრიარქოს უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ანდრიაძე პრეზიდენტ მარგველაშვილს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში ამხელს და ამბობს, რომ ქვეყნის პირველმა პირმა „საქართველოს ერთიანობის მტრებს“ მოქალაქეობა მიანიჭა. მისი თქმით, მარგველაშვილმა 2016-2017 წლებში საქართველოს ორმაგი მოქალაქეობა ისეთ პიროვნებას (ეროვნებით თურქს) მისცა, რომელიც დაუფარავად აცხადებს, რომ ლაზი და მეგრელი იდენტობით ქართველი არ არის. ანდრიაძის განმარტებით, ბრძანებულება, რომლის ძალითაც პრეზიდენტმა აღნიშნულ პირს მოქალაქეობა მიანიჭა, უნდა გასაჯაროვდეს. შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ მან წინა კვირას ღია წერილით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლის კობახიძესა და საპარლამენტო უმრავლესობას.**

„სამწუხაროდ, იძულებული გავხდი, მომემართა თქვენთვის, ვინაიდან ამოვწურე ყველა კანონიერი მცდელობა, ინფორმაცია მიმეღო საქართველოს პრეზიდენტის მიერ ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების ბრძანებულების შესახებ. საქმე ეხება 2016 ან 2017 წლებში პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ თურქეთის მოქალაქის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოს წინაშე გაწეული ღვაწლისათვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების შესახებ.

გთხოვთ, გამოითხოვოთ იმ პიროვნებების მონაცემები, რომლებსაც ამ პერიოდში ორმაგი მოქალაქის სტატუსი მიენიჭათ. ვინაიდან, ჩემი ინფორმაციით, მათ შორის, არის საქართველოს ერთიანობის ღია და აშკარა მტერი, რომელიც დღემდე აცხადებს, რომ ლაზი და მეგრელი იდენტობით ქართველი არ არის და ამით ხელს უწყობს ჩვენი სახელმწიფოსა და ქართველი ერის დაშლასა და ურთიერთდაპირისპირებას. სწორედ ასეთ პიროვნებას მიანიჭა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ორმაგი მოქალაქეობა“, — ნათქვამია მიმართვაში.

რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობს ან უნდა ხელმძღვანელობდეს უმაღლესი მთავარსარდალი ამა თუ იმ პირისთვის მოქალაქეობის მინიჭება-არმინიჭებისას, რა „ღვაწლი მიუძღვის საქართველოს წინაშე“ თურქეთის მოქალაქეს, რომელიც მეგრელს ქართველად არ მიიჩნევს და ისედაც დაშლილ-დაქუცმაცებულ სახელმწიფოში კიდევ სეპარატიზმის გაძლიერებაზე ოცნებობს? **ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საპატრიარქოს უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ანდრიაძე.**

**— ბატონო გიორგი, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი განცხადება პრეზიდენტის მიერ საქართველოს მტრებისთვის მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე საკმაოდ მძიმე ბრალდებაა, ჯეროვანი რეაგირება ამაზე პირველი პირისგან ან მისი ადმინისტრაციისგან არ ყოფილა. მოდი, კიდევ ერთხელ განვუმარტოთ საზოგადოებას: კონკრეტულად რაზეა საუბარი, ვის მიანიჭა პრეზიდენტმა მოქალაქეობა, ვინ არის ეს პიროვნება და რა საფრთხეებს შეიცავს ეს ყველაფერი?**

— მე ვიცი მხოლოდ კონკრეტული ფაქტი, რომლის შესახებაც განვაცხადე. **საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა პიროვნებას, რომელიც არის ანტიქართულად განწყობილი, ის ლაზებსა და მეგრელებს ქართველებად არ თვლის და, საერთოდ, საქართველოს ერთიანობასაც არ აღიარებს.**

რაც შეეხება ჩემს პოზიციას, ჯერ კიდევ მაშინ, როცა **სააკაშვილი** არიგებდა ქართულ პასპორტებს და ათასობით უცხოელმა მიიღო საქართველოს მოქალაქეობა, მიმაჩნდა, რომ ეს არის დამღუპველი ქვეყნისთვის. მით უფრო, რომ მოქალაქეობას აძლევდნენ ისეთ ადამიანებს, რომლებმაც, არათუ ქართული ენა არ იცოდნენ და ადათ-წესები, საერთოდ, რუკაზეც ვერ მოგიძებნიდნენ საქართველოს. კიდევ ვიმეორებ: ეს არის ჩემი მოსაზრება და ამ რეალობაში, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, არ შეიძლება, რამე კარგი დაინახო. რაც ყველაზე სამწუხაროა, ზუსტად იგივე პოლიტიკა განაგრძო **მარგველაშვილმაც**, თუმცა ამაში გასაკვირს ვერაფერს ვხედავ. ეს საკითხი მას შემდეგ ამოტივტივდა, როდესაც ლაზებს უარი უთხრეს ორმაგ მოქალაქეობაზე. ახლა დანარჩენი **თავად განსაჯეთ, ვინ იმსახურებს საქართველოს მოქალაქეობას: ლაზები, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნეს ენა და ეროვნული იდენტობა, თუ უცხოელი, რომელიც აშკარად გამოხატავს თავის ანტიქართულ დამოკიდებულებას, დაწყებული იმით, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოდ არ თვლის, დამთავრებული, საზოგადოდ, ქართველებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის სიძულვილით.**

**«საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა პიროვნებას, რომელიც არის ანტიქართულად განწყობილი, ის ლაზებსა და მეგრელებს ქართველებად არ თვლის და, საერთოდ, საქართველოს ერთიანობასაც არ აღიარებს»**

**— ღია წერილში, რომლითაც თქვენ პარლამენტის თავმჯდომარესა და საპარლამენტო უმრავლესობას მიმართეთ, წერთ, რომ ამოწურეთ ყველა კანონიერი საშუალება, მიგეღოთ ინფორმაცია პრეზიდენტის მიერ ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების ბრძანებულების შესახებ. კონკრეტულად ვის მიმართეთ ამ ინფორმაციის მისაღებად?**

— მსგავსი ინფორმაციის ერთადერთი ცენტრი ქვეყანაში იუსტიციის სახლია. იქ მითხრეს, რომ ამ ინფორმაციის მიღება შეუძლებელია. რატომ? — იმიტომ, რომ კონფიდენციალურია (?!). არადა, **უცხო ქვეყნების თითქმის ყველა მოქალაქეს ორმაგი მოქალაქეობა მიანიჭეს „ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის“. ეს იყო საფუძველი და, უბრალოდ, მაინტერესებს, თუ ასეთი ღვაწლი აქვს ვილაცას ჩვენი ქვეყნის წინაშე, ასეთი დამსახურება და ამაგი, არ უნდა ვიცოდეთ?! რატომ არის ეს ინფორმაცია კონფიდენციალური?!**

— სააკაშვილმა თავის საპრეზიდენტო ვადის ბოლო დღეები მაქსიმალურად გამოიყენა იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი უცხოელისთვის მიეცა საქართველოს მოქალაქეობა. საუბარია დაახლოებით 10 ათას თურქზე, რომლებმაც უმოკლედ ვადაში აიღეს ქართული პასპორტები. ამ პასპორტებს დღეს მათ, ალბათ, ვერავინ წაართმევს.

— სად წერია, რომ ვერავინ წაართმევს? ეს ზღაპარი მოიგონეს ისევ იმ ხელისუფლების ე.წ. იურისტებმა. ყველას ყველაფერს წაართმევ და ნაციონალიზაციის პროცესიც შეიძლება დაიწყოს. ასე რომ, როცა აშკარაა კანონის დარღვევა, სახელმწიფოს მოქალაქეობის ჩამორთმევაც შეუძლია და სხვა რამეც. მე თუ მკითხავთ, **სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას იმ პიროვნების მიმართაც, რომელმაც კანონი დაარღვია და საქართველოს მტრებს ქართული პასპორტები დაურიგა.**

**— სამართლებრივად ამის საფუძველი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ აქ სხვა მომენტია. ხომ არ გამოიწვევს ეს ჩვენი ე.წ. დასავლელი პარტნიორების გულისწყრომას და მეზობელი თურქეთის უკმაყოფილებას?**

— დასავლეთსა და თურქეთს შორის, მგონი, უკვე აღარ არის ძველებური ურთიერთობა. ყოველ შემთხვევაში, ბოლო პერიოდში აშკარად ჩანს, რომ მათი აზრები დემოკრატიაზე არ ემთხვევა. მეორეც, უკანონო ქმედებაზე სამართლებრივმა რეაგირებამ რატომ უნდა გამოიწვიოს დასავლეთის გაღიზიანება, არ მესმის. თუ ვილაცას უკანონოდ მიენიჭა მოქალაქეობა და ამით სახელმწიფოს ინტერესები დაირღვა, რეაგირება არ უნდა მოვახდინოთ?!

**— პარლამენტის თავმჯდომარესა და საპარლამენტო უმრავლესობას თხოვნით მიმართეთ, რომ გასაჯაროვდეს იმ ადამიანების ვინაობა, რომლებმაც 2016-2017 წლებში მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა. იმის გათვალისწინებით, რომ იუსტიციის სახლმა არ მოგაწოდათ შესაბამისი ინფორმაცია და არც პრეზიდენტის ადმინისტრაცია იძლევა პასუხს, საკანონმდებლო ორგანო მოახდენს რეაგირებას?**

— არ ვიცი, რაღაც იმედი ხომ უნდა არსებობდეს. წესით, მოვალეა, რეაქცია ჰქონდეს, რადგან მე სასწაულს არ ვითხოვ. მე ვითხოვ ერთადერთ რამეს — პიროვნებების ვინაობის გამოქვეყნებას, რათა გავიგოთ, ვინ მიიღო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა. ვფიქრობ, ეს ინფორმაცია საჯარო უნდა იყოს და, თუ კანონში წერია, რომ ამის გასაჯაროება არ შეიძლება, მაშინ კანონი უნდა შეიცვალოს. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, იცოდეს, ვინ შეემატა მის ქვეყანას, როგორც თანამოქალაქე.

**— საქართველოს მოქალაქეობის მიღება დღეს არც ისე რთულია. იუსტიციის სახლის მეექვსე სივრცეში, შეიძლება ითქვას, მოზღვავებაა ქართული პასპორტების მომლოდინე უცხოელებისა. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება საზოგადოებამ დაუპირისპიროს ამ პროცესს?**

— საზოგადოება უნდა იყოს ჩამოყალიბებული ამ საკითხზე და ამას დაუპირისპიროს მძლავრი პროტესტი. ასევე, უდიდესი როლი ეკისრება მედიას, ოღონდ მართლა დამოუკიდებელ მედიას და არა ლიბერალურ-გლობალისტურს, როგორიც დღეს ბევრი გვაქვს.

ერთ რამ მაინტერესებს და მინდა, შეკითხვით მივმართო მათ, ვისაც ეხება: მაინცდამაინც შაჰ-აბასისა და სულეიმან დამპყრობლის შთამომავალი უნდა იყოს კაცი, რომ საქართველოს მოქალაქეობა მიიღოს?! მხოლოდ მაგათ ეკუთვნით საქართველოს პასპორტი და ლაზებს არა?!

**— ლაზებისთვის მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ ხელისუფლება განმარტებას არ აკეთებს. რა არის ამის რეალური მიზეზი? რატომ ხდება, რომ ლაზს, რომელმაც, მიუხედავად დამპყრობლის მრავალსაუკუნოვანი ზეწოლისა, რაც დღემდე გრძელდება, შეინარჩუნა ყველანაირი ეროვნული იდენტობა, მოქალაქეობას არ აძლევენ, და თურქს, რომელიც პირდაპირ მტრობს ქართულ სახელმწიფოს, ლანგრით მიართვეს ქართული პასპორტი?**

— რაღ უნდა ამას ბევრი ლაპარაკი: ეს იმიტომ ხდება, რომ გლობალისტები არიან და ლიბერალები, ეს მათთვის საამაყო ცნებებია. **პრეზიდენტს რაც შეეხება, მარგველაშვილი ბოკერიასა და სააკაშვილის სულიერი მეგობარია,** ამით უკვე ყველაფერია ნათქვამი. უკუღმა ხედავენ ესენი ყველაფერს: შავს — თეთრად და თეთრს — შავად. მათთვის ქართული იდენტობა, თვითმყოფადობა, არაფერს ნიშნავს. აი, ამიტომ არის სულერთი ამ ადამიანებისთვის, ვის მიანიჭებენ მოქალაქეობას — თურქს, არაბს თუ რომელიმე სხვა ერის წარმომადგენელს.

**— ამბობთ, რომ ეს პროცესები მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია?**

— რა თქმა უნდა. აბა, რა! შემთხვევით უთხრეს ლაზებს საქართველოს მოქალაქეობაზე უარი?

**— ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ჩინელებისა და ინდუსების ჩამოსახლების საკითხიც?**

— რასაკვირველია, ამათ მოსახლეობის აჭრელება უნდათ და ამისთვის კეთდება ყველაფერი. სწორად გამიგეთ: მივესალმები ყველა კარგი ადამიანის, ყველა პროფესიონალის საქართველოში ჩამოსახლებას, რომლებსაც ეს ქვეყანა უყვართ, მაგრამ საქართველოს რუკაზეც რომ ვერ მოგიძებნიან (არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ქართული ენა არ იციან და არც აპირებენ სწავლას), ასეთი ხალხი მოქალაქეობას ვერ უნდა იღებდეს. ასეთი ხალხი ძალიან დიდ საფრთხეს შეგვიქმნის და უკვე ის ერთი მოქალაქეც საფრთხეა, რომელზეც მე ვითხოვდი ინფორმაციას, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ ამ საფრთხეს. როცა ასეთი მოქალაქეების რაოდენობა მოიმატებს და ბევრნი იქნებიან საქართველოში, ამ უბედურებას, რაც უკვე გვჭირს, მერე მივხვდებით, მაგრამ დაგვიანებით...

**ესაუბრა ჯაბა ჟვანია**

**«თავად განსაჯეთ, ვინ იმსახურებს საქართველოს მოქალაქეობას: ლაზები, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნეს ენა და ეროვნული იდენტობა, თუ უცხოელი, რომელიც აშკარად გამოხატავს თავის ანტიქართულ დამოკიდებულებას»**

**„ლიბერასტებმა“ ყველაზე უკეთ იციან, რომ ახლა მსოფლიოში ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას ხელოვნური ჩარევა არ სჭირდება. არ სჭირდება იმიტომ, რომ დასავლურმა ე.წ. დემოკრატიამ, დიდი ხანია, იდეოლოგიური სუიციდი ჩაიდინა და თავის არსებობას, ყოველგვარი გარე ფაქტორების გარეშე, თვითონვე გამოაცალა საფუძველი. როგორ და რით, ყველასთვის ნათელია: იმ გაშმაგებული ნეოლიბერალური ტერორით, რომელიც დღეს ევროკავშირში მძვინვარებს.**

ჩევლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქაჯები


ხათუნა სამნიძე

**რამდენიმე დღის წინათ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის თოქშოუში „განსხვავებული აქცენტები“ სამპროცენტიანის რეიტინგის მქონე რესპუბლიკელმა ხათუნა სამნიძემ ეკლესიაზე საუბრისას, როგორც ყოველთვის, სიძულვილი აფრქვია და საპატრიარქოს უწოდა გარე ძალის, ამ შემთხვევაში რუსეთის, მიერ მართული ინსტიტუტი და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ძლიერი ეკლესია საშიშია.**

სამნიძის თქმით, თურმე, როგორც საპატრიარქო, ისე სამღვდელოება, ქვეყანაში ანტიდასავლურ განწყობებს მიზანმიმართულად აღვივებს და ამის გამო (არა მხოლოდ ამის გამო) მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება სრულად უნდა შეუწყდეს. იმავე ეთერში ოპონენტის შეკითხვაზე, თუ რის საფუძველზე აცხადებდა საპატრიარქოს ანტიდასავლური განწყობების გამღვივებლად, სამნიძემ არგუმენტად სასულიერო პირების მიერ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ სხვადასხვა პერიოდში მიცემული ინტერვიუებიდან ამოკრეფილი ციტატები მოიყვანა: **„რაც უფრო დავუახლოვდებით ევროპულ და ამერიკულ ფასეულობებს, მით მეტად დავშორდებით ქრისტესა და ეკლესიას“; „ჩვენ არ გვჭირდება ევროპა, რომელსაც სწორება უკანალზე ექნება“...**

ციტატები მას კიდევ ბევრი ჰქონდა და მზად იყო, ერთი ამოსუნთქვით ყველა წაეკითხა, მაგრამ ზემოაღნიშნული ორი ამონარიდი საკმარის არგუმენტად ჩათვალა, ანუ, **სამნიძის სამპროცენტიანი ჭკუით, თუ სასულიერო პირი ამბობს, რომ სოდომიის ქომაგ დღევანდელ დასავლეთთან დაახლოება ღმერთთან დაშორებას ნიშნავს და არ გვჭირდება ინტეგრაცია, რომელსაც სწორება უკანალზე ექნება, ის ავტომატურად პრორუსულ პოლიტიკას ატარებს. მეტიც, ასეთი სამღვდელოება პირდაპირ კრემლიდან იმართება და ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, მას ბიუჯეტიდან დაფინანსება რომ შეუწყდეს.**

თანამედროვე დასავლეთს (განსაკუთრებით — ევროკავშირს) სწორება უკანალზე რომ აქვს და სოდომიის აპოლოგია უმთავრესი იდეოლოგიური დისკურსის რანგში აქვს აყვანილი, ეს ვინმეს მიერ და, მით უმეტეს, კრემლიდან თავს მოხვეული პოლიტიკა არ არის. **ქალის ქალზე ქორწინება თუ კაცის — კაცზე და კოლჰოტიანი გორილების ტინგიცი 17 მაისს ევროპის ქალაქებში მათი არჩევანია.** მათი არჩევანია, აგრეთვე, ევროსასამართლოს მიერ წლების წინათ მიღებული ამორალური გადაწყვეტილება, რომ ორი ქალის ან ორი მამაკაცის ერთობას ოჯახი უნდა ერქვას, რომ ამ „ოჯახს“ შვილის აყვანის უფლება ჰქონდეს და ყოველივე ამას დემოკრატია ეწოდოს. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ სიტყვები „დედა“ და „მამა“ უნდა ჩაანაცვლოს ტერმინებმა „მშობელი №1“ და „მშობელი №2“; რომ ბავშვმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, როცა გაიზრდება, ქალია თუ მამაკაცი, და ოჯახი მის „გადაწყვეტილებას“ უსიტყვოდ უნდა დაეთანხმოს; არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, რეალურად დასავლეთის იდეოლოგიურმა ინსტრუმენტმა, წლების წინათ დაავადებათა ნუსხიდან ამოიღო ჰომოსექსუალიზმი და სოდომია, როგორც სერიოზული გადახრა, და ნორმად აღიარა; რომ ოჯახი, თავის ტრადიციული გაგებით, სამიზნეში ამოიღო და მისი, როგორც ინსტიტუტის, დისკრედიტაციის მიზნით, „ქალთა უფლებების“ დარღვევის, ჩაგვრისა და შევიწროების მექანიზმად გამოაცხადა.

რაც შეეხება ქრისტიანობას და, კონკრეტულად, მართლმადიდებლობას, ვინაიდან „სამპროცენტიანი რესპი“ „არგუმენტად“ სასულიერო პირების მიერ „საქართველო და მსოფლიოსთან“ გაკეთებულ სხვადასხვა განცხადებას იშველიებს და ამაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ თურმე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კრემლის დაკვეთით ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებს, მეც ისღა დამრჩენია, კონკრეტული განცხადებები ავაფარო ამ იაფფასიან პროვოკატორებს. მაგალითად, ლიბერალების (მათ შორის რესპუბლიკელებისაც) საფიცარი და სათაყვანებელი **კარლ ბილდტი**, თავის დროზე, როცა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას იკავებდა, საჯაროდ ამბობდა, რომ მართლმადიდებლობა დასავლეთის მთავარი მტერია. ***ციტატა: „მართლმადიდებლობა ისლამურ ფუნდამენტალიზმზე საშიშია. იგი წარმოადგენს მთავარ მუქარას დასავლური ცივილიზაციისთვის, რადგან ცდილობს, ოჯახური ურთიერთობების რეგლამენტირებას და არ ცნობს გეებსა და ტრანსგენდერებს“.** მოგვიანებით ბილდტი თანამდებობიდან გადადგა და რუსული ნავთობკომპანიის მრჩევლად დაინიშნა, მაგრამ ამის გამო „ლიბერალებს“ წიოკი და ვაივიში არ აუტეხავთ, ისე, როგორც სასულიერო პირების განცხადებებზე იქცევიან ხოლმე.

**კარლ ბილდტი:**

**მართლმადიდებლობა ისლამურ ფუნდამენტალიზმზე საშიშია. იგი წარმოადგენს მთავარ მუქარას დასავლური ცივილიზაციისთვის, რადგან ცდილობს, ოჯახური ურთიერთობების რეგლამენტირებას და არ ცნობს გეებსა და ტრანსგენდერებს**

ახლა სხვა განცხადებები: „ლიბერასტების“ მთავარი ნუგეში და იმედის სხივი დასავლურ პოლიტიკურ ასპარეზზე, **ჯო ბაიდენი,** აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას დაუფარავად აცხადებდა, რომ მისი პრიორიტეტი მსოფლიოში ლგბტ-თა უფლებების დაცვა იქნებოდა; რომ ფეხებზე ეკიდა ყველა ქვეყნისა თუ ერის ეროვნული კულტურა და მკაცრად უნდა დასჯილიყო ნებისმიერი, ვინც „სექსუალურ უმცირესობებს“ სათანადო პატივით არ მოეპყრობოდა.

***ციტატა: „გეებისა და ლესბოსელების მომხრეები წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ ნაკადს, მათი მოწინააღმდეგეები კი მარგინალები არიან. თქვენ უმრავლესობა ხართ, ისინი კი, სხვები — ველურები. ქვეყნებმა, რომლებიც არ იცავენ და არ ამყარებენ ლგბტ უფლებებს, უნდა ზღონ არაადამიანურობის გამო“.**

**ჯო ბაიდენი:**

**გეებისა და ლესბოსელების მომხრეები წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ ნაკადს, მათი მოწინააღმდეგეები კი მარგინალები არიან. თქვენ უმრავლესობა ხართ, ისინი კი, სხვები — ველურები. ქვეყნებმა, რომლებიც არ იცავენ და არ ამყარებენ ლგბტ უფლებებს, უნდა ზღონ არაადამიანურობის გამო**

ბაიდენმა ეს 2015 წლის ზაფხულში ერთ-ერთ ფართომასშტაბიან შეხვედრაზე განაცხადა და დასძინა, რომ პრეზიდენტმა **ობამამ** აშშ-ის დიპლომატიურ სამსახურს მსოფლიოში გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების უფლებების დაცვა დაავალა. მისი თქმით, „უმცირესობების“ წინ წამოწევა ცივილიზებულობის უპირველესი ნიშანია და იგი ნებისმიერ ეროვნულ ფასეულობებზე მაღლა უნდა იდგეს.

საყოველთაოდ ცნობილია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი იდეოლოგის, **ზბიგნევ ბჟეზინსკის,** გამონათქვამიც იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირის შემდეგ ამერიკის უპირველესი სამიზნე მართლმადიდებლობაა.

***ციტატა: „კომუნიზმის შემდეგ ჩვენი მთავარი მტერია მართლმადიდებლობა“.**

ბჟეზინსკი მართლმადიდებლობას განიხილავდა, როგორც უმთავრეს დაბრკოლებას დასავლური „დემოკრატიისთვის“ და მის წინააღმდეგ ბრძოლას, ამავე დემოკრატიის სახელით, ნებისმიერი მეთოდით გამართლებულად მიიჩნევდა.

**ზბიგნევ ბჟეზინსკი:**

**კომუნიზმის შემდეგ ჩვენი მთავარი მტერია მართლმადიდებლობა**

ასევე, ყველას გვახსოვს ამერიკის 44-ე პრეზიდენტის, **ბარაკ ობამას**, ხმაურიანი განცხადება, რომ „ერთნაირსქესიან წყვილებს“ ქორწინების უფლება ყველა შტატში უნდა ჰქონოდათ.

**ცნობისთვის:** შტატების ისტორიაში ობამა იყო პირველი პრეზიდენტი, რომელმაც მსგავსი რამ საჯაროდ განაცხადა და ამის გამო აღფრთოვანებული პედარასტებისგან სათანადო პატივიც დაიმსახურა, — განცხადებიდან რამდენიმე დღეში მისი ფოტო გეიჟურნალ „OUT MAGAZINE“-ის გარეკანზე დაიბეჭდა. იმავე პერიოდში ლგბტ-თა ფერებში განათებული „თეთრი სახლიც“ გვახსოვს და სხვა ბევრი რამ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოაღნიშნული დასავლური პოლიტიკის ქართული გამოძახილია. ობამას გაპრეზიდენტებამ და **ჰილარი კლინტონის** დანიშვნამ სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ქართველი „ლიბერალები“ აღაფრთოვანა. ამ პერიოდში ქართულმა მშენებარე „დემოკრატიამ“ ისე გაილაღა, რომ თბილისსა და ბათუმში კინაღამ გეიაღლუმების მომსწრენი გავხდით. ყოველივე ამის ფონზე „ლიბერალური“ ისტებლიშმენტი ცდილობდა, საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ „სექსუალური უმცირესობების“ დაცვა და მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაცია დასავლეთის დირექტივა კი არა, ობიექტური რეალობით ნაკარნახევი აუცილებლობაა, თუმცა სინამდვილე სხვა რამეს ცხადყოფდა: 2012 წლის დეკემბერში თბილისში ვიზიტით მყოფმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე **თომას მელიამ** სამოქალაქო სექტორთან შეხვედრისას საკმაოდ მკაფიოდ მიანიშნა, რომ „თეთრი სახლი“ საქართველოსგან „უმცირესობების“ უფლებების ჯეროვნად დაცვას მოითხოვდა.

***ციტატა: „ტოლერანტობა მრავალფეროვნებისადმი დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია... პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაცია და სახელმწიფო დეპარტამენტი ადამიანის უფლებებს აღვიქვამთ ინკლუზიურ პროცესად, სადაც გათვალისწინებული იქნება, როგორც სექსუალური, ასევე რელიგიური უმცირესობების უფლებები. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოში იქნება ინკლუზიური დემოკრატია“.**

ცხადია, სიტყვა „ვიმედოვნებთ“, ამ შემთხვევაში, არა უბრალოდ მოლოდინს ან სურვილს, არამედ პირდაპირ დირექტივას წარმოადგენდა, რადგან ყველა ეს „სურვილი“ საქართველოში რეალობად აქციეს (დაწყებული ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით, დამთავრებული სხვადასხვა რელიგიური კონფესიებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებით).

მოკლედ, დასავლელი ლიდერებისა თუ მათი იდეოლოგიის გამტარებელი პოლიტიკური ამფსონებისგან ბევრი ანტიმართლმადიდებლური გამოხდომის გახსენება შეგვიძლია, მაგრამ ახლა ამაზე დეტალურად საუბარი შორს წაგვიყვანს. უბრალოდ, ამ ციტატების მოყვანა იმ აღვირახსნილი და უნამუსო პროპაგანდის საპასუხოდ მომიწია, რომ თურმე დღეს სამღვდელოების ანტიდასავლური პოზიცია კრემლიდანაა ნაკარნახევი. სინამდვილეში **„ლიბერასტებმა“ ყველაზე უკეთ იციან, რომ ახლა მსოფლიოში ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას ხელოვნური ჩარევა არ სჭირდება. არ სჭირდება იმიტომ, რომ დასავლურმა ე.წ. დემოკრატიამ, დიდი ხანია, იდეოლოგიური სუიციდი ჩაიდინა და თავის არსებობას, ყოველგვარი გარე ფაქტორების გარეშე, თვითონვე გამოაცალა საფუძველი. როგორ და რით, ყველასთვის ნათელია: იმ გაშმაგებული ნეოლიბერალური ტერორით, რომელიც დღეს ევროკავშირში მძვინვარებს. აი, ეს არის რეალურად მიზეზი იმისა, რომ საქართველოშიც დღითიდღე იზრდება ნატოსა თუ ევროკავშირის საწინააღმდეგო განწყობები, რომ ხალხს უკვე ყელში ამოუვიდა ჩვენი „სტრატეგიული მეგობრებისა“ თუ „პარტნიორების“ კიჟინი მესაჯდომეობის ნორმად აღიარებისა და „შემწყნარებლობის“ აუცილებლობაზე.**

რაც შეეხება სამპროცენტიანი რესპების კნეინას, ქალბატონ სამნიძეს, ბუნებრივია, მან კარგად იცის, რომ არანაირი რუსული პროპაგანდა, საქართველოში არ არის და ანტიდასავლურ განწყობებს რეალურად არა კრემლი, არამედ თვითონ დასავლეთის აღვირახსნილი პროპაგანდა ამძაფრებს. მან ისიც იცის, რომ მომავალ არჩევნებში არათუ გამარჯვების, ბარიერის გადალახვის შანსიც არ აქვს, მაგრამ გათვლა ამაზე არც კეთდება, რესპების ანტიმართლმადიდებლური და ანტისაეკლესიო კამპანია დღეს იმ მიზანს ემსახურება, რომ, სრული პოლიტიკური უპერსპექტივობის ფონზე, სოროსის გრანტი არ მოაკლდეთ. ეს არის მათთვის მთავარი, თორემ ვინ რას კარნახობს ან არ კარნახობს სამღვდელოებას, სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ ისევე, როგორც „ჰკიდიათ“ საქართველო და ქართველი ხალხი, ისევე, როგორც „ჰკიდიათ“ ღირსება და მორალი...

**ჯაბა ჟვანია**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ესოდენ ნანატრი საკონსტიტუციო (და, შესაბამისად, პოლიტიკური) სტაბილურობა არც ახლო მომავალში გვეღირსება. ხოლო ის, ვინც 2016-ში ამტკიცებდა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება „ქართულ ოცნებას“ გარყვნის და ფატალურ შედეგებამდე მიიყვანს, როგორც ჩანს, მართალი იყო.**

# «ქართული ოცნება» და საკონსტიტუციო კოშმარი

**კოშმარი, რომელსაც რატომღაც საკონსტიტუციო რეფორმას უწოდებენ, დასასრულს უახლოვდება და მალე რეალობად იქცევა. „ქართულმა ოცნებამ“ თითქმის ყველა შესაძლებელი შეცდომა დაუშვა და, ალბათ, საინტერესო იქნება იმის დადგენა, წაადგება თუ არა ეს ოპოზიციას.**

ერთობლივი დოკუმენტი, რომელიც პრეზიდენტმა და 20 ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს, ხელისუფლებამ აღიქვა, როგორც ულტიმატუმი, ბოლო მომენტში თამაშის წესების შეცვლის მცდელობა და მის განხილვაზე, ფაქტობრივად, უარი თქვა. ამ რეაქციის პროგნოზი არც ისე რთული იყო და იმ პოლიტიკოსების უმრავლესობას, რომლებმაც დოკუმენტს ხელი მოაწერეს, სავარაუდოდ, ესმოდა, რომ შედეგი სწორედ ასეთი იქნებოდა. მომხდარი, რა თქმა უნდა, საზიანოა კონსტიტუციისთვის, თუმცა ყველა პარტიას როდი სურდა, პროცესი კონსენსუსის მიღწევით დასრულებულიყო, რადგან ეს, უპირველესად, „ქართული ოცნების“ აქტივში ჩაიწერებოდა და ის ვენეციის კომისიის თუ დასავლელი ელჩების ქებას დაიმსახურებდა. ხოლო **დღევანდელი სიტუაცია, როდესაც ხელისუფლება საკონსტიტუციო ცვლილებებს რეალურად მარტოდმარტო ამტკიცებს, შესაძლებლობას აძლევს ოპოზიციას, დიქტატზე ისაუბროს და ამის საბაბი უცხოელებსაც მისცეს. ეს ხელს აძლევს იმ პარტიებსაც, რომლებიც ხელისუფლების სასწრაფოდ განადგურებაზე ოცნებობენ („ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტები) და იმათაც, ვისაც ასეთი გლობალური მიზნები არ აქვთ.** ცინიკური პოლიტიკური პრაგმატიზმიდან გამომდინარე, პარტიების ლიდერების უმრავლესობას ხელს აძლევდა, რომ „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციის მიერ სასწრაფო წესით შემუშავებული დოკუმენტის განხილვაზე უარი ეთქვა.

ქვეყნის შიგნით მომხდარს დიდი რეზონანსი, სავარაუდოდ, არ მოჰყვება. სამწუხაროდ, საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილს ესმის, რამდენად ცუდია საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებსაც „ქართული ოცნება“ ხელის გადაგრეხვის მეთოდით იღებს. დანარჩენებს, იმისთვის რომ ხელისუფლების ანტიდემოკრატიულობაში დარწმუნდნენ, უფრო თვალსაჩინო მაგალითები სჭირდება — მიტინგების დარბევა, ოპოზიციის ლიდერების დაპატიმრება და ა.შ. **დემოკრატიული ცნობიერება საქართველოში დღეს იმდენად მგრძნობიარე არ არის, რომ საკანონმდებლო ცვლილებები რეალურ საფრთხედ აღიქვას, მაგრამ მომხდარი უდავოდ მოახდენს გარკვეულ გავლენას უცხოელი პარტნიორების პოზიციაზე: მათ მიეცემათ შესანიშნავი საბაბი ივანიშვილის ხელისუფლებაზე ზეწოლის გასაძლიერებლად.** როგორც ცნობილია, „ქართულ ოცნებას“ უფრო მეტად ეშინია უცხოელი ელჩების რამდენიმე უკმაყოფილო რეპლიკის ან დასავლურ მედიაში გამოქვეყნებული თუნდაც ერთი კრიტიკული წერილის, ვიდრე ქართული მედიის ათასი მამხილებელი პუბლიკაციის ან თუნდაც ერთი მცირერიცხოვანი საპროტესტო აქციის.

იმაში, რომ ხელისუფლებას საიმიჯო პრობლემები შეექმნება, უცნაური არაფერია, გასაკვირი, ალბათ, ისაა, რატომ არ მოხდა ეს უფრო ადრე. ეს, სავარაუდოდ, ორმა ძირითადმა მიზეზმა განაპირობა: 2016-ში, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებამდე, „ქართული ოცნება“ გაცილებით ფრთხილად იქცეოდა, ამასთანავე, რაოდენ პარადოქსულად უნდა გაიჟღეროს, მის წისქვილზე წყალი დაასხა „ნაცმოძრაობის“ სურვილმა — მთავარი მოწინააღმდეგე რაც შეიძლება მალე დაასამაროს.

ოპონენტის დემონიზაციის პროცესი გარკვეულ ეტაპებს შეიცავს, რომელთაც არ შეიძლება „გადაახტე“. ყველაფერი იწყება მცირე ხარვეზების და დეკლარირებულ იდეალებთან მათი შეუსაბამობის გამოხატვით. საზოგადოება არ არის მზად იმისთვის, რომ იმთავითვე დაიჯეროს, ესა თუ ის ძალა დეჰუმანიზებული მკვლელებისგან და მექრთამეებისგან რომ შედგება, ხოლო მისი ლიდერი შეშლილი ტირანია. პროპაგანდისტებს ის ამ დასკვნამდე თანდათან მიჰყავთ და მხოლოდ დასკვნით ეტაპზე უნერგავენ აზრს იმის თაობაზე, რომ ვითარება აუტანელია და აუცილებელია ხელისუფლების სასწრაფო შეცვლა.

ნაციონალებს 2012 წელს სწრაფი რევანში სწყუროდათ, ამიტომ ცდილობდნენ, საზოგადოებრივი აზრი დაუყოვნებლივ ბოლო ეტაპამდე მიეყვანათ, რაც, ბუნებრივია, არ გამოსდიოდათ. პარტიის ლიდერების, ისევე როგორც რიგითი წევრების, განწყობა მაშინ ყველაზე ლაკონურად „ნაცმოძრაობის“ გენმდივანმა ვანო მერაბიშვილმა გამოხატა: „ამ მთავრობას ჩვენ, პირდაპირ ვიძახი, 4 წელიწადს ვერ ვაცლით“ (შეხვედრა მხარდამჭერებთან „ნაცმოძრაობის“ ოფისში 01.02.2013). ზოგ შემთხვევაში ნაციონალები მოწინააღმდეგის მეთოდების კოპირებას ცდილობდნენ და არ ითვალისწინებდნენ იმას, რომ მათ გამოყენებას ოპოზიციის მიერ 2011-12-ში წინ უძღოდა საზოგადოების მრავალწლიანი დარწმუნება იმაში, რომ „ნაცმოძრაობა“ მკვლელების ბანდაა ნაგიჟარი მანიაკით სათავეში. ეს არც ისე რთული იყო, რადგან ნაციონალები თავისი ქმედებით პრაქტიკულად ყოველდღე ამყარებდნენ ამ მოსაზრებას, თუმცა პროცესმა მაინც გარკვეული დრო წაიღო.



**2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ «ქართული ოცნება» თითქოს «გამოცვალეს». საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში მისი მთავარი კურატორი, პარლამენტის თავმჯდომარე კობახიძე ისე იქცეოდა, თითქოს მისი სახელია არა ირაკლი, არამედ მურვანი, ხოლო მეტსახელი — ყრუ**

ბრალი დიქტატორულ მისწრაფებებში „ქართულ ოცნებას“ ნაციონალებმა 2012-შივე დასდეს, თუმცა საქართველოში ამას განსაკუთრებული რეზონანსი არ მოჰყოლია. ალბათ, იმიტომ, რომ „ოცნება“ გაცილებით ფრთხილად ეპყრობოდა პოლიტიკურ ოპონენტებს, არჩევნებსა და სხვა დემოკრატიულ პროცედურებს, ვიდრე „ნაცმოძრაობა“. მართალია, ქვეყნის ფარგლებს გარეთ, უპირველესად, სააკაშვილის მეგობართა წრეში, „ნაცმოძრაობის“ რამდენიმე ლიდერის დაპატიმრების შემდეგ, ეს თემა გარკვეული დროის განმავლობაში აქტიურად გამოიყენებოდა, მაგრამ საგრძნობი ეფექტი ამას არ ჰქონია. საბოლოოდ, ის მიივიწყეს, სხვა თემის, „ივანიშვილის პრორუსულობის“ სასარგებლოდ, რომელიც უფრო პერსპექტიული და სწრაფი შედეგის მომტანი ეგონათ. შესაძლოა, ეს სტრატეგიული შეცდომა იყო, რადგან მას შემდეგ, რაც ივანიშვილის ხელისუფლებამ, დასავლეთთან დაახლოების თვალსაზრისით, გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე წინამორბედმა, ეს თემა, მარტივად რომ ვთქვათ, მოკვდა. აქ შეიძლება კამათი იმის თაობაზე, რომ გარკვეული სარგებელი ივანიშვილის ოპონენტებისთვის მას მაინც მოჰქონდა, იმ მომენტამდე, სანამ შინ და გარეთ საკითხში გაერკვეოდნენ, თუმცა საგრძნობი ზიანი „ქართული ოცნებისთვის“ მას არ მიუყენებია.

აგრეთვე, იყო საფუძვლიანი ბრალდებები კრიმინალის ზრდაზე, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ნაციონალების წინააღმდეგ იმუშავა მათმა სურვილმა, ვითარება რაც შეიძლება მალე აპოკალიფტურად წარმოეჩინათ და მოსახლეობაში რევოლუციური განწყობა გაეღვივებინათ, მაგრამ საკმარისი წინაპირობები ამისთვის არ არსებობდა. რაც შეეხება ბრალდებებს რეპრესიებისა და პოლიციური ტერორის თაობაზე, მათი ღირებულება ნოლამდე ეცემოდა იმავე მომენტში, როდესაც იმ პარტიის წარმომადგენელი ახმოვანებდა, რომელმაც მმართველობის პერიოდში ამ მხრივ სრული საშინელება დაატრიალა. ასე რომ, თემების შერჩევა მთლიანობაში სწორი იყო, მაგრამ სასწრაფო შედეგის მიღწევის, საინფორმაციო ომის ეტაპებზე „გადახტომის“ სურვილმა ნაციონალების წინააღმდეგ იმუშავა. რაც შეეხება „არანაციონალურ“ ოპოზიციურ ძალებს, მათთვის თავიდან მთავარი კოაბიტაციისა და მისი ნეგატიური შედეგების თემა იყო — ხანგრძლივმა დისკუსიამ ამ საკითხზე ხელისუფლება საგრძნობლად დააზარალა; შემდგომ გაიზარდა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე საუბრის სიხშირე.

არადემოკრატიულობასთან დაკავშირებულ ბრალდებებს „ქართული ოცნებისთვის“ დღემდე განსაკუთრებული პრობლემა არ შეუქმნია, მათ შორის იმიტომ, რომ ის ყურადღებით აკვირდებოდა ოპოზიციისა და საზოგადოების რეაქციას და საჭიროების შემთხვევაში პოლიტიკის კორექტირებას ახდენდა. თუმცა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნება“ თითქოს „გამოცვალეს“. საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში მისი მთავარი კურატორი, პარლამენტის თავმჯდომარე კობახიძე ისე იქცეოდა, თითქოს მისი სახელია არა ირაკლი, არამედ მურვანი, ხოლო მეტსახელი — ყრუ.

**ოლიგარქული რეჟიმის ოლიგოფრენიის საილუსტრაციოდ, ალბათ, ის ფაქტიც კმარა, რომ მან სოლიდარული პოზიციის გამოხატვამდე მიიყვანა, ერთი მხრივ, „პატრიოტთა ალიანსი“ და „გაერთიანებული დემოკარატიული მოძრაობა“ და, მეორე მხრივ, „ნაცმოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“.** ერთმანეთთან მკვეთრად დაპირისპირებული პოლიტიკური პარტიების მიერ ხელმოწერელი დოკუმენტის შინაარსი და სულისკვეთება გაიზიარა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. **რამდენიც უნდა ილაპარაკონ მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა იმაზე, რომ მარგველაშვილმა მათ ზურგი შეაქცია და გუნდის იდეალებს უღალატა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პასუხისმგებლობა იმაზე, რასაც პრეზიდენტი აკეთებს, უპირველესად, „ქართულ ოცნებას“ ეკისრება.**

საბოლოოდ, **მმართველი პარტია აღმოჩნდა მდგომარეობაში „ფანტოცი ყველას წინააღმდეგ“** იმ განსხვავებით, რომ ფანტოცი (ახლახან გარდაცვლილი პაოლო ვილაჯოს გენიალური შესრულებით) სასაცილო იყო, ზოგჯერ სიბრალულს იწვევდა, „ქართული ოცნება“ კი მოსაწყენია და სულ უფრო ძნელად ასატანი ხდება.

ის, სავარაუდოდ, ამ კრიზისსაც დაძლევს, თუმცა დღეს დაკარგული ქულები მომავალში დააკლდება, როდესაც „ბოლო წვეთის“ როლს სხვა პრობლემა შეასრულებს, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს მმართველ პარტიას პასუხისმგებლობისგან, რომელიც ცუდი, ერთი პარტიის ინტერესებზე მორგებული, კონსტიტუციის მიღების გამო ეკისრება. მიუხედავად იმისა, რომ ცალ-ცალკე თითოეული მუხლი (მაგრამ არა მათი ერთობლიობა) შეიძლება შეფასდეს, როგორც სავსებით დემოკრატიული, საზოგადოების დიდ ნაწილში, ხელისუფლების უხეში პოლიტიკის გამო, დამკვიდრდა მოსაზრება, რომ ჩასწორებული კონსტიტუციაც არ ვარგა, რამაც მისი მორიგი რედაქტირების ლეგიტიმიზაცია მოახდინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ესოდენ ნანატრი საკონსტიტუციო (და, შესაბამისად, პოლიტიკური) სტაბილურობა არც ახლო მომავალში გვეღირსება. ხოლო ის, ვინც 2016-ში ამტკიცებდა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება „ქართულ ოცნებას“ გარყვნის და ფატალურ შედეგებამდე მიიყვანს, როგორც ჩანს, მართალი იყო.**

**დემოკრატიული ცნობიერება საქართველოში დღეს იმდენად მგრძნობიარე არ არის, რომ საკანონმდებლო ცვლილებები რეალურ საფრთხედ აღიქვას, მაგრამ მომხდარი უდავოდ მოახდენს გარკვეულ გავლენას უცხოელი პარტნიორების პოზიციაზე: მათ მიეცემათ შესანიშნავი საბაბი ივანიშვილის ხელისუფლებაზე ზეწოლის გასაძლიერებლად**

**„მივმართავ ხელისუფლებას: ნუ მოგატყუებს ხალხით გავსებული მოედნები, ჭრელა-ჭრულა დროშები და ლოზუნგები, რეალურად ხალხს ძალიან უჭირს; მათ შორის იმ ადამიანებსაც, რომლებიც თქვენს შეხვედრებზე დგანან და, თუ მართლა გაწუხებთ ამ ხალხის ბედი, პოლიტიკურ სპეკულაციებსა და პიარზე კი ნუ ხართ გადართული, მიხედეთ იმ უბედურებას, რომელიც თქვენივე უმოქმედობით, თქვენივე გულგრილობით ხდება დღეს“.**

რეგიონი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



კახა მიქაია:

# ხალხი ისევ «ოცნებას» თუ აირჩევს, მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე მხარეს არის «ნაცმოძრაობა»

**ივანიშვილის უნიათო ხელისუფლებამ თავისი პოლიტიკური გულგრილობითა და უუნარობით დასავლეთ საქართველო მავნე მწერს, ე.წ. აზიურ ფაროსანას შეაჭამა და წელს, სულ ცოტა, ორი რეგიონი — გურია და სამეგრელო — შიმშილისთვის გაწირა. მიუხედავად ამისა, ნაც-ქოცური ბაკქანალია ჩვეულ რეჟიმში გრძელდება და ამერ-იმერის გაჩანაგების ფონზე „მეოცნებე ხელისუფლება“, თავის პოლიტიკურ მეორე ნახევარ „ვარდოსნებთან“ ერთად, საარჩევნო ტრიუმფისთვის ემზადება. ოლიგარქის შუბლისძარღვგაწყვეტილი შეგირდები მათივე უნიათობით გადამწვარ-გადაბუგულ და მავნე მწერის მიერ გადაჭმულ რეგიონებშიც უპირობო გამარჯვებას ელოდებიან — შეხვედრებს შეხვედრებზე მართავენ და მოსახლეობას მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ... მილიარდერ ივანიშვილს, როგორც ჩანს, სხვისი ჭირი მართლა ღობის ჩხირი ჰგონია და გლეხის სატკივარი სასაცილოდ არ ჰყოფნის; იმის შიში კი, რომ ხალხი შეიძლება აჯანყდეს, საერთოდ, არ აქვს. ოლიგარქს, ეტყობა, არც იმის ეშინია, რომ არჩევნებში შეიძლება დამარცხდეს და ისევე აღმოჩნდეს პოლიტიკურ სანაგვეზე, როგორც მისი წინამორბედი; არ ეშინია იმიტომ, რომ არჩევნების ბედს ხალხს რეალურად არავინ ეკითხება; კიდევ იმიტომ, რომ დღეს პოლიტიკურ ველზე ქოცების ალტერნატივა, ფაქტობრივად, არ ჩანს....როგორი ვითარებაა ამჟამად დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამერგელოში და რა განწყობებია მოსახლეობაში არჩევნებამდე სამი კვირით ადრე, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი კახა მიქაია.**

**— ბატონო კახა, სამეგრელოს მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი თხილია, თუმცა წელს ეს შემოსავალი თითქმის მთლიანად განადგურდა. რა კეთდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად, რა ნაბიჯებს დგამს ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლება?**

— რა ნაბიჯებიც უნდა იდგმებოდეს დღეს, ხელისუფლებამ უკვე დააგვიანა. განადგურებულია მოსახლეობის ძირითადი საარსებო წყარო — თხილი, სიმინდი, ხილი, ბოსტნეული. ეს არის სრული კატასტროფა ამ რეგიონისთვის, რადგან მოსახლეობა განწირულია შიმშილისთვის. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, **ცხადია, ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას, იმიტომ, რომ მან ვერ უზრუნველყო ფაროსანას წინააღმდეგ ღონისძიებების დროულად გატარება.** სულ არ მაინტერესებს, რატომ ვერ უზრუნველყო და რის გამო, ფაქტია, რომ მოსახლეობა დატოვეს შემოსავლის გარეშე და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: წლევანდელი ზამთარი სამეგრელოს მოსახლეობისთვის იქნება უმძიმესი, თუმცა არა მხოლოდ სამეგრელოსთვის, სრულიად საქართველოს ძალიან მძიმედ დაეტყობა ის ზარალი, რომელიც ამ რეგიონმა განიცადა.

**— რატომ დააგვიანა ხელისუფლებამ, ადგილობრივმა თუ ცენტრალურმა, შესაბამისი ზომების გატარება?**

— ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რა შედეგები მოჰყვებოდა ამ ყველაფერს, იცოდა თუნდაც სხვა ქვეყნების მაგალითზე, რა დაემართებოდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგს ამ მავნე მწერის შემოსევის შედეგად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არაფერი გააკეთა. ფაქტი ეს არის. ახლა, რაც გინდათ, დაარქვით ამას, გნებავთ — უნიათო ხელისუფლება, გნებავთ — უვიცი, უუნარო, ეს არაფერს ცვლის. **ხელისუფლების უპასუხისმგებლობის შედეგად შეიქმნა უმძიმესი ვითარება, სამეგრელოს მოსახლეობა სასოწარკვეთილია, ამბობს, რომ შიმშილი დაიწყება და 1990-იანი წლების სიდუხჭირე დაბრუნდება...**

## სამეგრელოს მოსახლეობა სასოწარკვეთილია, ამბობს, რომ შიმშილი დაიწყება და 1990-იანი წლების სიდუხჭირე დაბრუნდება...

ეს კი, რა თქმა უნდა, აისახება მოსახლეობის განწყობაზე, რადგან ხალხი უკიდურესად არის გაღიზიანებული, თუმცა, სიმართლე გითხრათ, **არ მგონია, სამეგრელოში ხელისუფლება დამარცხდეს. იმიტომ კი არა, რომ „ოცნების“ პოლიტიკით ვინმე კმაყოფილია, არა, უბრალოდ, იმიტომ, რომ მეორე მხარეს დგას პირსისხლიანი „ნაცმოძრაობა“.** ხალხს ისე ზარავს მათი სახელის გაგონება, ისე ეშინია მოსახლეობას იმ ავადსახსენებელი წარსულის, რომ, ფაქტობრივად, სხვა გზას ვერ ხედავს, გარდა იმისა, რომ ისევ „ოცნებას“ დაუჭიროს მხარი. აი ეს არის ის სამწუხარო რეალობა, რომელიც დღეს გვაქვს და ამიტომაც გასდის ხელისუფლებას ყველაფერი.

თუმცა, წინ მძიმე ზამთარი გველის, ამიტომაც **მივმართავ ხელისუფლებას: ნუ მოგატყუებთ ხალხით გავსებული მოედნები, ჭრელა-ჭრულა დროშები და ლოზუნგები, რეალურად ხალხს ძალიან უჭირს; მათ შორის იმ ადამიანებსაც, რომლებიც თქვენს შეხვედრებზე დგანან და, თუ მართლა გაწუხებთ ამ ხალხის ბედი, პოლიტიკურ სპეკულაციებსა და პიარზე კი ნუ ხართ გადართული, მიხედეთ იმ უბედურებას, რომელიც თქვენივე უმოქმედობით, თქვენივე გულგრილობით ხდება დღეს. უბედურება არის ის, რომ ჩვენ ახლა არჩევანის გაკეთება გვიწევს ცუდსა და უარესს შორის,** ანუ საზოგადოების პროტესტი ხელისუფლების მიმართ აშკარაა, მაგრამ არ ჩანს ალტერნატივა. ეს არის ძალიან სამწუხარო რეალობა და ვიტყოდი, რომ ჩვენ ახლა უკიდურესი პოლიტიკური ნიჰილიზმის სტადიაში ვართ. ეს ეხება არა მხოლოდ სამეგრელოს ან რომელიმე სხვა რეგიონს, არამედ სრულიად საქართველოს. კიდევ ვიმეორებ: ხალხი ისევ „ოცნებას“ თუ აირჩევს, მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე მხარეს არის „ნაცმოძრაობა“. ეს ცალკე უბედურებაა და სერიოზული პოლიტიკური ამბიციების მქონე პოლიტიკურ ძალას, ელემენტარულად, უნდა ესმოდეს, რომ ვილაცის შიშით არჩეულ ხელისუფლებას, როგორც წესი, დიდი ხნის არსებობა არ უწერია...

დღეს საქართველოს მოსახლეობა დაბნეულია და არ იცის, რა ქნას. ეს ხდება იმიტომ, რომ პოლიტიკურ სპექტრში არ არსებობს რეალური ძალა, რომელსაც შეიძლება ენდო; არ არსებობს ძალა, რომელზეც შეიძლება გულწრფელად, შენი პოლიტიკური სიმპათიით გააკეთო არჩევანი და არა იმის მიხედვით, რომელია ნაკლებად ცუდი, რომელი მომპარავს ნაკლებს და ნაკლებად მაზარალებს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**P.S. „მეოცნებე ხელისუფლებამ“ დახმარების მომლოდინე სამეგრელოს მოსახლეობას ცოტა ხნის წინათ სპეციალური ბუკლეტები დაურიგა და ჯოჯოხეთის მწერ (ასე ეძახიან მას ევროპასა და ამერიკაში) აზიურ ფაროსანასთან დამოუკიდებლად ბრძოლის საშუალებებზე ინფორმაცია მიაწოდა. ამ ფაქტმა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს პარლამენტის იმჟამინდელი თავმჯდომარე დავით ბაქრაძის მიმართვა გამახსენა მოსახლეობისადმი: დაიცავით თავი ყველა საშუალებით — დანებით, ჩანგლებით, ფიწლებით, ბარებით! ზემოაღნიშნული ბუკლეტებით ქოცებმაც რეალურად იგივე გვითხრეს: ებრძოლეთ ფაროსანას და, საერთოდ, ყველა პრობლემას დამოუკიდებლად, ჩვენი იმედი ნუ გექნებათო...**

**სტატისტიკური მონაცემებით, თბილისში 1 მილიონ 100 ათასი კაცი ცხოვრობს და საკრებულოში 50 ხელფასიანი წევრი გვყავს თავიანთი პრემია-დანამატებითა და ბენზინის ტალონებით. არადა, თბილისზე დიდი ქალაქების საკრებულოებში უფრო ნაკლები წევრია. მაგალითად, რომში, სადაც 2 მილიონ 900 ათასი ადამიანი ცხოვრობს, საკრებულოში 48 წევრი ჰყავთ.**

# «ტრაბახობენ, გზები დავაგეთო. რა არის აქ სატრაბახო: რა, თავისი ფულით დააგეს გზები?»

2016 წლის მონაცემებით, საქართველოს მთავრობას 3 677 ავტომობილი ემსახურება. სახელმწიფო აუდიტის დასკვნით, შარშან საქართველოს მთავრობამ 53 მლნ ლარზე მეტი ღირებულების საწვავი მოიხმარა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი უწყების შემთხვევაში საწვავის ხარჯები ცალკე გამოყოფილი არ არის, რაც ჯამურ დანახარჯს კიდევ უფრო ზრდის. ამავე დოკუმენტით დგინდება, რომ მთავრობის საკუთრებაში არსებულ ერთი ავტომობილის მოვლა წლის განმავლობაში 4300-დან 7800 ლარამდე ჯდება.

თბილისის მერიას 281 მანქანა ემსახურება, ერთი ავტომობილის მოვლა წლის განმავლობაში 4300-დან 7800 ლარამდე ჯდება.

ორიოდე სიტყვა ტენდერებზეც: პარლამენტარმა ირაკლი სესიაშვილმა თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ 2 ელექტრონულ აუქციონში კონკურენციის გარეშე გაიმარჯვა. შედეგად, სარეკრეაციო ზონაში მდებარე 2 ნაკვეთი ჩალის ფასად იყიდა. მათგან ერთი თვითნებურად ჰქონდა დაკავებული.

2016 წლის 11 მარტს თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონზე დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, სარეკრეაციო ზონაში არსებული 326 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 14 214 ლარად გაიყიდა.

აუქციონში გაიმარჯვა ერთადერთმა მონაწილემ — საქართველოს პარლამენტის წევრმა ირაკლი სესიაშვილმა, თელავი-ყვარელის 27 ოლქიდან არჩეულმა მაჟორიტარმა. პარლამენტში სესიაშვილს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა უკავია.

ამის შემდეგ ირაკლი სესიაშვილმა თვითნებურად დაიკავა 311 კვ.მ მომიჯნავე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც 2017 წლის 10 მარტს თბილისის მერიამ ელექტრონული აუქციონი გამოაცხადა.

აუქციონში ამჯერადაც მხოლოდ ირაკლი სესიაშვილი მონაწილეობდა, მან მიწის ნაკვეთი 16 480 ლარად შეიძინა.

ყბადაღებული თემაა გზები და ხიდები. ზაჰესის ხიდი უკვე მესამედ ჩაინგრა. 2 წელიწადია, რეაბილიტაცია მიმდინარეობს და, ჯამში, 4 მილიონი ლარია დახარჯული. ამბობენ, რომ დაახლოებით ამ პერიოდში (2,5 წელში) აშენდა ევროპის ერთ-ერთი მასშტაბური ხიდი – ბოსფორის ხიდი, რომელიც დღეში 200 ათას ავტომობილს ატარებს.

**გვესაუბრება ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, თბილისის მერობის კანიდადტი გიორგი გუგავა:**

— კატასტროფულად მოიმატა პრემიებისა და დანამატების, ბენზინის ხარჯმა. **საკრებულოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს, კომისიის თავმჯდომარეებს, მათ მოადგილეებს თვეში 800-დან 1000 ლიტრამდე ბენზინი ეძლევათ თბილისში გადასაადგილებლად. შეუძლებელია, ამ რაოდენობის ბენზინი თბილისში დახარჯო — ისინი საწვავს ან ყიდდნენ, ან ოჯახის წევრებისთვისაც ჰქონდათ გათვლილი.**



ყველას გვახსოვს მერიისა და საკრებულოში რბილი ავეჯის შესყიდვის პროცესი დაუსრულებელი რომ იყო. იწყობდნენ რაღაც „აღმოსავლურ ოთახებს“, ამაშიც მილიონები დაიხარჯა.

ტრაგიკომიკური იყო თანხის გამოყოფა ჭამა-სმის შემსწავლელი კურსებისთვის, რომელსაც შემდეგ საზოგადოებამ „დახვეწილობის“ კურსები შეარქვა. ბიუჯეტის ხარჯზე ხშირად იმართებოდა ქეიფი, ნადიმი. უფრო მეტიც, მომღერალთა და დამკვრელთა, ანუ ფანოლების ფულიც ბიუჯეტიდან იხარჯებოდა. საქმე გაუმაძღრობასთან გვაქვს და ბიუჯეტიდან მილიონების ფლანგვასთან, მაშინ, როდესაც უფასო სასადილოებში ერთი ადამიანის გამოკვებაზე 1 ლარი და 18 თეთრია გამოყოფილი.

**— დედაქალაქის მთავრობას კარგი საქმეები არ უკეთებია? გზები ხომ დაიგო, ხიდებიც ხომ აშენდა და შერემონტდა?**

— ზაჰესის ხიდი მესამედ ჩაინგრა. ის, ვისთანაც კონტრაქტი პირველად გააფორმეს, ფულიანად გაიქცა საქართველოდან და კაციშვილს აღარ მოუკითხავს, სად წავიდა ბიუჯეტიდან წაღებული თანხა. ასეთი რაღაცები შემთხვევით არ ხდება, ამ საქმეში ვიღაც მაღალი რანგის წარმომადგენელი იყო გარეული. ეს ხომ სისხლის სამართლის დანაშაულია? სტალინის მმართველობის პერიოდში ასეთებს ხვრეტდნენ... თუ არ დახვრეტენ და სისხლისღვრის მომხრენი არ ვართ, პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს. **ხშირად ტრაბახობენ, გზები დავაგეთო. რა არის აქ სატრაბახო: რა, თავისი ფულით დააგეს გზები?** მერსა და საკრებულოს თავმჯდომარეს პირდაპირ ეხება ეს საქმე, ამისთვის ბიუჯეტში თანხებია გამოყოფილი, ბიუჯეტში, რომელსაც ჩვენ, ხალხი, ვავსებთ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რესპუბლიკური პარტია ამომრჩევლების მოზიდვას რუსეთისგან მტრის ხატის შექმნითა და ნამდვილი ხატის — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის — დისკრედიტაციით ცდილობს.

# მალე რესპუბლიკური პარტიის რომელიმე წევრი იმასაც იტყვის: ქართველები უმცირესობაში ვართ და ქვეყანას საქართველო არ უნდა ერქვასო

**რესპუბლიკური პარტიის წინასაარჩევნო კლიპი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად პატრიარქის დისკრედიტაციის ღია მცდელობაა და მილიონობით მართლმადიდებლის რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფელი, სიძულვილის ენაზე აგებული ეს „შედევრი“ უფასოდ, იმავე მართლმადიდებლების გადასახადების ხარჯზე, ტირაჟირდება.**

ამას წინათ რესპუბლიკურმა პარტიამ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ლიბერალურ ხაზთან“ ერთად, შვედეთის საერთაშორისო ლიბერალური ცენტრის მხარდაჭერით კონფერენცია გამართა, რომლის ორგანიზატორებმა მონაწილეებს ორი დოკუმენტი წარუდგინეს: „ორდონიანი თვითმმართველობა — მმართველობის დეცენტრალიზაციისთვის“ და „სამოქალაქო კონტრაქტი პარტნიორობის შესახებ“. პირველი დოკუმენტი ორდონიანი თვითმმართველობის შექმნას გულისხმობს, ხოლო მეორე — ლგბტ პირებისთვის სამოქალაქო კონტრაქტის შექმნას. კერძოდ, როგორც რესპუბლიკურ პარტიაში განმარტავენ, იმისთვის, რომ ლგბტ წყვილების პირადი და ქონებრივი უფლებები უზრუნველყოფილი იყოს, უნდა მოხდეს მათთვის სამართლებრივი გარანტიების მიცემა და საჭიროა, სახელმწიფომ დაარეგულიროს მათ შორის წარმოშობილი ურთიერთობები, ანუ, გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, უნდა მოხდეს ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება.

**„ვფიქრობთ, რომ ხელისუფლება უნდა იყოს ადეკვატური და სამართლებრივად უნდა აღიაროს იმ ადამიანების უფლებები, რომლებიც დღეს არ არიან აღიარებულნი. ლგბტ ადამიანები, ფაქტობრივად, თანაცხოვრობენ და ეს ყველაფერი სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა მოექცეს. ეს არის თანამედროვე, ლიბერალური, დემოკრატიული სახელმწიფოების სტანდარტი“**, — განაცხადა რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა **თამარ კორძაიამ.**



თამარ კორძაია

ანუ, **რესპუბლიკური პარტიის ლიდერები ამბობენ, რომ იმ ადამიანთა ჯგუფს, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ლესბოსელი ნინო ბოლქვაძე საარჩევნო სიაში ჰყავთ, უფრო მეტი უფლებები უნდა მიეცეს, ანუ ლგბტ პირებს ოჯახების შექმნის უფლება უნდა დაუკანონდეთ, ხოლო ის, რომ მართლმადიდებლურად, ეკლესიურად, ოჯახი მხოლოდ ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრებაა, უნდა დავივიწყოთ.**

უფრო შორს წავიდა პარტიის თავმჯდომარე **ხათუნა სამნიძე.** მან ამერიკის ვიცეპრეზიდენტ **მაიკ პენსის** ვიზიტი ქართულ ეკლესიაში დაუკავშირა არსებულ რუსულ გავლენებს.

„ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტ მაიკ პენსის ვიზიტის შემდეგ, რომელმაც მკაფიო და მკაცრი გზავნილები გაუგზავნა რუსეთს, საპატრიარქომ სტუმრად მიიღო რუსეთის დუმის დეპუტატი **არტიომ კავინოვი.** ეს ძალიან კარგად გამოიყენა ხელისუფლებამ რუსეთთან ურთიერთობის დასაბალანსებლად, რათა რუსეთისგან არ წამოსულიყო აგრესია იმის თაობაზე, რომ მკაფიო გზავნილები იყო შეერთებული შტატების მხრიდან. ძალიან ხშირად საპატრიარქოს რიტორიკა ემთხვევა რუსულ რიტორიკას და ეს გავლენები ასევე გამოწვეულია იმით, რომ ხელისუფლება და საპატრიარქო შეზრდილნი არიან და პოლიტიკური მიზნებისთვის კარგად იყენებენ ერთმანეთს“, — განაცხადა სამნიძემ.

რესპუბლიკური პარტია იმასაც აპროტესტებს, რომ თურმე რუსეთში ლგბტ-თა დევნა მიმდინარეობს, მათი აქტივობები კანონით აიკრძალა, ახლა ისინი შეზღუდულები არიან და მიწისქვეშეთში გადავიდნენ.

საინტერესოა, როგორ იქცევიან მეზობელ ქვეყნებში. ეს ინფორმაცია ბრიტანული საინფორმაციო საშუალება PinkNews-დან ვთარგმნეთ:

**„პოლიციამ აზერბაიჯანში ასზე მეტი გეი და ტრანსგენდერი დააპატიმრა, ცემა და აწამა. პოლიციის განმარტებით, რეიდებს ჰომოსექსუალების დევნასთან არანაირი კავშირი არ აქვს და ისინი პროსტიტუციის წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ სხვა აზერბაიჯანული წყაროები იუწყებიან, რომ პოლიციის მოქმედებები მორალური ფასეულობების დაცვაზე იყო მიმართული. აზერბაიჯანელი პოლიტიკოსის, აიაზ ეფენდიევის, განცხადებით, ჰომოსექსუალების დაცვით დასავლური წრეები აზერბაიჯანის ტრადიციულ ფასეულობებს ებრძვიან.**

**„დასავლური წრეები ამ ამორალობისა და სახიფათო დაავადებების გამავრცელებელი, ღვთისგან დაწყევლილი ადამიანების დაცვით ცდილობენ, ჩვენი ეროვნული ტრადიციები ადამიანის უფლებების სახელით გაანადგურონ“**, — განაცხადა მან.

რა გამოდის? — ლგბტ პირები არც ჩვენს მეზობლად უნდათ, არც რუსეთში და არც სხვაგან. შესაბამისად, რატომ ვუჯერებთ მხოლოდ ევროპისა და ამერიკის ყიჟინას, გინდათ თუ არა, ჰომოსექსუალიზმი დააკანონეთო, გაუგებარია. იქნებ იმიტომ, რომ ამ აღიარებისა და ლიბერალიზმის სანაცვლოდ, საერთაშორისო ორგანიზაქციები მსუყე გრანტებს რიცხავენ? იქნებ იმიტომ, რომ მენტალიტეტის ცვლილების დიდი ექსპერიმენტის მონაწილეები ვართ?

სხვათა შორის, გასულ კვირას ისიც ითქვა, ცალკე ხელისუფლება და ცალკე „ქართული ოცნება“ საერთაშორისო ასპარეზზე ლობისტურ კომპანიებს სოლიდურ თანხებს ურიცხავენ და ბოლო ოთხ წელიწადში ამ თანხებმა 11 მილიონზე მეტი შეადგინაო. უფრო კონკრეტუ- ▶

# რუსეთი ოკუპანტია?

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მივმართავ თხოვნით, გამომიქვეყნოს ეს შენიშვნა, ვინაიდან დღევანდელ ქართულ (უფრო სწორად, ვითომ ქართულ) მასმედიაში შეუძლებელია გადაფარო ანტირუსული ისტერიით შეპყრობილ ნაგიჟართა გნიასი: „რუსეთი ოკუპანტია!“.**

საქართველოში საჯარო პირების „პოლიტიკური ტესტირების“ ორიგინალური მეთოდი დაინერგა. დასმულ შეკითხვაზე: „რუსეთი ოკუპანტია?“ რესპონდენტმა დაუყოვნებლივ უნდა უპასუხოს **„კი“** ან **„არა“.** თუ, დაგიფაროს ღმერთმა, სხაპასხუპით არ იტყვი „კი“-ს და დაიწყებ რაიმე ახსნა-განმარტებას საკითხის დასაზუსტებლად, შენ უკვე ხარ არა მხოლოდ საქართველოს და ქართველი ხალხის, არამედ ცივილიზებული სამყაროს მტერი, რუსეთის ჯაშუში და ა.შ.

**განვიხილოთ პასუხის ვარიანტი „დიახ, რუსეთი ოკუპანტია!“**

დიახ, რუსეთის საჯარისო დანაყოფები ნამდვილად იმყოფებიან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. დიახ, ამ ტერიტორიებზე ისინი ნამდვილად ასრულებენ ერთობლივ თავდაცვით ფუნქციას. დიახ, რუსეთმა არა მხოლოდ ცნო ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, არამედ რეალურად ეხმარება მათ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში. გასაოცარი ამაში არაფერია, რადგან რუსეთი იცავს თავის სახელმწიფო ინტერესებს, იძენს რა მოკავშირეებს ნატოს ბუფერულ ზონად ქცეული საქართველოს სიახლოვეს.

გასაოცარია სხვა რამ: **საერთაშორისო სამართლის არც ერთ ნორმას რუსეთი, როგორც „ოკუპანტი“, არ აკმაყოფილებს, ვინაიდან, ჯერ ერთი, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიები არ არის რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ; და მეორე: თუ ეს ტერიტორიები ოკუპირებულია, მაშინ ოკუპაციის ქვეშ იმყოფებიან ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანები (და არა მხოლოდ აფხაზები და ოსები), თუმცა მათ, ალბათ, არ იციან, რომ ოკუპირებულები არიან და იქნებ სწორედ ამიტომ არ აპროტესტებენ ამ ფაქტს?**

კიდევ ერთი უცნაური ვითარება: დავუშვათ, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას დიდად არ ადარდებს, როგორ იწოდებიან ისინი საქართველოში, მაგრამ გასაკვირია, ამ ქვეყნების ხელისუფალნი რატომ არ აპროტესტებენ ოკუპაციის ფაქტს. ამის ნაცვლად, ეს „ოკუპირებულები“ საქართველოსგან ითხოვენ მათი დამოუკიდებლობის აღიარებას და, ამასთანავე, „ოკუპანტისგან“ იღებენ ყველანაირ შესაძლო დახმარებას, თუმცა არ ექომაგებიან რუსეთს, როცა საქართველომას ოკუპაციის განხორციელებაში ადანაშაულებს. გაუგებარია, რატომ არ შეუძლიათ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს ამ საკითხის წამოწევა თუნდაც ჟენევის მოლაპარაკებებზე. სხვა თუ არაფერი, ამ საკითხის დაყენება ცოტათი მაინც გამოაცოცხლებდა ძილქუშში მყოფ ამ უაზრო და არაფრისმომცემ „მოლაპარაკებებს“, დამატებითი შემოსავლის წყაროდ რომ გადაქცეულა თბილისის კაბინეტებში განაბული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოგონილი მთავრობების წურბელა მოხელეებისთვის...



მკითხველისთვის, ალბათ, გასაგებია, რომ პასუხის ვარიანტი „არა, რუსეთი არ არის ოკუპანტი“ ერთხანს დაბლოკილი იქნება ზემოთ აღწერილი მიზეზების გამო.

შევეცდებით, აქ, ამ ფორმატში მაინც მოვხსნათ ტაბუ ამ საკითხს.

ამისათვის მოკლედ მაინც უნდა განვიხილოთ **თურქეთის, როგორც ანექსიატორის, როლი საქართველოს ისტორიაში.**

ისტორიულ წიაღსვლებს არ მოვყვები და მივმართავ მხოლოდ ფაქტებს: **დაახლოებით ორი საუკუნის წინათ თურქეთმა მიისაკუთრა ქართული მიწები: კარნიფორი, ბასიანი, ძველი დიაოხის ცენტრი — ქალაქი კარნუ და არზრუმის მხარე. მანვე, არც ისე შორეულ წარსულში, 1921 წელს, მოახდინა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია და ანექსია, მიითვისა რა არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, ტაო, ოლთისი, თორთომი, პარხალი, სპერი, ლაზეთი, სადაც ქართული წარმოშობის ბევრი მუსლიმი ცხოვრობდა. თურქეთში, კერძოდ კი, ლაზეთში, შავშეთსა და კლარჯეთში დღესაც ცხოვრობს რამდენიმე მილიონი ქართული წარმოშობის ადამიანი.**

თურქეთი არა მხოლოდ ისტორიულ წარსულში, არამედ დღესაც განაგრძობს ანექსიის პოლიტიკას საქართველოში და არა ომით, არამედ მშვიდობიანად, კორუფციაში ჩაფლული ქართველი სახელმწიფო მოხელეების მოსყიდვის გზით, ნაბიჯ-ნა- ▶

**„ეს იმ ადამიანების ნახელავია, რომლებმაც სტალინის ძეგლის სანაგვეზე გადაგდება დაუკვეთეს. ეს იმ ადამიანების დავალებაა, რომლებმაც, როგორც ილია ჭავჭავაძის, ისე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამქვეყნიდან გასტუმრება დაუკვეთეს“.**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლად კი, **თანხები საქართველოს ხელისუფლების პიარისთვის ევროპასა და ამერიკაში წავიდა. მაშინ საინტერესოა, რატომ თვლიან რესპუბლიკელები, რომ ხელისუფლება ანგარიშვალდებული რუსეთის წინაშეა და სწორედ რუსეთის ინტერესებს ითვალისწინებს?!** რა გამოდის? — ხელისუფლება ერთი ხელით ცდილობს, ევროპასა და ამერიკას უფრო დაუახლოვდეს და ამისთვის სოლიდურ თანხებს არ იშურებს; მეორე ხელით კი ცდილობს, რუსეთი არ გააღიზიანოს და მის ინტერესებს ითვალისწინებს? ცოტა არ იყოს, აბსურდული სიტუაცია იქმნება, თუმცა...

**წინა ხელისუფლების პირობებში საერთაშორისო ლობისტურ ორგანიზაციებზე, ოფიციალურად და არაოფიციალურად ნახევარ მილიარდამდე ლარი იყო გადარიცხული. შედეგად მივიღეთ ის, რომ წინა ხელისუფლებას ევროპა და ამერიკა ყველაფერს „უპრავებდა“ და ნაციონალების ლუკმა მაშინ ისეთი მსუყე იყო, რომ ევროპელები და ამერიკელები ახლაც არ არიან წინააღმდეგი, ნაციონალებს რაღაცები „გაუპრავონ“.** ევროპელები და ამერიკელები არც იმის წინააღმდეგნი იქნებიან, რომ ხელისუფლებაში რესპუბლიკელები მოვიდნენ თავიანთი ლიბერალური იდეებით და ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება დააკანონონ, მაგრამ **რესპუბლიკელების ერთპროცენტიანი რეიტინგი ვერც ფულმა აწია და ვერც იმან, რომ რესპუბლიკური პარტიის ლიდერი ოთხი წლის განმავლობაში პარლამენტის თავმჯდომარე გახლდათ. ქართველმა ერმა არ დაუშვა, რომ ქალისა და ქალის ან კაცისა და კაცის ოჯახები ოფიციალურად შექმნილიყო და რამდენიც უნდა გვექახონ ფაშისტები, იმედი გვაქვს, ეს ბოლომდე ასე იქნება.**

სხვათა შორის, ოფიციალური კვლევების თანახმად, თუ დემოგრაფიული მდგომარეობა არ შეიცვლება, **2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა მილიონით ნაკლები იქნება, რადგან მოკვდავობა შობადობას აჭარბებს.** საინტერესოა, რომ შობადობის მატება, ძირითადად, ეთნიკურ უმცირესობებზე მოდის, ანუ 2050 წლისთვის საქართველოში ქართველები უმცირესობაში ვიქნებით. არ ვამბობთ, რომ ჩვენი ქვეყნიდან ვინმე უნდა გავყაროთ, მაგრამ **ხელისუფლების პიარკამპანიაში დახარჯული 11 მილიონი (უფრო მეტიც) სახელმწიფოს იქნებ ჩვენი გენოფონდის გასაძლიერებლად გამოეყენებინა, თორემ მალე რესპუბლიკური პარტიის რომელიმე ლიდერი იმასაც იტყვის: ქართველები უმცირესობა ვართ და ქვეყანას საქართველო არ უნდა ერქვასო.** ვიღაცას გაეცინება, მაგრამ იმ ვიღაცას მაშინაც ეცინებოდა, როცა ვწერდით, ლგბტ თემის წარმომადგენლებს ხელისუფლებისკენ ექაჩებიან და სურთ, სახელმწიფო ლესბოსელებმა და გეებმა მართონო. ჰოდა, ვინც იცინოდა, რესპუბლიკელების საარჩევნო სიას და მათ მოთხოვნებს ჩახედოს, თანაც ჩვენს სამეზობლოში, ყველა ხელისუფლება დაუფარავად ებრძვის ამ ადამიანებს, ჩვენ კი ამის უფლებაც მოგვისპეს.

**ბესო ბარბაქაძე**

---

ბიჯ ისაკუთრებს მიწებს არა მხოლოდ აჭარაში, არამედ თბილისში, სადაც უკვე ათასობით თურქული ოჯახი დამკვიდრდა და მიიღო საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევითა და ხელშეწყობით ეს უკვე წესად იქცა. ის კი არა, თურმე, ნუ იტყვით და, როგორც საქართველოს პრემიერმინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** განაცხადა, „თურქეთი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მეგობარი“(!) ყოფილა...

საქართველოში აშშ-ის კოლონიზატორული პოლიტიკის თაობაზე ბევრის მოყოლა შეიძლება, თუმცა ეს დიდ დროს წაიღებს და, მეორე მხრივ, საჭიროა კი ამ აშკარა ფაქტის კიდევ ერთხელ დადასტურება? მით უმეტეს, როცა **კოლონიური ყოფის ერთი ძირითადი ნიშანი ნათლად ჩანს: აშშ-ის სახელმწიფო სიმბოლოები, ევროკავშირის სიმბოლოებთან ერთად, იმდენი, რამდენიც საქართველოშია გამოფენილი, თვით ამერიკასა და ევროკავშირშიც არ არის, ხოლო აშშ-ისა და ევროკავშირის დროშები, დიდი ხანია, საქართველოს ეროვნული სიმბოლო და საუკეთესო „ქართული“ სუვენირია...**

თუმცა თავმოყვარეობა დაკარგული ხალხისთვის ეს რა საუხერხულოა?!

ცალკე შეიძლება განვიხილოთ არამეზობელი, არაბული თუ უფრო შორეული აზიური ქვეყნების წარმომადგენელთა მხრიდან საქართველოს კოლონიზაცია (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. სიტყვა „კოლონია“ ლათინური „კოლერე“-დან მომდინარეობს, რაც „განაშენიანებას“ და „მიწის დამუშავებას“ ნიშნავს). ქართველ საზოგადოებას ეხამუშება, ეგზოტიკური ქვეყნების ამდენ წარმომადგენელს რომ ხვდება ყოველ ნაბიჯზე, მით უმეტეს, ჩვენს მიწაზე დამკვიდრებულს რომ ხედავს. ჩვენი შუა საუკუნეების ისტორია ასეთი „საამური ეგზოტიკისაგან“ შედგებოდა, სანამ აქ რუსეთი არ შემოვიდა და შეცვალა ვითარება. ახლა კი რუსეთის გარეშე ვუბრუნდებით ჩვენს „ბუნებრივ“ მდგომარეობას — ფორმალურად „დამოუკიდებელნი“, გავკივით რუსულ ოკუპაციაზე, სახელმწიფო დაწესებულებებში ვაფრიალებთ ევროკავშირის დროშებს და, ფაქტობრივად, ვართ ამერიკის კოლონია, თურქულ-არაბული ანექსია-კოლონიზაციის სერიოზული ნიშნებით.

**დავით ფურცხვანიძე,**
**ანალიტიკური სააგენტო „უსაფრთხოების პრობლემების ანტიკრიზისული ცენტრის“ ხელმძღვანელი**

---

**გრიგოლ ონიანი:**

# ილია ჭავჭავაძე ხომ ნამდვილი ქართველი და ერის მამაა, მისი ძეგლი რატომ გდია ბორჯომის ნაგავსაყრელზე?!

**2010 წლის 24 ივნისს გორში, სტალინის მშობლიურ ქალაქში, დიდი ბელადის ძეგლი ღამით, მოსახლეობისგან მალულად აიღეს. ეს თარიღი დაამთხვიეს დღეს, როდესაც დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ სტალინმა პირველი სამხედრო აღლუმი ჩაიბარა. წლები გავიდა და, მიუხედავად მოსახლეობის მოთხოვნისა და ხელისუფლების დაპირებისა, სტალინის ძეგლი არც თავის ადგილას დაუბრუნებიათ და არც მისი სახლ-მუზეუმის ეზოში დაუდგამთ. უფრო მეტიც — ძეგლი ამჟამად ტრიალ მინდორში აგდია.**

**2015 წელს კი ბორჯომში ილია ჭავჭავაძის ძეგლი აიღეს იმ მიზეზით, რომ ტანი, ილიასი კი არა, რევოლუციონერ ფელიქს ძერჟინსკის აქვსო. დიდი ილიას ძეგლი ამჟამად ნაგავსაყრელად ქცეულ ტერიტორიაზეა... ძეგლების ჩამოგდება ჩვენთვის ახალი ამბავი არ არის, ყველას კარგად გვახსოვს აღმაშენებლის ძეგლის გადატანა დედაქალაქის შუაგულიდან შემოსასვლელისკენ, ბათუმში მემედ აბაშიძის ძეგლის აღება, ფოთის ცენტრიდან „კოლხი დედის“ ძეგლის გატანა, ქუთაისში „დიდების მემორიალის“ აფეთქება, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა... ძეგლებთან ბრძოლა დაიწყეს პოლონეთშიც. იქ წითელი არმიის გამარჯვებისა და დიდი სამამულო ომის დიდების დღეების აღმნიშვნელი 230-მდე ძეგლის აღებას აპირებენ; რამდენიმე დღის წინათ ტრაგედიით დასრულდა აშშ-ში სამოქალაქო ომის გმირის, კონფედერატების გენერლის, რობერტ ლის ძეგლის აღების მცდელობა — დაპირისპირებისას დაიღუპა ერთი და დაიჭრა 19 ადამიანი...**

**როგორც ჩანს, ძეგლებთან ბრძოლა ლიბერალების კიდევ ერთი ჰობია...**

**გვესაუბრება საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე გრიგოლ ონიანი.**


სტალინის ძეგლი გორში

**— ჩვენთვის ცნობილია, რომ სტალინის ძეგლი, რომელიც გორში აიღეს, ამჟამად ტრიალ მინდორში აგდია...**

— გთხოვ ამ ინტერვიუს დაურთო იმის ამსახველი ფოტოები, რაც გორში ხდება: **ბრინჯაოსგან ჩამოსხმული სტალინის უზარმაზარი ქანდაკება, რომელიც კედლებით დაცულ, თუმცა გადაუხურავ შენობაში იყო მოთავსებული, მინდორში გაუტანიათ და ლაფში ამოსვრილი გდია უპატრონოდ. ის კაცი კი (რევაზ კახნიაშვილი), რომელიც ჩამოგდებულ სტალინის ძეგლს გორის ცენტრალურ მოედანზე თავში ხელს უტყაპუნებდა, დღეს ქალაქის მერობის კანდიდატად არის დასახელებული.** სწორედ სტალინის მიზეზით არის გორი ტურისტებისთვის ერთ-ერთი საინტერესო ადგილი საქართველოში. არადა, **ერთ-ერთ სავაჭრო ობიექტზე სტალინის ფოტოს გამოჩენამ ზოგი არამზადა არასამთავრობოს გაღიზიანება გამოიწვია და საპროტესტო აქციაც გამართეს. ისინი ხომ თავს სტალინის ლანძღვითა და გინებით ირჩენენ, საზღვარგარეთიდან მიღებული დოლარებით. არ გალანძღავენ სტალინს და არ ექნებათ დოლარი, მაგრამ მე იმ ადაიანების გამკვირვებია, რომლებიც სტალინის სახლ-მუზეუმში მუშაობენ. 50 კაცზე მეტი სწორედ სტალინის სახელით იკვებება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სტალინის მუზეუმით მიღებული შემოსავალი არცთუ ცოტა შეღავათს აძლევს გორის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას პრემიების დასარიგებლად.**

**— სტალინის ძეგლის „გადაგდება“ რატომ გიკვირთ, ბატონო გრიგოლ, ბორჯომში ილია ჭავჭავაძის ძეგლი აიღეს და ამჟამად ნაგავსაყრელზეა...**

— კი, ასეა... **თქვე მართლა მკვდრებო, არ გრცხვენიათ მკვდარი სტალინი რომ გარჩენთ დღესაც, თქვენ კი ხმას არ იღებთ მის დასაცავად?** თუმცა რა, თუ სტალინი მამა არ იყო და „ნაოსარია“, ილია ჭავჭავაძე ხომ ნამდვილი ქართველი და ერის მამაა, მისი ძეგლი რატომ გდია ბორჯომში ნაგავსაყრელზე?! ილიას ძეგლს ტანს ედავებიან, — ძერჟინსკისააო. როდის ეცვა ძერჟინსკის კრაველის საყელოიანი პალტო?! ან ძეგლის თითები ვისია, რა, დნმ-ის ანალიზი ჩაუტარეთ?! ვაი, თქვენს პატრონს! მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ადგილობრივი ხელისუფლების შემოქმედება ან ხალხის დაკვეთა არ არის. არა, ბატონებო! ბორჯომის მუნიციპალიტეტში და, საერთოდ, ბორჯომში, ძალიან კარგი ხალხია. მე მათ, დიდი ხანია, ვიცნობ და მჯერა, ეს იმ ადამიანების ნახელავია, რომლებმაც სტალინის ძეგლის სანაგვეზე გადაგდება დაუკვეთეს. ეს იმ ადამიანების დავალებაა, რომლებმაც, როგორც ილია ჭავჭავაძის, ისე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამქვეყნიდან გასტუმრება დაუკვეთეს. **საქართველოში დღეს თურმე ჩვენ ვართ „რუსეთუმეები“, რომლებიც მოწყვეტილი ვართ ყოველგვარ მფარველობას, ხოლო სტალინის, ილიას, კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიის, ტრადიციების, ოჯახის, სამშობლოს სიყვარულისა და, საზოგადოდ, სიყვარულისა და პატრიოტიზმის მტრების უმრავლესობა ხელისუფლებაშია მოკალათებული და დასავლეთის მიერ მორალურ-ფინანსურად მხარდაჭერილი.**

თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოების პირველი პირები — პრეზიდენტები, მეფეები, კანცლერები, პრემიერმინისტრები სარკეში აკვირდებიან თავიანთ თავს და სტალინთან მსგავსების ნიშნებს ეძებენ, ამაყობენ იმით, რომ ოკეანეების გაღმა, ცივილიზაციის გარკვეულ ნაწილში, მათ ამ მხარის სტალინს ეძახიან.

ხშირად მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: ავსტრიის დედაქალაქ ვენაში სახლზე, სადაც სტალინმა 1913 წელს დაწერა წიგნი ნაციონალურ საკითხზე, მემორიალური დაფაა მიმაგრებული სტალინის უზარმაზარი ბარელიეფით, ხოლო სტალინის ბიუსტი და ძეგლი მსოფლიოს 27 ქვეყანაში დგას.

**ესაუბრა**
**ეკა ნასყიდაშვილი**


ილიას ძეგლი ბორჯომში

**«ილიას ძეგლს ტანს ედავებიან, — ძერჟინსკისააო. როდის ეცვა ძერჟინსკის კრაველის საყელოიანი პალტო?! ან ძეგლის თითები ვისია, რა, დნმ-ის ანალიზი ჩაუტარეთ?! ვაი, თქვენს პატრონს!»**

გეოპოლიტიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ალტერნატივამ“ გაუძლო წნეხს, გადაურჩა მარგინალიზაციას და საკმაოდ კომპეტენტური ორგანიზაციის შთაბეჭდილებას ტოვებს... მისი წევრები ელემენტარულ ფუნდამენტურ ჭეშმარიტებას ამბობენ, რომ წინა პლანზე თავიანთი ერისა და სახელმწიფოს — გერმანიის — ინტერესები უნდა იდგეს და არა გლობალისტური ისტებლიშმენტისა, რომელსაც ერთხელ „საერთაშორისო გლობალისტური მაფია“ ვუწოდე.**

# «დასავლეთის ფრონტზე ცვლილებებია»

**24 სექტემბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნების შედეგად „ალტერნატივა გერმანიისთვის“ (Alternative fur Deutschland, შემოკლებით — AfD) საპარლამენტო პარტია გახდა. ოთხიოდე წლის წინათ დაარსებული პარტიისთვის ნაჩვენები შედეგი იმ წარმატების გაგრძელებაა, რომელიც 2014 წლის ევროპულ არჩევნებში მონაწილეობით დაიწყო. ადგილობრივ პარლამენტებში „ალტერნატივას“ უკვე 13 წარმომადგენელი ჰყავს. და ახლა ფედერალური პარლამენტის — ბუნდესტაგის — ბარიერიც დამაჯერებლად გადალახა. აქამდე არსებულ ტრადიციულ პარტიებს მოსვენება დაეკარგათ, რადგან ახალ პარლამენტში სულ სხვა პოლიტიკური ატმოსფერო იქნება, ვიდრე აქამდე იყო; ანგელა მერკელი, რომელიც კანცლერად დარჩება, ნაკლებად კომფორტულად იგრძნობს თავს.**




„ალტერნატივა გერმანიისთვის“, როგორც ცნობილია, შეიქმნა ანტიიმიგრაციულ ტალღაზე, ახლო აღმოსავლეთიდან, „არაბული გაზაფხულის“ შედეგად წარმოშობილი მიგრაციის შედეგად. მმართველმა კოსმოპოლიტურმა ისტებლიშმენტმა, პირველ რიგში, მასმედიამ, „ალტერნატივას“ მალევე მიაკრა „მემარჯვენე ექსტრემისტებისა“ და „ქსენოფობების“ იარლიყი. პარტიის ზოგი წამყვანი წევრი, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან ექსტრემისტული მიდრეკილებებით, საკონსტიტუციო დაცვის სამსახურის (სპეცსამსახური) დაკვირვების ქვეშაა. ოთხი წლის განმავლობაში ებრძოდა „ალტერნატივას“ ევროპაში გაბატონებული სისტემა, ყველაფერი გაკეთდა მისი მარგინალიზაციისთვის, მაგრამ გერმანელი ამომრჩევლის ნაწილმა ამ პარტიას თავისი ნდობა დაუდასტურა და ამიერიდან იგი გავლენიან პოლიტიკურ ძალად აქცია. **„ქრისტიან-დემოკრატებისა“ და „სოციალ-დემოკრატების“ შემდეგ ახალ პარლამენტში „ალტერნატივა“ მესამე ადგილს დაიკავებს.**

შეშფოთებული ისტებლიშმენტი ცდილობს, ახსნა მოუძებნოს ახალი მემარჯვენე-ნაციონალისტური, მე ვიტყოდი, პატრიოტული ძალის წარმატებას. ბევრი ევროპელი ანალიტიკოსი ცდილობდა, „ალტერნატივის“ ამომრჩევლად ღარიბი გერმანელი მოქალაქეები განეხილა, მაგრამ ბოლო კვლევებით, რომლებიც Spiegel Online-მა გამოაქვეყნა, ეს ვარაუდი არ დადასტურდა; პირიქით — გაირკვა, რომ „ალტერნატივას“ სოციალურად დაცული და ცხოვრების დონით საკმაოდ დაკმაყოფილებული ამომრჩევლები ჰყავს. მათგან 39 პროცენტს საშუალოზე გაცილებით მეტი შემოსავალი აქვს; დანარჩენი კი, ძირითადად, საშუალო ფენის წარმომადგენლები არიან.

ასევე მცდარი აღმოჩნდა აქამდე არსებული ინფორმაცია, რომ „ალტერნატივას“ სხვებთან შედარებით ნაკლებად განათლებული ამომრჩევლები უჭერენ მხარს, ამიტომაც იყო ფუჭი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მცდელობა, „ალტერნატივის“ ამომრჩევლები გადაებირებინა მათთვის უკეთესი ეკონომიკური პერსპექტივის შეთავაზებით. „სოციალ-დემოკრატებმა“ თავი „პატარა ადამიანების“ მცველებად და „გლობალიზაციისგან დაზარალებულების“ მშველელებად გაასაღეს. ესეც ამაოდ. „ალტერნატივა“ ბევრ ეკონომიკურ საკითხში არ ეთანხმება მმართველ „ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს“, მაგრამ მისთვის პრიორიტეტული საარჩევნო თემა სხვა მიმართულება იყო, კერძოდ, წინა პლანზე წამოიწია ქვეყნის შიდა უსაფრთხოებისა და ერის, საზოგადოების იდენტობის საკითხებმა.

**გერმანიის პარლამენტში «ალტერნატივის» ასეთი დამაჯერებელი შესვლა ერთგვარი პოლიტიკური რევოლუციაა. ფრანგ, ჰოლანდიელ, ავსტრიელ, ბრიტანელ და სხვა ევროპელ ნაციონალისტებს (თუ პატრიოტებს — ვისაც როგორ სურს, ისე დაარქვას) მხარს ახლა გერმანელი კოლეგებიც აუბამენ**

სოციოლოგი, პროფესორი **ჰოლგერ ლენგფელდი** პირდაპირ ამბობს:

**„ობიექტური ეკონომიკური ვითარება სულაც არ უბიძგებს ადამიანებს „ალტერნატივისკენ“. მათი მთავარი საკითხია, როგორი უნდა იყოს საზოგადოება და ქვეყანა მომავალში. ჩვენ საქმე გვაქვს მოსახლეობის უმცირესობასთან, მაგრამ მის არც ისე მცირე ნაწილთან, რომლისთვისაც გასული წლების კულტურული ცვლილებები მკვეთრად მიუღებელია. მხედველობაში მაქვს საზოგადოებრივი მოდერნიზაცია, გარე სამყაროსადმი მეტი გახსნილობა, მულტიკულტურიზმი და კოსმოპოლიტიზმი. უმრავლესობა ამ ყველაფერს ემხრობა, მაგრამ უმცირესობა აქცენტს აკეთებს ტრადიციული იდეალების შენარჩუნებაზე, სახელმწიფოს კონსოლიდაციაზე, რომელიც კულტურულ ჰომოგენობაზე ზრუნავს, ანუ მათი უკმაყოფილება გამოწვეულია არა ეკონომიკით, არამედ საზოგადოებრივი განვითარების მოდელით“.**

ლენგფელდთან ინტერვიუს პარალელურად, გამოცემა Spiegel Online-ი აღნიშნავს: **„ამერიკელი და ევროპელი სოციოლოგები ამ კონტექსტში საუბრობენ „ჩუმ რევოლუციაზე“: დასავლეთში, სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, დამკვიდრდა ლიბერალური საზოგადოებრივი სურათი. ამის ერთი მაგალითია ერთნაირსქესიანთა ურთიერთობების სტატუსის გათანასწორება. ახალი საუკუნის პირველ წლებში, როდესაც „სოციალ-დემოკრატებისა“ და „მწვანეების“ ალიანსმა შექმნა საფუძველი, სახელმწიფოს მხრიდან ჰომოსექსუალთა პარტნიორობის აღიარებისა, მოქალაქეთა მხოლოდ 52-56-მა პროცენტმა გამოხატა ამ საკითხზე დადებითი აზრი. მაგრამ 2017 წლის ზაფხულში, როდესაც ბუნდესტაგმა დაამკვიდრა პრინციპი „ქორწინება ყველასთვის“, გერმანიის მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერა გაცილებით დიდი აღმოჩნდა — სამი მეოთხედი. ერთადერთი პარტია, რომლის მომხრეებმაც უარი თქვეს ჰომოსექსუალთა შორის ქორწინების დაკანონებაზე, არის „ალტერნატივა“. შესადარებლად: „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის“ მხარდამჭერთა 73 პროცენტი ჰომოსექსუალთა ქორწინების მომხრეა“.**

დაგვიანებული ხომ არ არის „ალტერნატივის“ მიერ ატეხილი განგაში გერმანელი ერის გადაგვარების საფრთხის შესახებ? ნუთუ „ჩუმმა რევოლუციამ“ მიზანს მიაღწია? ამას, ალბათ, მომდევნო 10-15 წლის განმავლობაში შევიტყობთ. ჩემი აზრით კი, გერმანიის პარლამენტში „ალტერნატივის“ ასეთი დამაჯერებელი შესვლა ერთგვარი პოლიტიკური რევოლუციაა. ფრანგ, ჰოლანდიელ, ავსტრიელ, ბრიტანელ და სხვა ევროპელ ნაციონალისტებს (თუ პატრიოტებს — ვისაც როგორ სურს, ისე დაარქვას) მხარს ახლა გერმანელი კოლეგებიც აუბამენ. მაგრამ გერმანია ჯერჯერობით „ზედმეტად“ კარგად ცხოვრობს ეკონომიკურად და ამომრჩეველთა უმრავლესობისათვის მერკელის წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ექსპორტის ზრდა და წარმოების ბუმი უფრო დამაჯერებელი არგუმენტია, ვიდრე ერთ წელიწადში მილიონზე მეტი არაბი მიგრანტის შეშვება და დასახლება ქვეყნის ტერიტორიაზე. ამომრჩეველმა მერკელს ისიც აპატია, რომ მან 2013 წლის არჩევნებზე გამარჯვების აღსანიშნავ ზეიმზე გერმანიის დროშა ხელში არ დაიკავა, პირიქით — ეს დროშა კოლეგას გამოართვა და ამრეზილი სახით უხეშად გადადო გვერდზე. თუმცა მერკელის პარტიის მხარდაჭერა, ეკონომიკური ბუმის მიუხედავად, მაინც საგრძნობლად არის შემცირებული — არჩევნებში მათ ხმების დაახლოებით 33 პროცენტი მოიპოვეს (ეს სტატია არჩევნების საღამოს იწერებოდა და ამიტომ მკითხველს უფრო ზუსტ მონაცემს ვერ ვაწვდი).

„ალტერნატივის“ წამყვანი ფიგურები საკმაოდ წარმატებული, განათლებული და კომპეტენტური პიროვნებები არიან. მათი დიდი ნაწილი მმართველი „ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირიდან“ წამოვიდა, ნაწილი — „თავისუფალი დემოკრატებიდან“, ზოგიც — სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. ეს ადამიანები არ არიან ერთგვაროვანნი და ყოველი მათგანი არ ისვრის ურაპატრიოტულ ლოზუნგებს. ერთი ქალბატონი, როგორც გერმანულ პრესაში წავიკითხე, ლესბოსელი ყოფილა, შვეიცარიაში თავისი „პარტნიორი“ ჰყოლია, მაგრამ ამის წარმოჩენას არ ცდილობს (განსხვავებით ლიბერალებისაგან) და სასტიკად აკრიტიკებს მმართველ ძალას. პრესაში გაჟონილი მისი სავარაუდო პირადი მიმოწერიდან ირკვევა, რომ იგი ამჟამინდელ გერმანულ პოლიტელიტას „ღორებად“ და „მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ძალის მარიონეტებად“ მიიჩნევს.

მთლიანობაში პარტიის ბირთვი ძალიან კონსერვატიული თვალსაზრისის მქონე პირებისგან შედგება. მეორე ქალბატონი, **ბეატრის ფონ შტორხი**, პარტიის ვიცეთავმჯდომარე ბერლინიდან, აბორტების საწინააღმდეგო მოძრაობის აქტიური წევრი და მხარდამჭერია. პარტიის თავმჯდომარე შედარებით ზომიერად და მემარცხენედ მიიჩნეული ქალბატონია — **ფრაუკე პეტრი.** მას უპირისპირდება არაერთი გავლენიანი პიროვნება პარტიის შიგნით. მის იდეოლოგიურ საპირწონედ მიიჩნევა **ბიორნ ჰიოკე**, რომელიც, ისლამოფობურ განცხადებებთან ერთად, მოითხოვს, რომ გერმანიამ შეწყვიტოს მუდმივი თვითგვემა მეორე მსოფლიო ომსა და ებრაელების ჰოლოკოსტთან დაკავშირებით. პეტრისა და პარტიის ნაწილს ჰიოკეს გარიცხვა სურდათ, მაგრამ „ალტერნატივის“ ბირთვმა და რიგითმა წევრებმა ეს არ დაუშვეს. პეტრის ასევე უპირისპირდება კონსერვატორი და პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი **ალექსანდერ გაულანდი**, რომელიც „ქრისტიან-დემოკრატებში“ იყო 40 წლის განმავლობაში და, მერკელის პოლიტიკით იმედგაცრუებული, ახალ პარტიაში გადავიდა.

„ალტერნატივის“ საარჩევნო სიის წამყვანი ფიგურები, ძირითადად, არიან ინტელიგენციის წარმომადგენლები: იურისტები, ეკონომისტები, ფიზიკოსები, ინფორმატიკოსები... პარტიას ჰყავს საკმაოდ ძლიერი და მზარდი ახალგაზრდული ფრთაც. ისინი თავს არ მიიჩნევენ ნაციონალ-სოციალიზმის იდეურ მემკვიდრეებად და ნაცისტებთან ნებისმიერი შედარება აღიზიანებთ. ისინი ამბობენ, რომ გერმანია უნდა დაუბრუნდეს თავისი ინტერესების პოლიტიკას და ნაციზმი და ჰიტლერი აქ არაფერ შუაშია. თუმცა პარტიაში არიან ისეთებიც, რომლებიც გერმანულ პატრიოტიზმში უფრო შორს მიდის და ცდილობს გერმანიის დანაშაულის შერბილებას.

„ალტერნატივამ“ გაუძლო წნეხს, გადაურჩა მარგინალიზაციას და საკმაოდ კომპეტენტური ორგანიზაციის შთაბეჭდილებას ტოვებს. მე სულაც არ მსურს, ქართველ მკითხველს დაუსაბუთებელი სიმპათია გაუჩნდეს ამ პარტიის მიმართ, მაგრამ, ჩემი აზრით, მისი წევრები ელემენტარულ ფუნდამენტურ ჭეშმარიტებას ამბობენ, რომ წინა პლანზე თავიანთი ერისა და სახელმწიფოს — გერმანიის ინტერესები უნდა იდგეს და არა გლობალისტური ისტებლიშმენტის ინტერესები, ისტებლიშმენტისა, რომელსაც ერთხელ „საერთაშორისო გლობალისტური მაფია“ ვუწოდე. დიახ, ნორმალურ ვითარებაში ეს ისედაც ასე უნდა იყოს და დღევანდელი ევრობიუროკრატიის ფონზე გერმანელი ნაციონალისტები, თავიანთი ჯანსაღი პატრიოტული მიდგომის გამო, მისაღებ ადამიანებად და პოლიტიკოსებად ჩანან.

აღმოსავლეთ გერმანიაში, ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები გერმანელები მიიჩნევენ უფრო მეტად, რომ ქვეყნის კულტურული ტრანსფორმაცია არასწორი და მიუღებელია. გამოდის, რომ პატრიოტული სულისკვეთება „კომუნისტური ჩაგვრის“ პირობებში უკეთ შენარჩუნდა, ვიდრე ეკონომიკურად აყვავებულ, „დემოკრატიულ“ დასავლეთში.

**«ალტერნატივის» საარჩევნო სიის წამყვანი ფიგურები, ძირითადად, არიან ინტელიგენციის წარმომადგენლები: იურისტები, ეკონომისტები, ფიზიკოსები, ინფორმატიკოსები... პარტიას ჰყავს საკმაოდ ძლიერი და მზარდი ახალგაზრდული ფრთაც. ისინი თავს არ მიიჩნევენ ნაციონალ-სოციალიზმის იდეურ მემკვიდრეებად და ნაცისტებთან ნებისმიერი შედარება აღიზიანებთ. ისინი ამბობენ, რომ გერმანია უნდა დაუბრუნდეს თავისი ინტერესების პოლიტიკას და ნაციზმი და ჰიტლერი აქ არაფერ შუაშია, თუმცა პარტიაში არიან ისეთებიც, რომლებიც გერმანულ პატრიოტიზმში უფრო შორს მიდის და ცდილობს გერმანიის დანაშაულის შერბილებას**

**გულბაათ რცხილაძე**

სეპარატისტებს უკვე მომზადებული აქვთ კანონპროექტი „გარდამავალი პერიოდის შესახებ“, რომელიც დროებითი კონსტიტუციის როლს შეასრულებს. ესპანური „ეს პაისის“ ცნობით, ის შემდეგ „ფეთქებადსაშიშ“ მუხლსაც შეიცავს: „თუ ესპანეთის სახელმწიფო ქმედითად შეეწინააღმდეგება რეფერენდუმის გამართვას, ეს კანონი ძალაში სრულად შევა მაშინვე, რაც კატალონიის პარლამენტი ასეთი დაბრკოლების არსებობას დაადასტურებს“. საგულისხმოა, რომ კატალონიის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ შეცვალა რეგლამენტი და ახლა შეუძლია კანონები დამოუკიდებლობის შესახებ ძალიან სწრაფად, ერთი მოსმენით მიიღოს. ამგვარად, ესპანეთიდან გამოყოფის იურიდიულ გაფორმებას შეიძლება მხოლოდ 48 საათი დასჭირდეს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «სეპარატისტული რენესანსი» დაიშლება თუ არა ესპანეთი?

**1 ოქტომბერს კატალონიის ხელისუფლება დამოუკიდებლობის თაობაზე რეფერენდუმის გამართვას გეგმავს. ესპანეთის მთავრობა მას უკანონოდ მიიჩნევს და მის ჩასაშლელად ყველა ღონეს მიმართავს. რა გავლენას მოახდენს ეს დაპირისპირება ესპანეთისა და ევროკავშირის მომავალზე?**



**ბოლო ათწლეულებში კატალონიის ისტებლიშმენტსა და საზოგადოებაში პრინციპულად მნიშვნელოვანი განხეთქილება მოხდა. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ფართო ავტონომია სავსებით საკმარისია, ხოლო მეორეს დამოუკიდებლობის გამოცხადება სურს**




კატალონიელების სეპარატისტული მოძრაობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია. ის მყარ ეკონომიკურ ბაზისს, მდიდარ ისტორიულ და კულტურულ ტრადიციებს ეფუძნება, ხოლო მის მთავარ მედროშედ დემოკრატიულად არჩეული ადგილობრივი ხელისუფლება გვევლინება.

შუა საუკუნეებში კატალონია ყოველთვის სარგებლობდა ფართო უფლებებით ჯერ არაგონის, შემდეგ კი ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაში, მანამ, სანამ XVII-XVIII საუკუნეებში მადრიდი მათ შეკვეცას არ შეუდგა. 1714 წელს, როდესაც ესპანეთის ისტორიაში მკაცრი ცენტრალიზაციის ეპოქა დაიწყო, ყოველივე განსხვავებული და ავტონომიური გაუქმდა, ხოლო კატალანური ენის გამოყენება საგანმანათლებლო დაწესებულებებში და საქმის წარმოებაში აიკრძალა.

XIX საუკუნის მეორე მესამედში კატალონიაში კულტურული რენესანსი დაიწყო, რომელიც პროვინციის სწაფ ეკონომიკურ განვითარებას და ესპანური სახელმწიფოს დასუსტებას დაემთხვა. ამან საფუძველი ჩაუყარა კატალონიელთა ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს; ამ ნიადაგზე აღმოცენდა ავტონომიის აღდგენის, შემდეგ კი დამოუკიდებლობის გამოცხადების იდეა.

როდესაც XX საუკუნის 30-იან წლებში ესპანეთის დესტაბილიზაცია დაიწყო, კატალონიამ (აგრეთვე, ბასკების სახელმწიფომ) ავტონომიური უფლებების მნიშვნელოვან გაფართოებას მიაღწია. ადგილობრივ ხელისუფლებას ცენტრალურთან სერიოზული დაპირისპირება ჰქონდა, მაგრამ სამოქალაქო ომის პერიოდში ისინი მოკავშირეები გახდნენ. გენერალმა ფრანკომ, გამარჯვების შემდეგ, კატალონიის ავტონომია გააუქმა, ხოლო 4 ათასამდე კატალონიელი სიკვდილით დასაჯა. პროვინციის ათიათასობით მკვიდრი ციხეში აღმოჩნდა ან იძულებული გახდა, ქვეყნიდან გაქცეულიყო.

წინააღმდეგობამ დიქტატურის მიმართ კატალონიაში ეროვნულ- განმათავისუფლებელი ბრძოლის ელფერი შეიძინა. ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ ავტონომია აღადგინეს, ადგილობრივი მთავრობის უფლებები თანდათან გაფართოვდა, ისევე, როგორც ადგილობრივი ენის გამოყენების სფერო, რომელზეც დაახლოებით 7,5 მილიონი ადამიანი საუბრობს — ყოველივე ეს ამჯერადაც რეგიონის ეკონომიკურ აღმავლობას დაემთხვა. **კატალონია ესპანეთის ტერიტორიის 6,3%-ს იკავებს, ხოლო მოსახლეობა ესპანეთის მოსახლეობის 16%-ს შეადგენს, მაგრამ პროვინცია ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 20%-ზე მეტს ქმნის და ექსპორტის მეოთხედზე მეტს უზრუნველყოფს.**

ბოლო ათწლეულებში კატალონიის ისტებლიშმენტსა და საზოგადოებაში პრინციპულად მნიშვნელოვანი განხეთქილება მოხდა. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ფართო ავტონომია სავსებით საკმარისია, ხოლო მეორეს დამოუკიდებლობის გამოცხადება სურს. ექსპერტები თვლიან, რომ „ავტონომისტები“ მეტნი არიან, მაგრამ გაცილებით პასიურად იქცევიან, ვიდრე ერთ მუშტად შეკრული „სეპარატისტები“, არჩევნების, რეფერენდუმების და გამოკითხვების დროს. ამასთანავე, ზღვარი მკაფიო არ არის, როდესაც ცენტრალური ხელისუფლების ზეწოლა ძლიერდება, „ავტონომისტების” ნაწილი რადიკალურ პოზიციებზე გადადის.

2014 წელს კატალონიის ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის თაობაზე რეფერენდუმი დანიშნა, მაგრამ ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ და პარლამენტმა ის უკანონოდ გამოაცხადეს. ამის გამო, რეფერენდუმის ნაცვლად, ჩატარდა გამოკითხვა (ხმის მიცემის ფორმით), შედეგად, 80,8 პროცენტმა ხმა დამოუკიდებლობას მისცა. უბნებზე რეგისტრირებული ამომრჩევლების მხოლოდ 37% მივიდა. ამასთანავე, ელექტორატის საერთო რაოდენობის გასაზრდელად კატალონიის ხელისუფლებამ გარკვეულ მანიპულაციებს მიმართა. მან 16 (და არა 18) წლიდან ახალგაზრდებსა და უცხოელებს, რომელთაც კატალონიაში ცხოვრების უფლება აქვთ, გამოკითხვაში მონაწილეობის უფლება მისცა; ორივე კატეგორიას სეპარატისტული იდეები მოსწონს. უბნებზე მაშინ მივიდა „ავტონომისტების“ ნაწილიც, რომელმაც, ცენტრალური ხელისუფლების ზეწოლის გამო, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. საბოლოოდ, **ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო ის, რაც სურდა – დამოუკიდებლობის საყოველთაო მხარდაჭერის სურათი, მიუხედავად იმისა, რომ ის არითმეტიკულად არ დასტურდებოდა.**

ცენტრალური ხელისუფლება დღესაც აცხადებს, რომ რეფერენდუმი უკანონოა. სამართალდამცავებმა ორგანიზატორების ნაწილი დააპატიმრეს (შემდეგ გაუშვეს) და დაახლოებით ათი მილიონი ბიულეტენი ამოიღეს. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა ადგილობრივი ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილება რეფერენდუმის შესახებ. პრემიერ-მინისტრი მარიანო რაჰოი ირწმუნება, რომ „არანაირი რეფერენედუმი არ ჩატარდება“. ცენტრალური ხელისუფლება ეყრდნობა ესპანეთის კონსტიტუციის 155-ე მუხლს, სადაც ნათქვამია: „თუ ავტონომია არ ასრულებს ვალდებულებებს, რომელიც გათვალისწინებულია კონსტიტუციით და სხვა კანონებით, ან მისი ქმედება სერიოზულ ზიანს აყენებს ესპანეთის სახელმწიფო ინტერესებს, მთავრობა ავტონომიის თავმჯდომარეს აფრთხილებს. თუ მისი მხრიდან პასუხს ადგილი არ ექნება, მთავრობას, სენატის აბსოლუტური უმრავლესობის თანხმობით, შეუძლია მიიღოს აუცილებელი ზომები იმისთვის, რომ ავტონომიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება აიძულოს ან სახელმწიფო ინტერესები დაიცვას“. ამ მუხლის მეორე პუნქტში ნათქვამია, რომ ჩამოთვილი ღონისძიებების გატარებისას ესპანეთის მთავრობას შეუძლია, მითითებები მისცეს ავტონომიის ნებისმიერ სახელისუფლო რგოლს.

**უნდა გავითვლისწინოთ, რომ ესპანეთი არ არის ბელგია — კატალონიაში ავტონომიისა და თვითგამორკვევის იდეის გამო უამრავი სისხლი დაიღვარა და ნებისმიერმა ძალისმიერმა ქმედებამ შეიძლება ვულკანის ამოფქრვევა გამოიწვიოს.**

**სეპარატისტებს უკვე მომზადებული აქვთ კანონპროექტი „გარდამავალი პერიოდის შესახებ“, რომელიც დროებითი კონსტიტუციის როლს შეასრულებს. ესპანური „ეს პაისის“ ცნობით, ის შემდეგ „ფეთქებადსაშიშ“ მუხლსაც შეიცავს: „თუ ესპანეთის სახელმწიფო ქმედითად შეეწინააღმდეგება რეფერენდუმის გამართვას, ეს კანონი ძალაში სრულად შევა მაშინვე, რაც კატალონიის პარლამენტი ასეთი დაბრკოლების არსებობას დაადასტურებს“. საგულისხმოა, რომ კატალონიის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ შეცვალა რეგლამენტი და ახლა შეუძლია კანონები დამოუკიდებლობის შესახებ ძალიან სწრაფად, ერთი მოსმენით მიიღოს. ამგვარად, ესპანეთიდან გამოყოფის იურიდიულ გაფორმებას შეიძლება მხოლოდ 48 საათი დასჭირდეს.**

ძალადობაზე გადასვლა, ერთი შეხედვით, არავის სურს, მაგრამ ესკალაციის შემთხვევაში მადრიდს შესაძლებლობა ექნება, დაეყრდნოს სამოქალაქო გვარდიას, კატალონიაში განლაგებულ საჯარისო შენაერთებს (თუმცა მათ გამოყენებას მყარი იურიდიული საფუძველი სჭირდება) და პოლიციის იმ მცირე ნაწილს, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარება. რაც შეეხება ავტონომიის პოლიციას, აქ სიტუაცია არაერთგვაროვანია. ის ჯერჯერობით ემორჩილება მითითებებს ესპანეთის შსს-დან, თუმცა კრიტიკულ მომენტში შეიძლება საბოტაჟის გზას დაადგეს. კატალონიის ხელისუფლებას კი „ქუჩის სივრცეში“ შეუძლია დაეყრდნოს ასიათასობით დემონსტრანტს და ახალგაზრდების ჯგუფებს, რომლებიც „ფერად რევოლუციებში“ თუ ჰიბრიდულ ომებში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. **თუ 1 ოქტომბერს და შემდგომ დღეებში ბარსელონაში სისხლი დაიღვრება, ვითარება, ადგილობრივების ფეთქებადი ხასიათის გათვალისწინებით, შეიძლება უკონტროლო გახდეს.** იმის მიუხედავად, რომ მადრიდს, წინააღმდეგობის ჩასახშობად, ერთი შეხედვით, საკმარისი რესურსი აქვს, მან საკმაოდ ფრთხილად უნდა იმოქმედოს, რათა უმართავი ესკალაცია არ დაუშვას. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, სისხლისღვრა არავის (ან თითქმის არავის) სურს და გამორიცხული არაა პროცესი იმავე შედეგით დასრულდეს, რომლითაც 2014-ში დასრულდა.

**ბრიუსელი დაპირისპირებას დიდი სიფრთხილით ეკიდება და აცხადებს, რომ, გამოყოფის შემთხვევაში, კატალონია ევროკავშირში „ავტომატურად“ ვერ გაწევრდება, რამაც შეიძლება სერიოზული ეკონომიკური პრობლემები გამოიწვიოს.** სეპარატისტების წარმატება კატალონიაში, „დომინოს“ პრინციპით, გაართულებს სიტუაციას შოტლანდიაში (მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გადის), ბასკეთში, კორსიკაში, ბელგიაში, ჩრდილოეთ იტალიაში და ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც ავტონომიის გაფართოების ან სეპარატიზმის პრობლემა დგას.

**საინტერესოა, რატომ არ წავიდა ესპანეთის ხელისუფლება ბრიტანელების გზით, რომლებმაც შოტლანდიელებს რეფერენდუმის ჩატარების უფლება მისცეს?** კატალონიაში ერთიანობის შენარჩუნების მომხრე ხომ უფრო მეტია, ვიდრე სეპარატისტი და მათი მობილიზება პიარ-ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორც ეს ლონდონმა შოტლანდიელი ამომრჩევლების მიმართ გააკეთა, სავსებით შესაძლებელი იყო, მაგრამ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ორმა ფაქტორმა იმუშავა: ჯერ ერთი, ქვეყნის ერთიანობა ესპანეთში აღიქმება, როგორც უზენაესი ღირებულება (დაახლოებით ისე, როგორც საქართველოშია); მას თითქმის საკრალური მნიშვნელობა აქვს და მისი ეჭვქვეშ დაყენება ან მისი ბედის გადაწყვეტა პროვინციულ რეფერენდუმზე ბევრ ესპანელს წარმოუდგენლად მიაჩნია. ამასთანავე, „ბრექსიტმა“ და ტრამპის გაპრეზიდენტებამ ნათლად აჩვენა, რომ რეფერენდუმის თუ არჩევნების შედეგი შეიძლება მოსალოდნელის საპირისპირო აღმოჩნდეს. ესპანეთის ხელისუფლებას არც ლატარეის თამაში სურს და არც ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელსაც ამომრჩეველთა უმრავლესობა სისუსტედ აღიქვამს. **იქიდან გამომდინარე, როგორ განვითარდება მოვლენები კატალონიასა და შოტლანდიაში, სადაც დამოუკიდებლობის თაობაზე ახალი რეფერენდუმის გამართვა იგეგმება, გამოჩნდება, ვინ აირჩია უფრო გონივრული ტაქტიკა — დიდი ბრიტანეთის თუ ესპანეთის ხელისუფლებამ.**

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქართველს ბარსელონასთან საუკეთესო მოგონებები და ადამიანური კონტაქტები აკავშირებს, კატალონიის გამოყოფა და ევროპაში „სეპარატისტული რენესანსის” დაწყება საქართველოს ხელს არ აძლევს, რადგან ეს ჩვენი კონფლიქტების დარეგულირების პერსპექტივას კიდევ უფრო რთულს და ბუნდოვანს გახდის. ხატოვნად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში ქართველი მაყურებლები, სავარაუდოდ, მხარს უფრო მეტად მადრიდის „რეალს” დაუჭერენ, ვიდრე „ბარსელონას” და „კატალონიის კორიდაში” ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებას უგულშემატკივრებენ.

**ლუკა ნემსაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინს უცხოელი „ინვესტორებისა“ და გამყიდველი ტროცკისტ-მენშევიკების მოსატყუებელი კბილები, უკვე დიდი ხანია, დაცვლილი ჰქონდა და მშვენივრად ხვდებოდა: მსოფლიო რევოლუცია სატყუარა იყო მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ეს „ინვესტორები“ უკიდეგანო რუსეთის ტერიტორიას და მის წიაღისეულს დაპატრონებოდნენ. მსოფლიო რევოლუცია დაგეგმილი იყო ყველა იმ სახელმწიფოში, რომლებშიც სასიცოცხლოდ აუცილებელი წიაღისეული საბადოები იყო. როგორც კი ამ ქვეყნებს მსოფლიოს მმართველი „ფარული ხელი“ გააკონტროლებდა, რევოლუციის მონაპოვარს სხვა „ნათლია“ და სხვა „მეჯვარე“ ეყოლებოდა.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №32-34 (408-410)

# სტალინი — ლენინის მოსწავლე?

**1924 წლის 21 იანვარს ლენინმა, როგორც ყველა მოკვდავმა, უკანასკნელად ამოისუნთქა. პარტიულ თუ სამთავრობო ელიტაში მოულოდნელი არავისთვის ყოფილა ლენინის სიკვდილი, მაგრამ მისმა გარდაცვალებამ თავზარი დასცა მსოფლიო რევოლუციის ხანძრის აგიზგიზების მოსურნეთ, რომლებიც ამერიკიდან და ევროპიდან იყვნენ რუსეთში „ექსტრადირებულნი“.**



**ლენინი,** რა თქმა უნდა, ძრავად იყო ჩადგმული რუსულ რევოლუციურ მანქანაში, მაგრამ ამ მანქანის საჭეს, მისდა უნებურად, სრულიად სამართლიანად ის კაცი მიუჯდა, რომელსაც გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდა ამ უზარმაზარი მანქანის დაძვრაში. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რატომ იყვნენ ასე სისხლცხორცეულად დაინტერესებული გერმანელი, ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი „ინვესტორები“, რომლებიც რუსეთის რევოლუციას აფინანსებდნენ და მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის „ჭიაკოკონას“ ამზადებდნენ, თავიანთ ქვეყნებში კაპიტალიზმი შეეცვალათ სოციალიზმით.

**სტალინს** უცხოელი „ინვესტორებისა“ და გამყიდველი ტროცკისტ-მენშევიკების მოსატყუებელი კბილები, უკვე დიდი ხანია, დაცვლილი ჰქონდა და მშვენივრად ხვდებოდა: მსოფლიო რევოლუცია სატყუარა იყო მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ეს „ინვესტორები“ უკიდეგანო რუსეთის ტერიტორიასა და მის წიაღისეულს დაპატრონებოდნენ. მსოფლიო რევოლუცია დაგეგმილი იყო ყველა იმ სახელმწიფოში, რომლებშიც სასიცოცხლოდ აუცილებელი წიაღისეულის საბადოები იყო განლაგებული. როგორც კი ამ ქვეყნებს მსოფლიოს მმართველი „ფარული ხელი“ გააკონტროლებდა, რევოლუციის მონაპოვარს სხვა „ნათლია“ და სხვა „მეჯვარე“ ეყოლებოდა.

ლენინის გარდაცვალება „ფარული ხელისთვის“ ნიშნავდა ხელ-ფეხის გახსნას, რადგან მერყევი ბელადი უნდა ჩაენაცვლებინა რევოლუციის პრინციპულ დემონს — **ლევ ტროცკის**, რომელიც ლენინის გარდაცვალებამდე მისი უპირობო მხარდაჭერით სარგებლობდა.

ლენინის გარდაცვალებისთანავე სტალინმა თანამებრძოლებსა და მათ, ვისაც სურდა, პატივი მიეგო ლენინის ხსოვნისთვის და ეგლოვა ბელადი, დაავალა, მარჯვენა მკლავზე შემოეკრათ შავი ლენტი. ასე დაიწყო ლენინის ამქვეყნიდან წასვლის საკრალური რიტუალი, რომელსაც ორთოდოქსი ქრისტიანი სტალინი ასრულებდა. სამხრეთში დასასვენებლად მყოფ ტროცკის კი მისივე მეგობრების პირით შეუთვალა: „ნუ ჩამოვა. პარტიისთვის მისი ჯანმრთელობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ლენინის კუბოსთან დაღვრილი ცრემლი“.

ასე დიპლომატიურად ჩამოიშორა ლენინის კუბოსთან დგომის კონკურენტი სტალინმა, თუმცა ლენინის კუბოსა და ბელადის სახელთან მიახლოების უფლება თავის თავსაც აუკრძალა და სხვასაც. ამით სტალინმა გაცხარებულ ორთაბრძოლაში, რომელშიც შეიძლებოდა დამარცხებულიყო, ტაიმ-აუტი აიღო და გარკვეული დროით გადადო ლენინის მემკვიდრეობის საკითხი. როგორც კი ლენინი კუბოში ჩაასვენეს, სტალინმა შუბლზე შავი ლენტი გაიკეთა და ლენინის კუბოს თავთან ჩამოჯდა. ცხარე ცრემლით სტიროდა, რომ მასწავლებელი მოუკვდა და ვალდებულია, მასწავლებლის ყველა ანდერძი შეასრულოს.

ტროცკი შავი ზღვის სანაპიროს თვალწარმტაცი ბუნებით ტკბებოდა და მსოფლიოში რევოლუციის გამარჯვებაზე იყო ჩაფიქრებული, როდესაც სტალინი ლენინის კუბოსთან მდგარი ფიცს დებდა და აიმედებდა კუბოში ჩაწოლილ ბელადს, რომ ფიცს აუცილებლად შეასრულებდა. ფიცის ყოველი პარაგრაფი ასე იწყებოდა: „მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა...“. არადა, ლენინის ანდერძი არავის უნახავს დაწერილი და არც არავის მოუსმენია, სტალინის გარდა, ამიტომ ბუნებრივია, რომ ანდერძს ვერავინ აღასრულებდა, „მოსწავლე“ სტალინის გარდა.

„სტალინის ვარაუდი ძალიან მარტივი იყო: ბოლშევიკური პარტია, ხალხი უნდა დარწმუნებულიყო, რომ ზეკაც ვლადიმერ ლენინს უბრალო მოკვდავი ლევ ტროცკი ვერ შეცვლიდა. სტალინს აშინებდა ის, რომ ტროცკი დაუყოვნებლივ არ გამხდარიყო ბოლშევიკური პარტიისა და სსრ კავშირის პოლიტიკური ლიდერი. ამ შემთხვევაში მისი თავიდან მოცილება ძნელი იქნებოდა. მაშ, ვინ უნდა ყოფილიყო ახალი ლიდერი? სტალინს პასუხი უკვე მოფიქრებული ჰქონდა: არავინ. ლენინის ადგილი არავის უნდა დაეკავებინა. სტალინს სჭირდებოდა შუალედური პერიოდი („უმეფობის ხანა“). თუ ამას მიაღწევდა, იგი, სულ მცირე, ორ რამეს მაინც მიაღწევდა:

**პირველი.** ტროცკის ავტორიტეტი შეირყეოდა, მას ყველა დამარცხებულ პოლიტიკურ მოღვაწედ ჩათვლიდა;

**მეორე.** ტროცკის საბოლოოდ გასანადგურებლად სტალინს კიდევ რჩებოდა დრო. ძალთა ასეთი განლაგებით კმაყოფილი დარჩებოდნენ **კამენევი, ზინოვიევი, ბუხარინი.** პარტიისა და სახელმწიფოს ლიდერის ცარიელი სავარძელი მათაც უტოვებდა გარკვეულ იმედს.

1924 წლის 26 იანვარს სტალინმა ლენინი ღმერთკაცად გამოაცხადა, თავისი თავი — მის მოწაფედ.

**„მოწაფე“ „მასწავლებლის“ განდიდების გზით მიდიოდა. სტალინის კონკურენტები უკვე მომხდარის გააზრებასაც ვერ ასწრებდნენ, რომ „მოწაფე“ მათ მორიგ სიურპრიზს სთავაზობდა.**

...იოსებ სტალინის ნაშრომი „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ შეაფასეს, როგორც მოწაფის მოკრძალებული მცდელობა, მასწავლების მოძღვრების სისტემაში მოყვანის მიზნით შექმნილი. სინამდვილეში მსგავსი რამ სტალინს ფიქრადაც არ გაუვლია. „მოწაფეს“ „მასწავლებლის“ ნაწერებში ქექვა არ სჭირდებოდა. **სტალინს უკვე მოფიქრებული ჰქონდა საბჭოთა კავშირში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის მშენებლობის გეგმა, რომელსაც ლენინის ნააზრევთან საერთო თითქმის არაფერი ჰქონდა.**

...ის, რასაც სტალინი ლენინიზმს უწოდებდა, სინამდვილეში წარმოადგენდა სტალინიზმს, სრულიად ახალ მოძღვრებას. მსგავსება ლენინიზმთან მხოლოდ გარეგნული, მოჩვენებითი იყო.

...ცხადია, **იოსებ სტალინი ლევ ტროცკისაც სტალინიზმით ებრძოდა. ლენინი ამ შემთხვევაში იმ დროშის როლს თამაშობდა, რომლის გარშემო შეიძლებოდა ძველი ბოლშევიკების დარაზმვა, დროშა კი ხელთ სტალინს ეპყრა.... სტალინმა ლევ ტროცკი სტალინიზმით დაამარცხა, სტალინიზმით დაამარცხა სხვა ოპონენტებიც: ლევ კამენევი, გრიგორი ზინოვიევი, ნიკოლაი ბუხარინი“** (ვ. გურული, „მეფე მამა“).

**იოსებ სტალინი ლევ ტროცკისაც სტალინიზმით ებრძოდა. ლენინი ამ შემთხვევაში იმ დროშის როლს თამაშობდა, რომლის გარშემო შეიძლებოდა ძველი ბოლშევიკების დარაზმვა, დროშა კი ხელთ სტალინს ეპყრა.... სტალინმა ლევ ტროცკი სტალინიზმით დაამარცხა, სტალინიზმით დაამარცხა სხვა ოპონენტებიც: ლევ კამენევი, გრიგორი ზინოვიევი, ნიკოლაი ბუხარინი**

მალე სტალინმა გამოსცა ნაშრომი „ლენინისა და ლენინიზმის შესახებ“, რომელიც აშკარად მიანიშნებდა, რომ პარტიას ჰყავს ბელადი ლენინი, თვითონ კი არის მისი „მოწაფე“.

**ტროცკი მიხვდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო და თავის გადასარჩენად თავგანწირული ნახტომი გააკეთა — გამოსცა, მისი ჭკუით, დამანგრეველი ძალის პოლიტიკური დოქტრინა „ოქტომბრის გაკვეთილები“, რომელშიც შეეცადა, ფრთები შეესხა თავისი შელანძღული ავტორიტეტისთვის და ხელახლა შეეკრა კამარა რუსეთის პოლიტიკურ ცაზე.**

მაგრამ 1924 წლის 26 ნოემბერს „პრავდამ“ გამოაქვეყნა მასალა პროფკავშირის ცენტრალური საბჭოს პლენუმზე სტალინის გამოსვლის შესახებ სათაურით „ტროცკიზმი თუ ლენინიზმი“. ეს იყო სტალინის მიერ პოლიტიკურ, სამართლებრივ, ადამიანურ და დიპლომატიურ ენაზე დაწერილი საბრალდებო დასკვნა, რომელიც ყველა გზას უჭრიდა ტროცკის, არა თუ პარტიისა და ქვეყნის ლიდერობის, არამედ ქვეყანაში ცხოვრებისაც კი. **ფოლადის კაცი ტრიბუნაზე იდგა და დაბალი ტემბრის ხმით კრემლიდან შორეულ აღმოსავლეთამდე თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს გასაგებად ესაუბრებოდა. გარდასახვის დიდი ოსტატობით, იუმორით, სარკაზმით, ისტორიული და ლიტერატურული პერსონაჟების მოხმობით მძიმე მდგომარეობაში აყენებდა სიტყვის ოსტატებსა და ორატორებს.**

როდესაც გამორჩეულმა ორატორმა **რადეკმა** აღნიშნა, ამხანაგ სტალინს არ შეუძლია იკისროს ბოლშევიკური შტაბის გამაერთიანებლის როლის შესრულება, ჩვენ ერთმნიშვნელოვნად წინააღმდეგი ვართ, შევქმნათ მისგან ბელადიო, ტრიბუნაზე მყოფმა სტალინმა ღიმილით გადახედა დელეგატებს და მიმართა:

**„არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ენის დამორჩილება — ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან; მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ემორჩილებიან თავიანთ ენას და ენა მართავს მათ, ასეთი ადამიანები ჩვეულებრივი ადამიანები არ არიან. სწორედ ასეთ არაჩვეულებრივ ადამიანებს მიეკუთვნება რადეკი. კაცი, რომელიც ემორჩილება თავის ენას და ვერ ზღუდავს მას, ვერ ხვდება, როდის რა უნდა თქვას.**

**კამენევმა** კი აიღო თავის თავზე ის ტვირთი, რომ ამტკიცოს ლენინის სტატია 1915 წელს გამოქვეყნებული, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ — რუსეთს არ ეხებაო. ნათლად ჩანს, რომ ლენინის ინსტიტუტის დირექტორს გადაუწყვეტია, მეეზოვედ იმუშაოს და გზა გაუწმინდოს ტროცკის, რათა ფეხი არაფერს წამოჰკრას. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მეეზოვის სამუშაო სათაკილოა, არამედ იმიტომ, რომ ისეთმა განათლებულმა კაცმა, როგორც კამენევია, სხვა საქმეზე რომ იმუშაოს, უფრო კარგი იქნება, მაგრამ ეს სამუშაო მან თვითონ აირჩია და ამის გამო ჩვენ არაფერი გვეთქმის. რაც შეეხება **ზინოვიევს**, ის თავის დროზე ამაყობდა, შემიძლია ყური დავადო დედამიწას და ვიგრძნო მომავალი ისტორიის ნაბიჯებიო. რა გამოდის აქედან? Eეტყობა, ოპოზიციას ყურებში ყველაფერი რიგზე არ აქვს და ამიტომ ვურჩევ, ყურებზე იმკურნალოს“.

მკითხველი, ალბათ, მიხვდებოდა, რომ ფილმ „ნატვრის ხეში“ **კახი კავსაძის** გმირის — იორამის მიერ ყურის მიწაზე დადება და შეძახილი: „რევოლუცია მოდის!“, რეჟისორის მიგნება კი არა, პროფკავშირისA ცენტრალური საბჭოს პლენუმზე სტალინის მიერ ექსპრომტად გამოყენებული პასაჟია.

**ლენინი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ხოლო ტროცკი ქვეყანაში პირველკაცობდა, როდესაც რკპ-ს (ბ) მეცამეტე კონფერენციაზე „რეიტინგით მეოთხე“ სტალინი ოპოზიციის დამანგრეველი კრიტიკით გამოვიდა. მსუბუქი შენიშვნის შემდეგ — „თქვენ ყველაფერი კარგად გაქვთ, მაგრამ ნუ აკრიტიკებთ და ნუ აწყენინებთ ტროცკის“, სტალინმა საანეკდოტოდ აქცია ტროცკის სახელი, როდესაც განაცხადა:**

„თუ კარგად გავერკვევით, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ცნობილი გამოთქმა ტიტ ტიტიჩზე საკმაოდ მიესადაგება ტროცკის: — „შენ ვინ გაწყენინებს, ტიტ ტიტიჩ, შენ თვითონ ყველას აწყენინებ“.

ეს არ არის „რიგით მეოთხე“ პოლიტიკოსის ნათქვამი სიტყვები. ეს იმ ზვიგენის მოქმედებაა, რომელიც პოლიტიკურ ოკეანეში თავისუფლად ნავარდობს და მტაცებლებს ყლაპავს.

**როდესაც სტალინის ბიოგრაფიასა და ნაშრომებს ვეცნობით, ძალაუნებურად გვახსენდება გენიალური რუსთაველი: „კაცი კაცსა შემოსტყორცნა, ცხენ-კაცისა დადგა გორი“.**

ოპოზიციასთან ორთაბრძოლაში „ხელშეუხებელი“ ლენინიც საკმარისად „შემოელახა“ სტალინს:

„ოპოზიციამ წესად აქცია, ცამდე აქოს და ადი- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლენინის იდეა სოციალიზმია (უტოპიური), სტალინის მიზანი — რუსეთი და რუსი ხალხი. ლენინი ინტერნაციონალისტია, სტალინი — ნაციონალი „ინტერ“-ის გარეშე. ლენინის მეგობრები დასავლეთიდან რევოლუციას შემოყოლილი ავანტიურისტები და ოქროს მაძიებლები არიან, სტალინის მეგობრები კი რუსეთის მუშათა და გლეხთა კლასია.

**ფოლადის კაცი ტრიბუნაზე იდგა და დაბალი ტემბრის ხმით კრემლიდან შორეულ აღმოსავლეთამდე თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს გასაგებად ესაუბრებოდა. გარდასახვის დიდი ოსტატობით, იუმორით, სარკაზმით, ისტორიული და ლიტერატურული პერსონაჟების მოხმობით მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ორატორებს**



**სტალინმა დედამიწის ერთ მეექვსედს სახელმძღვანელოდ, მსოფლიოს კი «ცნობისთვის» წარუდგინა ლენინის ანდერძი, რომელიც ლენინს არც უთქვამს და არც დაუწერია და, რომლის შესრულებაც ლენინს თავის დროზე «მოწაფისთვის» დაუვალებია**

◀დოს ამხანაგი Lლენინი, უწოდოს მას ყველაზე გენიალური გენიალურ ადამიანთა შორის. ვშიშობ, ეს ქება გულწრფელი არ არის და აქ სტრატეგიული ეშმაკობა იმალება. Lლენინი ყველაზე გენიალურია და ასეთი ადამიანები მხოლოდ ერთეულები იბადებიან საუკუნეებში? **პრეობრაჟენსკი,** ნება მიბოძეთ, გკითხოთ: რატომ დაშორდით ამ ყველაზე გენიალურ ადამიანს ბრესტის ზავის საკითხში? რატომ მიატოვეთ ეს ყველაზე გენიალური ადამიანი მძიმე წუთებში და არ მოუსმინეთ მას? სად, რომელ ბანაკში იმყოფებოდით მაშინ? ან სად იყო **საფრონოვი,** რომელიც ახლა ფარისევლურად აქებს და ადიდებს ამხანაგ ლენინს, სწორედ ის საფრონოვი, რომელიც ისე გათავხედდა, რომ ერთ-ერთ ყრილობაზე ამხანაგ ლენინს უვიცი და ოლიგარქი უწოდა?! რატომ არ დაუჭირა მან მხარი გენიალურ ლენინს, ვთქვათ, მეათე ყრილობაზე? რატომ იყო ის მძიმე წუთებში მუდამ მოწინააღმდეგეთა ბანაკში, თუ მართლა ფიქრობს, რომ ამხანაგი ლენინი გენიოსია გენიოსთა შორის?“

სტალინმა პრეობრაჟენსკის ლენინიც მიაყოლა:

**„პრეობრაჟენკი არ არის მართალი, როცა ამტკიცებს: წინა წლებში ჩვენი პარტია მოვლენებს არ ჩამორჩებოდაო. ეს მტკიცება არასწორია და თეორიულად მცდარი. შეგვიძლია დავასახელოთ მთელი რიგი მაგალითებისა, თუნდაც ბრესტის ზავი. განა ჩვენ ბრესტის საკითხში არ დავაგვიანეთ? განა საჭირო არ შეიქნა გერმანელების შემოტევა და ჩვენი ჯარისკაცების საყოველთაო გამოქცევა, იმისათვის, რომ ზავის აუცილებლობა, ბოლოს და ბოლოს, შეგვეგნო? ფრონტის დაშლა, ჰოფმანის შემოტევა, პიტერთან მისი მოსვლა, გლეხობის მოძალება ჩვენზე, განა ყველა ეს ფაქტი საჭირო არ შეიქნა იმისთვის, რომ გაგვეგო — საერთაშორისო რევოლუციის ტემპი ისეთი სწრაფი არ იყო, როგორც გვინდოდა, რომ ჩვენი არმია ისეთი მტკიცე არ იყო, როგორც ჩვენ ვფიქრობდით, და რომ გლეხობა ისეთი მომთმენი არ იყო, როგორც ზოგიერთი ჩვენგანი ფიქრობდა, რომ მას ზავი უნდოდა და რომ იგი ზავს ძალით მოიპოვებდა? ან ავიღოთ სურსათის გაწერის გაუქმების მაგალითი. განა ჩვენ გაწერის გაუქმება არ დავაგვიანეთ? განა საჭირო არ შეიქნა ისეთი ფაქტები, როგორიც იყო კრონშტადტი და ტამბოვი, რათა გაგვეგო, რომ სამხედრო კომუნიზმის პირობებში ცხოვრება აღარ შეიძლებოდა? განა თვითონ ილიჩმა არ აღირა, რომ ამ ფრონტზე უფრო სერიოზული დამარცხება განვიცადეთ, ვიდრე იყო რომელიმე დამარცხება დენიკინისა და კორჩაკის ფრონტებზე? სწორედ ამიტომ ჩვენი პარტია წარსულში რამდენადმე ჩამორჩებოდა მოვლენებს“.**

ზემოთ ჩამოთვლილ ყველა შეცდომას უშუალოდ ლენინთან და მისი ხელით ქვეყნის მართვასთან მივყავართ.

სტალინი კბილებით იცავდა ოქტომბრის მონაპოვარს, იცავდა რუს ხალხსა და რუსეთის იმპერიას, იცავდა მისი მიწის ყოველ გოჯსა და ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებს, ერთი ხელით ებრძოდა გარეშე, მეორეთი — შინაურ მტრებს. მისი ყოველი სიტყვა გრდემლზე იჭედებოდა და, „როგორც ტყვია, ისე ვარდებოდა თოფის ლულიდან“.

**ლენინის იდეა სოციალიზმია (უტოპიური), სტალინის მიზანი — რუსეთი და რუსი ხალხი. ლენინი ინტერნაციონალისტია, სტალინი — ნაციონალი „ინტერ“-ის გარეშე. ლენინის მეგობრები დასავლეთიდან რევოლუციას შემოყოლილი ავანტიურისტები და ოქროს მაძიებლები არიან, სტალინის მეგობრები კი — რუსეთის მუშათა და გლეხთა კლასი.**

„უბედურების დღე“ რუსი ბოლშევიკებისთვის 1924 წლის 21 იანვარს დადგა. გარდაიცვალა ლენინი. ჩვენ ვნახეთ, როგორ იწრთობოდა რევოლუციის ქურაში ფოლადი და როგორ იჭედებოდა იგი სამართლიანობისა და თანასწორობის უმძიმეს გრდემლზე. სტალინი არც ქვეყნის მართვას და არც ლენინის ცხედარს არ შეუშინებია. მას, ალბათ, ადრე ჰქონდა დამუშავებული მოქმედების გეგმა მოსალოდნელი კატაკლიზმების შემთხვევაში. **სტალინის პირველივე ლოზუნგი: „ხელები შორს ლენინისგან“ ძალაში შევიდა და მანამდე ჩვეულებრივი, ემიგრაციაში ფუფუნებაში მცხოვრები, ცოლისგან ბევრჯერ ნაცემი ლენინი 1924 წლის 26 იანვარს გენიად გამოცხადდა.**

„ლენინი რევოლუციისათვის იყო დაბადებული. ის იყო რევოლუციური აფეთქებების ნამდვილი გენია და რევოლუციის ხელმძღვანელობის უდიდესი ოსტატი. ის თავს არასდროს გრძნობდა ისე თავისუფლად და აღტაცებულად, როგორც რევოლუციური ძვრების ეპოქაში. ლენინის გენიალური შორსმჭვრეტელობა არასოდეს მჟღავნდებოდა ისეთი სისრულითა და სიცხადით, როგორც რევოლუციური აფეთქებებისას“.

და აქ მოხდა სასწაული: **სტალინმა დედამიწის ერთ მეექვსედს სახელმძღვანელოდ, მსოფლიოს კი „ცნობისთვის“ წარუდგინა ლენინის ანდერძი, რომელიც ლენინს არც უთქვამს და არც დაუწერია და, რომლის შესრულებაც ლენინს თავის დროზე „მოწაფისთვის“ დაუვალებია.**

ის, რისი შესრულებაც სტალინმა ლენინის ცხედარს შეჰფიცა, სტალინის მოფიქრებული და დაწერილი იყო, ხოლო ლენინის მიერ დაწერილ ანდერძზე ლენინის პირად მდივან **ელენე ვოლოდიჩევას** განუცხადა: „ეს ლენინის დაწერილი არ არის, ეს მისი ავადმყოფობის დაწერილია“.

აი ანდერძის პირველი პუნქტი, რომელიც სტალინმა მოიფიქრა და ლენინის დაწერილი არ იყო:

***„მაღლა გვეჭიროს და წმინდად დავიცვათ პარტიის წევრის დიადი სახელი“. — „ვფიცავთ, ამხანაგო ლენინ, ღირსეულად შევასრულებთ ამ ანდერძს“.**

ლენინმა კი ყრილობას მართლა დაუტოვა ანდერძად რომ:

**„სტალინი უხეში და შეუთავსებელია გენერალური მდივნის პოსტისთვის“.**

მაშინ რას ეფიცებოდა „მოწაფე“ „მასწავლებელს“?

ანდერძის მეორე პარაგრაფი:

***„დავიცვათ ჩვენი პარტიის ერთიანობა, როგორც თვალისჩინი“.**

ლენინი ამ სიტყვებს ვერ დაწერდა, რადგან კარგად იცოდა, რომ „დემოკრატიული ოპოზიცია“, ტროცკის მეთაურობით, ვერასოდეს შეურიგდებოდა „დიქტატორ“ სტალინს, რომელიც უნდა შეცვლილიყო რეალური ლიდერით.

სტალინი კი ორგანულად ვერ იტანდა ოპოზიციას, რომელიც დასავლეთის მიერ იყო წახალისებული, მით უმეტეს — „იუდა“ ტროცკის.

მაშ, რა პირობას დებდა ლენინის კუბოსთან სტალინი?

ფიცის მესამე პარაგრაფი ლენინისა და სტალინის ერთად შემუშავებული დებულებაა მარქსსა და ენგელსზე დაყრდნობით:

*** „დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა. ვფიცავთ, ამხანაგო ლენინ, რომ არ დავზოგავთ ძალებს, რათა ღირსეულად შევასრულოთ ეს ანდერძიც“.**

ყველაზე დიდხანს საზოგადოებაში ანდერძისა და ფიცის ამ პარაგრაფმა იმუშავა, ოღონდ ერთი განსხვავებით: სტალინის პერიოდში ნამდვილად იყო პროლეტარიატის დიქტატურა, ხოლო სტალინის შემდგომ პერიოდში — მართველი პარტიის დიქტატურა.

მეოთხე პარაგრაფი ანდერძისა ასეა ჩამოყალიბებული:

*** „განვამტკიცოდ მუშებისა და გლეხების კავშირი“.**

ამ პარაგრაფის შინაარსი არ გამოხატავს ლენინის განწყობას, რადგან ის დასანახავადაც ვერ იტანდა რუს გლეხს, ისევე, როგორც ტროცკი. აქედან გამომდინარე, ანდერძის ეს პარაგრაფიც სტალინის თვითშემოქმედებაა, რომელიც წარმოთქვა, დაიფიცა და გააკეთა კიდეც.

ანდერძის მეხუთე პარაგრაფი:

*** „განვამტკიცოთ და გავაფართოოთ რესპუბლიკების კავშირი“.**

საეჭვოა, რომ ეს სიტყვებიც ლენინს ეკუთვნოდეს, რადგან რესპუბლიკების არსებობაზე ლენინს სხვა თვალსაზრისი ჰქონდა, მაგრამ არა ისეთი, ბევრს რომ ჰგონია — სრული თავისუფლება; პირიქით — უფრო შეზღუდული — გუბერნიის ფორმით. სტალინი თავის მიერ მოფიქრებულ რესპუბლიკების განმტკიცებაზე უფრო გულწრფელად იფიცებს, ვიდრე ლენინის დანაბარების შესრულებაზე.

დასარულ, თურმე ლენინის დანაბარები:

*** „გვიანდერძა კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპებისადმი ერთგულება“.**

ეს ხშირად წარმოუთქვამს ლენინს — მსოფლიო რევოლუციის გულანთებულ მხარდამჭერს, მაგრამ სტალინს, როგორც პრაგმატიკოსს, ყოველთვის ეჭვი ეპარებოდა მის რეალურობაში, რაც ცხოვრებამაც დაადასტურა, და სტალინმა 1943 წელს კომუნისტური ინტერნაციონალი საბოლოოდ დაასამარა.

სტალინმა ლენინის გარდაცვალებისთანავე გააუქმა ბევრი მისი დადგენილება. მათგან ბევრი არქივების გახსნის შემდეგ შეიქნა ცნობილი, ბევრს კი დღემდე ადევს გრიფი „სრულიად სიდუმლოდ“. რელიგიის საკითხებზე ლენინის დადგენილებების გაუქმებას მკაცრი ფორმულირება აქვს დართული: **„უარყოფილ იქნას“.**

არის თუ არა სტალინი ლენინის „მოწაფე“? — არა და არა!

სტალინს ლენინისგან არაფერი უსწავლია, ლენინს კი სტალინისაგან ბევრი რამ ჰქონდა ნასწავლი. მაშ, რატომ დასჭირდა სტალინს ლენინის გაღმერთება?

**სტალინმა ამ შემთხვევაში ტამპლიერის როლი შეასრულა, გამოიგონა „უფლის საფლავი“ და სამასი მილიონი ადამიანი დაუმორჩილა ერთ სარწმუნოებას — ლენინიზმს, რომელიც, ფაქტობრივად, სტალინიზმი იყო.**

ჩნდება კითხვა: რა ბედი ელის სტალინსა და სტალინიზმს?

**სტალინიზმი სტალინის მიერ შემნილი მიმდინარეობა არ არის, სტალინიზმი თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისთვის კაცობრიობის ხანგრძლივი ბრძოლის შედეგია, რომელსაც უამრავი სისხლი და ადამიანური მსხვერპლი დასჭირდა უხსოვარ დროიდან დღემდე.** საზოგადოებაში ბრძოლა მაშინაც იყო, როდესაც კლასები საერთოდ არ არსებობდა, მაგრამ ბრძოლა „რაღაცისთვის“ მაინც მიმდინარეობდა. მას შემდეგ, რაც უტოპიური სოციალიზმის ფუძემდებლები გამოჩნდნენ, 400 წელი დასჭირდა, ჰიპოთეზა თეორიად ქცეულიყო. საზოგადოებამ უამრავი ცდა ჩაატარა თავისი ცხოვრების მოსაწყობად და მეტ-ნაკლებად ღვთიურს მიუახლოვა და იბრძოლა მის დასამკვიდრებლად. **სტალინიზმს არ უნდა მოვთხოვოთ ორ ათწლეულში ამქვეყნიური სამოთხის აშენება, მაგრამ სტალინიზმის შედეგებმა ცხადყო მისი ცხოველმყოფლობა. სტალინიზმი მომავალში თავის კონსტრუქტორსა და არქიტექტორს აუცილებლად იპოვის და ჩვენი შთამომავლები აღთქმულ სტალინურ ქვეყანაში იცხოვრებენ.**

ექნება თუ არა მას რაიმე შეხება ლენინიზმთან, ძნელი სათქმელია. მგონია, რომ ლენინისა და სტალინის მსოფლმხედველობა საველე ბინოკლს ჰგავს: თუ ერთი მხრიდან გაიხედავ, საგნები და მოვლენები ძალიან შორს და ბუნდოვნად გამოჩნდება, ხოლო, თუ ბინოკლს შემოვაბრუნებთ და მეორე მხრიდან გავიხედავთ, იმავე მოვლენებსა და საგნებს ახლოს და მკაფიოდ დავინახავთ. ასე მეჩვენება უბრალო მოკვდავს ლენინიზმი და სტალინიზმი. და არ ვფიქრობ, ლენინი იმდენ ხანს შემორჩეს ადამიანების მეხსიერებას, რამდენსაც სტალინი შემორჩება.

დღეს რუსი ინტელექტუალები ამბობენ:

**„რუსი ხალხი პუტინს იმას კი არ ედავება, რომ პუტინია, არამედ იმას, რომ ის მეტი სტალინი უნდა იყოს“.**

ესე იგი, რუსეთი არ ითხოვს, რომ პუტინი სტალინი იყოს. ასე, რა თქმა უნდა, ვერ იქნება, მაგრამ უნდათ, რომ პუტინში მეტი იყოს სტალინი.

პუტინი, რა თქმა უნდა, ძლიერი პიროვნებაა, რომელმაც ფეხზე დააყენა დასავლეთის შეტევითა და ლოთი ელცინის მოქმედებებით დაუძლურებული რუსეთი და ქვეყანას ზესახელმწიფოს სტატუსი დაუბრუნა, რითაც ამერიკელთა ჰეგემონიას მსოფლიოზე წყალი შეუყენა, მაგრამ, როგორც ორი ათასი წლის განმავლობაში ადამიანი ვერ ამაღლდა ცად უფლის მსგავსად, არ ვფიქრობ, გაჩნდეს ახალი სტალინი, რომელიც უკეთესი ცხოვრების ფორმას შემოიღებს, ვიდრე სტალინიზმია.

ამით ვამთავრებ „მასწავლებლისა“ და „მოსწავლის“ ურთიერთობაზე მასალების გამოქვეყნებას.

ფერადი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენ, ქართველებმა, 2008 წლის აგვისტოში უკვე ვნახეთ, როგორ სწირავდა საქართველოსთვის სიცოცხლეს მიხეილ სააკაშვილი გორში საფრანგეთის საგარეო საქმეთა იმჟამინდელი მინისტრის — ბერნარ კუშნერის, უამრავი ჟურნალისტისა და კამერის თვალწინ, როდესაც თვითმფრინავის ხმის გაგონებისას შიშისაგან გონებადაბინდული ისე ხოხავდა ბუჩქებში, რომ დაცვის წევრებმა ძლივს შეაჩერეს.**

# ТИ Ж МЕНЕ ПІДМАНУЛ, ანუ ლიკბეზი უკრაინელებისთვის

**საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა და ოდესის ოლქის ექსგუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა, რომლის მიმართაც საქართველოში სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეა აღძრული და ძებნაა გამოცხადებული, უკრაინაში კი ამ ქვეყნის პრეზიდენტის — პეტრე პოროშენკოს მიერ არის შერისხული და მოქალაქეობაჩამორთმეული, ამერიკელი პატრონების წაქეზებით, 10 სექტემბერს, პოლონეთ-უკრაინის საზღვარი მხარდამჭერებთან ერთად, უკანონოდ გადალახა და ლვოვში შეიჭრა.**

უკრაინის ხელისუფლება სააკაშვილს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გამო თავდაპირველად მკაცრი სასჯელით დაემუქრა, მაგრამ შემდგომ, როგორც ჩანს, დასავლელი პატრონების მითითებით, უკრაინის გენერალურმა პროკურორმა **იური ლუცენკომ** განაცხადა, რომ „მიხეილ სააკაშვილის არც დაკავება და არც ქვეყნიდან გაძევება არ მოხდება შენგენის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან მომხდარი ინციდენტის გამო, რადგან „ახალი ძალების მოძრაობის“ (ასე ჰქვია სააკაშვილის პარტიას უკრაინაში) თავმჯდომარისა და ოდესის ოლქის ყოფილ გუბერნატორს უკრაინაში მუდმივად ცხოვრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები აქვს“.

**ლვოვის სასამართლომაც სააკაშვილი საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის მხოლოდ 3400 გრივნით (130 დოლარით) დააჯარიმა(!),** ანუ ამერიკელების მიერ უკრაინის შეშინებულმა ხელისუფლებამ თვალი დახუჭა აშკარა კანონდარღვევაზე და სააკაშვილს კარტ-ბლანში მისცა. სააკაშვილმაც, რომელიც გეგმავდა, 19 სექტემბერს „თეთრ ცხენზე“ ამხედრებული შესულიყო კიევში, გადაწყვეტილება შეცვალა. აღსანიშნავია, რომ სააკაშვილი ტყუილუბრალოდ არ გეგმავდა 19 სექტემბერს კიევში შესვლას — შეიტყო, რომ ეს მართლმადიდებლებისთვის საზეიმო დღეა — მიქაელ მთავარანგელოზის და სურდა, უკრაინელებისთვის თავი დაემახსოვრებინა, როგორც ბოროტებასთან მებრძოლი „მიხეილ მთავარანგელოზი“. სააკაშვილს ხომ ძალიან უყვარს სიმბოლოები?! ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ ნაციონალებმა გიორგობას დაამთხვიეს, აგრეთვე, აჭარიდან **ასლან აბაშიძის** გაძევებაც.

მაგრამ, როგორც ჩანს, სამშობლოში დევნილ და უკრაინაში შერისხულ „მიხეილ მთავარანგელოზს“, მრჩევლებმა გადააფიქრებინეს კიევის დალაშქვრა 19 სექტემბერს, რადგან ეტყობა, აქცია — კიდევ ერთი მაიდანი — ჯერ ბოლომდე მომზადებული არ არის, ამიტომ შტურმი 17 ოქტომბრისთვის გადაიდო, მიშიკო კი „ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად“ უკრაინის რეგიონებში სამოგზაუროდ წავიდა, თუმცა მანამდე მოახერხა და ჩვეულ სტილში რამდენიმე ისეთი ტყუილი დაახეთქა, მის ადგილას ნორმალური ადამიანი სირცხვილით დაიწვებოდა, ყოფილ პრეზიდენტსა და ყოფილ გუბერნატორს, პოროშენკოს აწ უკვე ყოფილ მეგობარს კი წარბიც არ შეუხრია:

**„მაშინ, როდესაც მტერმა აღმოსავლეთით საზღვარი გაარღვია, როდესაც უკრაინა სავსეა ჯაშუშებით, როდესაც მედვედჩუკი პოროშენკოს მთავარი ბიზნესპარტნიორია და ყოველდღე უკრაინელ მძღოლებზე ფულს აკეთებს, როდესაც ქვეყანაში ყველაფერი იშლება და ინგრევა, ისინი დაკავებულნი არიან ჩემი პირადი ცხოვრების ჩაწერით სასტუმროს ნომრებში. პეტრო ალექსეევიჩ, თავისუფალ დროს სხვა საქმე არ გაქვთ? გსურთ, ნახოთ, როგორ დადის სააკაშვილი ტუალეტში? თქვენი ცხოვრება არ გყოფნით? ჩემი პირადი ცხოვრებით, სექსუალური ისტორიებით გინდათ დაკავდეთ? მე მყავს ასეთი ხალხი ნანახი, პუტინი იყო ამით დაკავებული, ჩვენ საქართველოში გვყავდა ასლან აბაშიძე, რომელიც ამას აკეთებდა. ნუთუ არ გრცხვენიათ?! იცით, როდესაც მე ვიყავი პრეზიდენტი, ჩემს სპეცსამსახურებს ჯაშუშების პირადი ცხოვრების ჩაწერასაც კი ვუკრძალავდი. ერთხელ იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც მე მტრის ერთ-ერთი აგენტის ჩანაწერი მომიტანეს, რომელიც პირადი ხასიათის ინფორმაციას შეიცავდა და ჩვენს სამსახურებს ამის მისი გადმოსაბირებლად გამოყენება უნდოდათ. მე ვთქვი, ახლა თქვენ ამას გაანადგურებთ და არასდროს ჩაწერთ მტერსაც კი მათ ნომრებში, ოთახებში, საძინებლებში, ტუალეტებში, აბაზანებში. თქვენ კი რას აკეთებთ? რა არის ეს?“** — ასე მიმართა უკრაინის ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელში პირდაპირი ტრანსლაციისას.

სააკაშვილს, როგორც ჩანს, ჰგონია, რომ უკრაინისა და საქართველოს მოსახლეობას (ყველას თუ არა, დიდ ნაწილს მაინც) მოკლე მეხსიერება აქვს და სააკაშვილის მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაულები დაავიწყდა, მაგრამ ამ მართლაც უტიფარ ცრუს და მის უკრაინელ, აგრეთვე, ქართველ მხარდამჭერებს შევახსენებთ შს იმჟამინდელი მინისტრის, **ირაკლი ღარიბაშვილის,** განცხადებას, სამეგრელოში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარაზენიდან 1 კმ-ში, ტყეში, 2013 წლის 15 ივნისს ნაპოვნ დიდი ოდენობით ცეცხლსასროლ იარაღზე, დოკუმენტებზე, ნარკოტიკებსა და 17 500 (ჩვიდმეტი ათას ხუთასი!) ვიდეო და აუდიოფაილზე, რომლებზეც პოლიტიკოსების, გამოჩენილი ადამიანების, ჟურნალისტების პირადი ცხოვრება, აგრეთვე, სხვადასხვა პირის ცემა, წამება, ღირსების შემლახავი მოპყრობა და სექსუალური ძალადობაა აღბეჭდილი:




**სამეგრელოში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ტყეში, 2013 წლის 15 ივნისს იპოვეს დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი, დოკუმენტები, ნარკოტიკები და 17 500 (ჩვიდმეტი ათას ხუთასი!) ვიდეო და აუდიოფაილი, რომლებზეც პოლიტიკოსების, გამოჩენილი ადამიანების, ჟურნალისტების პირადი ცხოვრება, აგრეთვე, სხვადასხვა პირის ცემა, წამება, ღირსების შემლახავი მოპყრობა და სექსუალური ძალადობაა აღბეჭდილი**

**„სამალავებში აღმოჩენილია ადამიანების წამების ძალიან მძიმე ვიდეოკადრები. იმ 8 კასრთან ერთად, კიდევ 4 კასრი ამოვიღეთ, რომლებშიც მოთავსებული იყო 405 დისკი, უამრავი მასალაა ასეულობით ადამიანზე. ბოლო მონაცემებით, საერთო რაოდენობა შეადგენს 17 ათას 500 აუდიო-ვიდეო ფაილს, რომლებზეც მოცემულია როგორც პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო მასალები, ასევე, ჩანაწერებში არის ძალიან ბევრი პოლიტიკური პარტიის, პოლიტიკოსის, გამოჩენილი ადამიანის, ჟურნალისტის საქმიანობის ამსახველი მასალები“.**

სამეგრელოს სამალავებში ნაპოვნი აუდიო და ვიდეომასალების, ანუ ე.წ. კასრების საქმეზე რამდენიმე ადამიანს დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.


იარაღი და ნარკოტიკები სამეგრელოში ნაპოვნი სამალავებიდან

სასამართლომ **ირაკლი ახალაიას** 2 წლითა და 3 თვით აღუკვეთა თავისუფლება, **პაატა ქირიას** — 6 წლით, თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსან **კობა თოდუას** — 9 წლით, **გიორგი ბულიას** — 6 წლით, **თემურ უბირიას** — 7 წლითა და 6 თვით, ხოლო სააკაშვილისდროინდელი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამეტის ყოფილ უფროს **მეგის ქარდავასა** და შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილე **კოხტა კოდუას** 9-9 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მეგის ქარდავა და კოხტა კოდუა საქართველოდან არიან გაქცეული და ორივეზე გამოცხადებულია ძებნა.

მოგვიანებით, 2015 წლის ოქტომბერში, უკრაინულმა ვებგვერდმა tube.ua-მ გამოაქვეყნა სამეგრელოს სამართალდამცავ უწყებაში წამების ამსახველი 5-წუთიანი ვიდეომასალა სათაურით **„როგორ აწამებენ რეფორმატორები ადამიანებს ჩვენების მიღების მიზნით“,** რომელზეც ასახულია მამაკაცის სასტიკი წამება, სექსუალურ ძალადობა, შეურაცხმყოფელი მოპყრობა. კადრებში ჩანს მამაკაცზე სექსუალური ძალადობა, რომლის შემდეგაც იგი გამომძიებელს ჩვენებას აძლევს. ვიდეო სრულდება **ძმები ახალაიების, მიხეილ სააკაშვილის, გივი თარგამაძის, ზურაბ ადეიშვილისა და ვანო მერაბიშვილის ფოტოსურათებით, წარწერით — „სამართალდამცავი ორგანოების რეფორმების შედეგი“.**

აღსანიშნავია, რომ **ე.წ. კასრების მასალების შემოქმედად ცნობილი მეგის ქარდავა მიხეილ სააკაშვილმა, 2012 წლის 19 მაისის განკარგულებით, ღირსების ორდენით დააჯილდოვა. განკარგულებაში აღნიშნულია, რომ მეგის ქარდავას ღირსების ორდენი სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, პროფესიონალიზმისა და ღირსეული სამსახურისთვის (?! — ნ.კ.) გადაეცა.**

თვალთმაქცი და მატყუარა სააკაშვილი კი ცდილობს, უკრაინელებს, და არა მხოლოდ მათ, თვალში ნაცარი შეაყაროს, როცა ამბობს, ჩემი პრეზიდენტობისას სპეცსამსახურებს ჯაშუშების პირადი ცხოვრების ჩაწერასაც კი ვუკრძალავდიო. არადა, სწორედ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში აჩვენებდნენ რეგულარულად ფარული მიყურადების დამადასტურებელი მასალებსა და ვიდეოკადრებს, სწორედ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში გაუჩნდა ქართველ საზოგადოებას განცდა, რომ ყველას ტოტალურად უსმენდნენ. ადამიანები ტელეფონებს შლიდნენ, მალავდნენ და ოჯახებშიც კი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. მათ კი, ვისაც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას შეამჩნევდნენ, სამსახურიდან აგდებდნენ, ქონებას ართმევდნენ, ცემდნენ, აუპატიურებდნენ, ციხეში სასტიკად აწამებდნენ და, თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, კლავდნენ კიდეც.

სწორედ სააკაშვილმა დაარწმუნა საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი, რომ ხელისუფლება ისმენდა, ხედავდა და კითხულობდა ყველაფერს. სწორედ სააკაშვილის ხელისუფლების სტილი იყო წინასწარ იმიტირებული დანაშაულის ფარული ჩანაწერებით დაკანონება: ასე იყო **ირაკლი ბათიაშვილის** შემთხვევაში, როდესაც გავრცელდა 2011 წლის 8 მაისს გადაღებული კადრები რესტორან „ზღაპრიდან“, **ერეკლე კოდუასა** და **ბადრი პატარკაციშვილის** დიალოგი ლონდონში 2007 წლის 23 დეკემბერს; **ირაკლი ოქრუაშვილის** სატელეფონო საუბრის ჩანაწერი; **ნინო ბურჯანაძისა** და მისი ვაჟის საუბრის ჩანაწერი; ბადრი პატარკაციშვილის, **ვანო ჩხარტიშვილისა** და **ვანო მერაბიშვილის** შეხვედრა და დიალოგი სუფრასთან; ყინწვისის ე.წ. შეთქმულთა საუბარი, **ცოტნე გამსახურდიას** საუბარი ძმასთან და სხვ.

ამას გარდა, ინტერნეტში გამოქვეყნდა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში გადაღებული კადრები, რომლებზეც დიპლომატების (აწ უკვე ყოფილი), პარლამენტარების, ოპოზიციური პარტიების ლიდერების, ცნობილი ჟურნალისტების, პოლიტიკოსების ინტიმური ცხოვრებაა აღბეჭდილი და, მიუხედავად იმისა, რომ სახეები მკა- ▶

**სამეგრელოს სამალავებში ნაპოვნ აუდიო და ვიდეომასალების, ანუ ე.წ. კასრების საქმეზე 12 ადამიანს დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. სასამართლომ ირაკლი ახალაიას 2 წლითა და 3 თვით აღუკვეთა თავისუფლება, პაატა ქირიას — 6 წლით, თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსან კობა თოდუას — 9 წლით, გიორგი ბულიას — 6 წლით, თემურ უბირიას — 7 წლითა და 6 თვით. ხოლო სააკაშვილისდროინდელი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ უფროს მეგის ქარდავასა და შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილე კოხტა თოდუას 9-9 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.**

ფრონტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ფიოდ არ ჩანდა, საზოგადოებამ მაინც იცნო ამ ვიდეოსიუჟეტების გმირები...

**სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მიყურადება, თვალთვალი, ფარული გადაღებები, დასმენა და შანტაჟი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სააკაშვილის ხელისუფლება სრულად აკონტროლებდა მედიას, რომელიც ამბობდა და აჩვენებდა მხოლოდ იმას, რასაც კარნახობდნენ. ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვა ელიტური კორუფცია, ერთ პატარა ჯგუფს ყველაფრის უფლება ჰქონდა; სხვებს, უმრავლესობას — არაფრის. სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობა“ ორმაგი სტანდარტით მართავდა ქვეყანას — აუპატიურებდნენ და კლავდნენ ადამიანებს, სხვების დასანახავად კი დემოკრატიის შუქურად მოჰქონდათ თავი.**

ძალაუფლებით გათავხედებული სააკაშვილის კლანი განუსაზღვრელი ვადით გეგმავდა ხელისუფლებაში ყოფნას. ისინი დაუფარავად ქადაგებდნენ „ახალი ქართველის“ ჩამოყალიბების აუცილებლობას, რაც სინამდვილეში ადამიანებისთვის ტვინების გამორეცხვას და ყველაფრის მკადრებელ ზომბებად გაწვრთნას ნიშნავდა. ისინი არავის ინდობდნენ, ვისი ავტორიტეტიც ამ მიზნის განხორციელებაში ხელს უშლიდათ და ამიტომ ებრძოდნენ და ებრძვიან ასე გააფთრებით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის საჭეთმპყრობელს — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს...

სხვათა შორის, სააკაშვილის განცხადებას, სპეცსამსახურებს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების მოპოვებას ვუკრძალავდიო, 15 სექტემბერს გადაცემა „რეაქციის“ პირდაპირ ეთერში გამოეხმაურა ჟურნალისტი **ინგა გრიგოლია**, რომელმაც სააკაშვილი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გადაღებასა და შანტაჟის მოსაწყობად მათ გამოყენებაში დაადანაშაულა:

**„პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, რომლებითაც მე ერთი წლის წინათ მაშანტაჟებდნენ, გადაღებული იყო 2012 წლამდე. ეს ინფორმაცია მე მქონდა. ამის შესახებ გამოძიებასაც მივეცი ჩვენება“**, — განაცხადა ინგა გრიგოლიამ.

უკრაინაში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები მოწმობს, რომ უკრაინისა და საქართველოს „სტრატეგიულ პარტნიორებს“ თვალში აღარ მოსდით მათ მიერვე რევოლუციის გზით ხელისუფლების სათავეში მოყვანილი სააკაშვილის „მეგობარი“ და თანაკურსელი პეტრე პოროშენკო და მის შეცვლას ახალი მაიდნის აგორებით ცდილობენ, უკრაინის პრეზიდენტის ადგილს კი სწორედ სააკაშვილს უმზადებენ, სააკაშვილიც, დასავლელი პატრონების მხარდაჭერით გულმოცემული, ოღონდ ძალაუფლება ჩაიგდოს ხელში, ტყუილს ტყუილზე აცხობს:

**„რომ ყვირიან, გაარღვიაო საზღვარი, არაფერი გამირღვევია, თუ საჭირო გახდება, საქართველოშიც ასე ჩავალ. აქ უამრავი ხალხი დამხვდა და დამიჯერეთ, საქართველოში ამაზე ათჯერ მეტი დამხვდება, თან მათი ხელისუფლება უკრაინისაზე ბევრად სუსტია, მაგრამ მე ამ ეტაპზე უკრაინელი ხალხის წინაშე ავიღე ვალდებულება. მე მიყვარს ეს ქვეყანა. ახლა უკვე სამმაგად მმართებს უკრაინელი ხალხის, რომელმაც, უბრალოდ, ხელში ამიყვანა და აქ მომიყვანა. ასე რომ, უკანასკნელი ნაბიჭვარი ვიქნები, ამ ბრძოლის ველიდან რომ გავიქცე. ყოველთვის მზად ვარ, საკუთარი სიცოცხლე გავწირო, რადგან ასეთია ჩემი ცხოვრება“**, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საზღვრის უკანონო გადაკვეთაში უკრაინის სასამართლომ უკვე ცნო დამნაშავედ მიხეილ სააკაშვილი და თუმცა შეუსაბამო, მაგრამ მაინც გამოუტანა სასჯელი — 135 დოლარის გადახდა დააკისრა, რაც შეეხება „უკანასკნელ ნაბიჭვარს“, „ბრძოლის ველიდან არგაქცევას“ და „მზაყოფნას უკრაინისთვის სიცოცხლის გასაწირავად“, ჩვენ, ქართველებმა 2008 წლის აგვისტოში უკვე ვნახეთ, როგორ წირავდა საქართველოსთვის სიცოცხლეს მიხეილ სააკაშვილი გორში საფრანგეთის საგარეო საქმეთა იმჟამინდელი მინისტრის — **ბერნარ კუშნერის**, უამრავი ჟურნალისტისა და კამერის თვალწინ, როდესაც თვითმფრინავის ხმის გაგონებისას შიშისაგან გონებადაბინდული ისე ხოხავდა ბუჩქებში, რომ დაცვის წევრებმა ძლივს შეაჩერეს.

აი „გულადი“ და „სამშობლოსთვის სიცოცხლის გამწირავი“ სააკაშვილის კიდევ ერთი განცხადება, რომელიც არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს:

**„კარგად მესმის ყირიმელების იმიტომ, რომ მათ მშობლიურ მიწაზე არ უშვებენ. ჩემთვის უკრაინა საქართველოს შემდეგ რეალურად იქცა მეორე სამშობლოდ, რადგან ჩემი ცხოვრების 13 წელი უკრაინაში გავატარე.**

**მე საქართველოში, აფხაზეთში, იმიტომ არ მიშვებდნენ, რომ პუტინმა მოისურვა ასე, რუსეთში მოისურვეს ასე 90-იან წლებში, და 500 ათასი უკრაინელი, ქართველი, ებრაელი, ბერძენი გამოაძევეს აფხაზეთიდან. ჩემთვის უზარმაზარი სტრესი იყო, რომ არ შემეძლო მშობლიურ სოხუმში ჩასვლა, საიდანაც, სხვათა შორის, წარმოშობით არის ჩემი ოჯახი, სოხუმთან ახლოს მდებარე ეშერიდან. შემდეგ პუტინმა უბრძანა რუს ოლიგარქს, „გაზპრომის“ უმსხვილეს კერძო აქციონერ ივანიშვილს, არ შევეშვი საქართველოში და აღეძრა თითიდან გამოწოვილი სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც გააპროტესტა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა და, რომელთა აღიარებაზეც თავიდანვე თქვა უარი ინტერპოლმა, და რომელთა წინააღმდეგაც მრავალგვერდიანი წერილი დაწერა უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ. ამიტომ ჩემი ფსიქოლოგიური მოტივაცია გასაგებია: უკვე ორჯერ, პუტინის გამო, ვერ შევძელი ჩემი წინაპრების სამშობლოში ჩასვლა, ჩემს სახლში, აფხაზეთში, და მე შემიქმნეს პრობლემები იმ ქვეყანაში შესვლაზე, რომელიც მე შევქმენი, როგორც სახელმწიფო, ქვეყანა საქართველო, რის გამოც ძალიან ვამაყობ. ახლა კი პოროშენკომ გადაწყვიტა, რომ უკრაინა მისი საკუთრებაა, თანაც ეს ხელს აძლევს აქეთ პუტინს, იქით — ივანიშვილს და გადაწყვიტა, არ შემიშვას უკრაინაში, ჩემს მეორე სამშობლოში, არ გამოვა! პუტინმა ეს უკვე ორჯერ გააკეთა, მესამედ ამას ველარ გააკეთებს“.**

აბა, რა! თურმე საქართველო, როგორც სახელმწიფო, სააკაშვილის შექმნილია, მანამდე ქართველი და საქართველო არ არსებობდა, არც **ფარნავაზი** ყოფილა, არც **ვახტანგ გორგასალი, თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე, რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, ილია, აკაკი, ფიროსმანი, არც სვეტიცხოველი, ჯვარი, ნიკორწმინდა თუ ალავერდი...** ყველაფერი თურმე ამერიკელების მიერ საქართველოს ხელისუფლების სათავეში სააკაშვილის დასმის შემდეგ შეიქმნა...

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და ოდესის ოლქის ექსგუბერნატორი, რომელისთვისაც სამშობლო ხან საქართველოა, ხან — უკრაინა, რომელიც ხან ამბობს, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრუკვეთში გაიზარდა, ხან კიდევ — სოხუმის მახლობლად, ეშერაში, სინამდვილეში უმიწაწყლოა, ანუ უსამშობლო... თუმცა არა... შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილის სამშობლო ამერიკის შეერთებული შტატებია, სადაც ის გამოზარდეს და ქართველ ხალხს 9 წლის განმავლობაში დაასვეს თავზე. ახლა კი ანალოგიურ რამეს უპირებენ უკრაინელებსაც.

ავანტიურისტი და ცრუპენტელა სააკაშვილი, რომლისთვისაც მთავარი ძალაუფლებაა და არა ქვეყანა და მისი მოსახლეობა, არც მამაცია, არც პატრიოტი და არც საშიში რომელიმე ქვეყნისთვის. საშიშია ის კაცთმოძულე ძალა, რომელიც სააკაშვილს მართავს, რომლის ხელშიც მილიარდებია და, რომელსაც სურს, უკრაინის, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის ხელისუფლება მისი ვასალი იყოს, ხალხის აზრი კი, საერთოდ, არ აინტერესებს.

**ნიკა კორინთელი**





„მამაცი“ მიხეილი გორში. 2008 წლის აგვისტო

**უკრაინაში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები მოწმობს, რომ უკრაინისა და საქართველოს «სტრატეგიულ პარტნიორებს» თვალში აღარ მოსდით მათ მიერვე რევოლუციის გზით ხელისუფლების სათავეში მოყვანილი სააკაშვილის «მეგობარი» და თანაკურსელი პეტრე პოროშენკო და მის შეცვლას ახალი მაიდნის აგორებით ცდილობენ, უკრაინის პრეზიდენტის ადგილს კი სწორედ სააკაშვილს უმზადებენ, სააკაშვილიც, დასავლელი პატრონების მხარდაჭერით გულმოცემული, ოღონდ ძალაუფლება ჩაიგდოს ხელში, ტყუილს ტყუილზე აცხობს**



კასრები სამეგრელოში ნაპოვნი სამალავებიდან



**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და ოდესის ოლქის ექსგუბერნატორი, რომლისთვისაც სამშობლო ხან საქართველოა, ხან უკრაინა, რომელიც ხან ამბობს, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრუკვეთში გაიზარდა, ხან კიდევ — სოხუმის მახლობლად, ეშერაში, სინამდვილეში უმიწაწყლოა, ანუ უსამშობლო. თუმცა, არა... შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილის სამშობლო ამერიკის შეერთებული შტატებია, სადაც ის გამოზარდეს და ქართველ ხალხს 9 წლის განმავლობაში დაასვეს თავზე. ახლა კი ანალოგიურს უპირებენ უკრაინელებსაც**

**P.S. 1970-იან წლების ეს ანეკდოტი სრულიად შეესაბამება თანამედროვე უკრაინისა და საქართველოს მდგომარეობას:**

**ქუთაისში, „ტორპედოს“ სტადიონზე, ადგილობრივი საფეხბურთო გუნდი „ტორპედო“ მარცხდება კიევის „დინამოსთან“. ნერვებმოშლილმა ჭიჭიკომ ტრიბუნიდან დაუყვირა ერთ-ერთ ქუთაისელ ფეხბურთელს:**

**— ე, ბიჯო, ხაჟალია, ეიღე ბურთი და დაარტყი პენალტი!**

**ხაჟალიამ მოედნიდან ამოსძახა:**

**— არ მაძლევს სუდია და რა ვქნა?!**

**— ვინ ჰკითხავს სუდიას, აგერ არის ჩვენი კომკავშირის ქალაქკომის მდივანიო, — ჩასძახა ჭიჭიკიამ...**

**სწორედ ასეა ჩვენი და უკრაინელების საქმე — ვინ რას ჰკითხავს უკრაინისა და საქართველოს ხელისუფლებებს, როცა აგერ არის აშშ-ის ელჩი?!**

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოში დემოგრაფიული ვითარება, როგორც მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, შეიძლება ითქვას, ყველაზე მძიმეა პოსტსაბჭოთა და მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ამიტომ, ქვეყანაში ავტოქტონური მოსახლეობის პერმანენტული შემცირებისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსის დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს ძალიან გაუჭირდება თავისი სტრატეგიული, გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და, საერთოდ, ეროვნული ამოცანების განხორციელება; საფრთხე შეექმნება მის სულიერ და ტერიტორიულ მთლიანობას, ადრინდელ მიმზიდველობას დაკარგავს ჩვენი ერისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. ასეთ ვითარებაში გარდაუვალი იქნება ეროვნული ცნობიერების დაქვეითება, საბოლოოდ კი — ერის გენოფონდის ცვლილება.

## 30 წელიწადში იმერეთი, შესაძლოა, მოსახლეობისგან დაიცალოს, ანალოგიური ბედი ელის სამეგრელოს და სხვა რეგიონებსაც. საქართველოში 223 სოფელი უკაცრიელია

# კატასტროფული დემოგრაფიული ვითარება საქართველოში — ერი გაქრობის ზღვარზე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №34 (410)

**ქართველი დემოგრაფები, სპეციალისტები, კარგა ხანია, განგაშის ზარებს არისხებენ ქვეყანაში შექმნილი კატასტროფული დემოგრაფიული ვითარების გამო. მეზობელ ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობა განუხრელად იმატებს, საქართველოში კი, ვითარების გაუმჯობესების მცდელობის მიუხედავად, დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფულია. ამას მოწმობს 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემები, რომელთა მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 1992-2014 წლებში 5,4 მლნ-დან 3,7 მლნ-მდე შემცირდა.**

**საქართველოში შექმნილ მწვავე დემოგრაფიულ ვითარებას ეძღვნება ცნობილი ქართველი დემოგრაფის, პროფესორ ანზორ თოთაძის ნაშრომი „რად არ გაფიქრებს შენი მოდგმის გადაშენება, ანუ თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება ეროვნული კატასტროფის ტოლფასია", რომელიც მან 2017 წელს წიგნად გამოსცა. წინამდებარე წერილს სწორედ ამ წიგნიდან მოყვანილი მონაცემები დაედო საფუძვლად.**



### ყველაზე მძიმე დემოგრაფიული ვითარება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

თბილისი და, საერთოდ, საქართველო XIX საუკუნიდან ითვლებოდა ამიერკავკასიის, და, შეიძლება ითქვას, კავკასიის ცენტრად, რასაც სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად ადასტურებს, ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი: **1877 წელს ამიერკავკასიაში გამოწერილი ჰქონდათ რუსეთში გამოცემული 41 დასახელების 1428 ეგზემპლარი ჟურნალ-გაზეთი, მათგან 1072 ეგზემპლარი, ანუ 75 პროცენტი — საქართველოში:** კერძოდ, თბილისის გუბერნიაში — 816 ეგზემპლარი, მათ შორის, მხოლოდ თბილისში — 686, ერევნის გუბერნიაში — 100, ბაქოს გუბერნიაში — 196, ქუთაისის გუბერნიაში — 256 და დაღესტნის ოლქში — 60 (იმ პერიოდში დაღესტნის ოლქი ამიერკავკასიაში შედიოდა). გარდა ამისა, თბილისი იღებდა 9 დასახელების 44 ცალ სპეციალურ გამოცემას: კიევის სასულიერო აკადემიის შრომებს (6 ეგზემპლარს); გამოცემებს მიწათმოქმედების, მებაღეობის, მებოსტნეობის (18), თანამედროვე მედიცინის (4) შესახებ; მედიცინის სიახლეებსა (2) და სხვ. ამასთანავე, ძირითადად, მხოლოდ თბილისში ჰქონდათ გამოწერილი 100-ზე მეტი უცხოური პერიოდული გამოცემა, კერძოდ, Der Bazar (16 ეგზემპლარი), Illustracion-ი(10), Allgemeine Zeitung-ი (9) და სხვ. სრულიად კავკასიისთვის თბილისში რუსულ ენაზე გამოდიოდა გაზეთი „კავკაზი", „ლიტერატურული ფურცელი", „კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ოქმები", კავკასიის სამედიცინო საზოგადოების „სამედიცინო კრებული", „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ჩანაწერები", „რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჩანაწერები" და სხვ. საკითხის უფრო ნათლად წარმოსაჩენად შეიძლება აღინიშნოს: 1865 წელს თბილისის გუბერნიაში 602 954 კაცი ცხოვრობდა, ხოლო ერევნის გუბერნიაში — 437 719, ამავე წელს, როგორც ზემოთ ითქვა, თბილისის გუბერნიაში რუსეთში გამოცემული ჟურნალ-გაზეთების 816 ეგზემპლარი იყო გამოწერილი, ხოლო ერევნის გუბერნიაში — 100. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ 10 ათას კაცზე თბილისის გუბერნიაში გამოწერილი იყო ჟურნალ-გაზეთების 13 ეგზემპლარი, ხოლო ერევნის გუბერნიაში — 2, ანუ 6,5-ჯერ ნაკლები. ანალოგიური ვითარება იყო ბაქოს გუბერნიასთან შედარებითაც.

საქართველოსა და თბილისის კავკასიის ცენტრად აღიარება მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. **საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნესა და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში შესამჩნევად მრავალრიცხოვანი იყო მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობასთან შედარებით. 1865 წელს თბილისის მოსახლეობა 67 770 კაცს შეადგენდა, ბაქოსი — 14 715-ს, ხოლო ერევნისა — 14 070 კაცს. განათლების დონე საქართველოში უფრო მაღალი იყო, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში. რუსეთისა და საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ერთმორწმუნე იყო — მართლმადიდებელ სარწმუნოებას აღიარებდა და საქართველო უშუალოდ ესაზღვრებოდა რუსეთს. ამასთანავე, სამეფოებად და სამთავროებად დაშლილ საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების ნიშნები შედარებით გამოხატული ჰქონდა.**

ამჟამად ვითარება შეიცვალა. **თუ საგანგებო ღონისძიებები არ განვახორციელეთ, ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის სახიფათო შემცირების პერსპექტივა გარდაუვალია. ჩვენ თანდათანობით ვთმობთ პოზიციებს რეგიონში. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა გადაულახავ ბარიერად ელობება საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების წარმატებული განვითარების ყველა სფეროს.**

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველომ თავისი ტერიტორიის 30 პროცენტზე მეტი დაკარგა. დღეს ქართული მიწა გროშებად იყიდება და უცხოელის ხელში გადადის. სამწუხაროდ, ზოგიერთისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ დაეპატრონება ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს, ოღონდ დღევანდელი უმწეო და გაჭირვებული ყოფა გადააგოროს. **თბილისში ერთი მნიშვნელოვანი შენობაც აღარ დარჩა, რომ არ გაგვეყიდა, ასეა რეგიონებშიც და ამას ინვესტიციას ვუწოდებთ.** ადრე თბილისში ეკონომიკის ოთხი ინსტიტუტი არსებობდა, რომლებსაც ფილიალები რეგიონებშიც ჰქონდა, ახლა კი... მეცნიერების ხმას ისედაც არავინ უგდებს ყურს. მძიმეა ამის თქმა, მაგრამ **ოქტომბრის რევოლუციამ სულზე მოგვისწრო, რადგან ქართველების ეროვნული სიმდიდრის დიდი ნაწილი სხვის ხელში იყო გადასული — რასაც ჩვენ ვფანტავდით, იმას სხვა იღებდა. ისტორია გამეორდა, მაგრამ მაინც ვერაფერი ვისწავლეთ.** აი რას ამბობდა ჩვენს ცხოვრებაზე გენიოსი პოეტი და მოაზროვნე **ვაჟა-ფშაველა: „საქართველო დღეს წააგავს მსუქან დუმას, გარეშე კაცი მიეტანა ამ დუმას და ნელ-ნელა ათლის კაი-კაი ნაჭრებს... ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ, ქართველები, ამ დუმის თლას ან მიწა-წყლის გადასვლას სხვის ხელში როდი ვეწინააღმდეგებით სასტიკად, როგორ ეკადრება ასეთი საქციელი ჩვენს კეთილშობილებას... თუ ამ გზით ვიარეთ, უეჭველია, ჩვენი ტერიტორია მალე დაიფუყება და საქართველოს ნიადაგზე ისე აჭრელდება სხვადასხვა ტომთა და ერთა სოფელ-დაბანი, რომ თვით დახელოვნებული ეთნოგრაფი, განსვენებული ლ. ზაგურსკი რომ წამოდგეს საფლავიდან, ვეღარ იცნობს აქაურობას და დაიკივლებს: ეს რა ქვეყანაა — საქართველოა თუ ეთნოგრაფიული გამოფენაო!"**

სამწუხაროა, რომ ვივიწყებთ წარსულის გამოცდილებას, იმას, რასაც გვირჩევდნენ ჩვენი წინაპრები, რათა მომავალი უკეთ მოგვეწყო. დავივიწყეთ, რომ **„მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა" (ილია ჭავჭავაძე).** ისიც მეტად სამწუხაროა, რომ დღეს მსოფლიოში ადამიანები დღევანდელი დღით აპირებენ ცხოვრებას, ივიწყებენ მარადიულ ფასეულობებს, რომელთა გარეშე ცხოვრება დაიცლება ადამიანური გრძნობებისგან, ურთიერთობებისგან, სულიერად გამარტივდება, ერთფეროვანი და, აქედან გამომდინარე, უაღრესად უინტერესო გახდება.

**საქართველოში დემოგრაფიული ვითარება, როგორც მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, შეიძლება ითქვას, ყველაზე მძიმეა პოსტსაბჭოთა და მეზობელ ქვეყნე-** ▶

**ცხრილი №1**

**გურიის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის შობადობა, მოკვდაობა და ბუნებრივი მატება (კლება) 1977-1986 და 1997-2006 წლებში (ათწლეულების მიხედვით)**

| | დაიბადა | | გარდაიცვალა | | ბუნებრივი მატება | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1977-86 წწ. | 1997-2006 წწ. | 1977-1986 წწ. | 1997-2006 წწ. | 1977-86 წწ. | 1997-2006 წწ. |
| გურია | 25 920 | 13 639 | 16 859 | 18 400 | 9 061 | -4 761 |
| იმერეთი | 121 853 | 74 698 | 69 308 | 87 642 | 52 545 | -12 944 |
| კახეთი | 76 397 | 34 713 | 41 961 | 47 934 | 34 436 | -13 221 |
| მცხეთა-მთიანეთი | 20 779 | 11 660 | 10 376 | 13 841 | 10 403 | -2 181 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 9 027 | 3 130 | 10 109 | 7 732 | 1 082 | -4602 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 71 100 | 42 717 | 38 141 | 45 473 | 32 959 | -2 756 |
| სულ | 325 076 | 180 557 | 186 754 | 221 022 | 138 322 | -40 465 |

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაზე მეტი კლება ქვეყნის ყველაზე ხალხმრავალ რეგიონში — იმერეთში — აღირიცხა. გასული 12 წლის განმავლობაში მისი მოსახლეობა 165 760 კაცით შემცირდა. ასე რომ გაგრძელდეს, 30 წელიწადში და შეიძლება გაცილებით ადრეც, იმერეთი მოსახლეობისგან დაიცლება. ანალოგიური ბედი ელის სამეგრელოს, გურიასა და სხვა რეგიონებსაც. აღარაფერს ვამბობთ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე, რომელიც, ფაქტობრივად, გაუკაცრიელდა. განსაკუთრებით საგანგაშოა საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით მეორე ქალაქის — ქუთაისის — მოსახლეობის ყოველწლიური კლება, თანაც დიდი რაოდენობით.**

◀ **ბთან შედარებით, ამიტომ, ქვეყანაში ავტოქტონური მოსახლეობის პერმანენტული შემცირებისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსის დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს ძალიან გაუჭირდება თავისი სტრატეგიული, გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და, საერთოდ, ეროვნული ამოცანების განხორციელება, საფრთხე შეექმნება მის სულიერ და ტერიტორიულ მთლიანობას, ადრინდელ მიმზიდველობას დაკარგავს ჩვენი ერისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. ასეთ ვითარებაში გარდაუვალი იქნება ეროვნული ცნობიერების დაქვეითება, საბოლოოდ კი — ერის გენოფონდის ცვლილება.** ყოველივე ეს განსაკუთრებით საშიშია ქვეყნისათვის, რადგან იგი ისეთ უნიკალურ, მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს, სადაც ბევრია ზესახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთის წერტილი და, აქედან გამომდინარე, გაძნელებულია საკუთარი ინტერესების დაცვა.

## საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა რეგიონების მიხედვით

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების მიხედვით. ბოლო წლებში, ძირითადად, ქართველებით დასახლებულ რეგიონებში შემცირდა მოსახლეობა.

**(იხ. ცხრილი №1)**

საგანგაშოა, რომ უკვე, რაც უნდა გაუმჯობესდეს საარსებო პირობები, შობადობა კიდევ უფრო შემცირდება. ეს პროცესი გამოკვეთილად (თუ ასე გაგრძელდა და რადიკალური ზომები არ მივიღეთ), დაახლოებით 10 წელიწადში იჩენს თავს და პიკს 2020-იანი წლების შუაში მიაღწევს. ამის მიზეზია სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესება.

**ცხრილი №2**

### საქართველოში დაბადებული გოგონების რაოდენობა ათწლეულების მიხედვით 1960-2009 წლებში

| წლები | დაბადებული გოგონების რაოდენობა |
|---|---|
| 1960-1969 | 466 622 |
| 1970-1979 | 437 361 |
| 1980-1989 | 454 960 |
| 1990-1999 | 306 395 |
| 2000-2009 | 236 681 |

აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, რომელიც ხანგრძლივ პერიოდზე უნდა იყოს გათვლილი, ჩვენ შეგვიძლია ეს პროცესი შევანელოთ და სასურველ შედეგს მხოლოდ საკმაო დროის გავლის შემდეგ მივაღწიოთ. საკმარისია, ითქვას, რომ 1980-1989 წლებში, ანუ 10 წელიწადში საქართველოში 455 ათასი გოგონა დაიბადა (1980-1989 წლების მონაცემებს გამოკლებულია აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესაბამისი დემოგრაფიული მაჩვენებლები, კერძოდ, ამავე წლებში დაბადებული გოგონების რაოდენობა), ხოლო 2000-2009 წლებში — 237 ათასი გოგონა, ანუ 219 ათასით ნაკლები 1980-1989 წლებთან შედარებით.

**(იხ. ცხრილი №3)**

**ცხრილი №3**

### საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რაოდენობა 1989, 2002 და 2014 წლებში (2002-2014 წლები — ქვეყნის იურისდიქციაში არსებული ტერიტორია)

| | 1989 | | 2002 | | 2014 | | სხვაობა 1989-2014 წლებში | სხვაობა 2002-2014 წლებში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აბსოლუტური | % | აბსოლუტური | % | აბსოლუტური | % | | |
| საქართველო | 5 400 841 | 100,0 | 4 371 534 | 100,0 | 3 713 804 | 100,0 | -1 687037 | -657 731 |
| თბილისი | 1 246 936 | 23,1 | 1 081 678 | 24,7 | 1 108 717 | 29,9 | -138 219 | +27 039 |
| ქვემო ქართლი | 608 491 | 11,3 | 497 530 | 11,4 | 423 986 | 11,4 | -184 505 | -73 544 |
| კახეთი | 441 045 | 8,1 | 407 182 | 9,3 | 318 583 | 8,6 | -122 462 | -88 599 |
| შიდა ქართლი | 321 598 | 6,0 | 314 039 | 7,2 | 263 382 | 7,1 | -58 216 | -50 657 |
| სამცხე-ჯავახეთი | 235 512 | 4,4 | 207 598 | 4,7 | 160 504 | 4,3 | -75 008 | -47 094 |
| მცხეთა-მთიანეთი | 121 791 | 2,2 | 125 443 | 2,9 | 94 573 | 2,5 | -27 218 | -30 870 |
| ცხინვალის რეგიონი | 98 527 | 1,8 | – | – | – | – | 98 527 | – |
| აღმოსავლეთ საქართველო | 3 073 900 | 56,9 | 2 633 470 | 60,2 | 2 369 745 | 63,8 | -704 155 | -263 725 |
| იმერეთი | 766 892 | 14,2 | 699 666 | 16,0 | 533 906 | 14,4 | -232 986 | -165 760 |
| აფხაზეთის არ | 525 061 | 9,7 | კოდორი 1956 | 0,0 | – | – | -525 061 | -1956 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 424 746 | 7,9 | 466 100 | 10,7 | 330 761 | 8,9 | -93 985 | -135 339 |
| აჭარა | 392 432 | 7,3 | 376 016 | 8,6 | 333 953 | 9,0 | -58 479 | -42 063 |
| გურია | 158 053 | 2,9 | 143 357 | 3,3 | 113 350 | 3,0 | -44 703 | -30 007 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 59 757 | 1,1 | 50 969 | 1,2 | 32 089 | 0,9 | -27 668 | -18 880 |
| დასავლეთ საქართველო | 2 326 941 | 43,1 | 1 738 064 | 39,8 | 1 344 059 | 36,2 | -982 882 | -394 005 |

**2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ 3 713 804 კაცი შეადგინა და წინა, 2002 წლის აღწერასთან შედარებით, 657 731 კაცით შემცირდა. თბილისის გარდა, ყველა რეგიონში საგრძნობლად შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა. თბილისის მოსახლეობის მატებაც (2,5 პროცენტით, 27 039 კაცით) მცხეთისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ზოგიერთი სოფლის თბილისთან შემოერთებამ განაპირობა. წინა, 2002 წლის აღწერასთან შედარებით, მოსახლეობა ყველაზე მეტად შემცირდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (37,4 პროცენტი) და სამეგრელო ზემო სვანეთის (29,0 პროცენტი) რეგიონებში, ხოლო ყველაზე ნაკლებად — აჭარაში (10,6 პროცენტი).** ყველაზე მეტი კლება ქვეყნის ყველაზე ხალხმრავალ რეგიონში — იმერეთში — აღირიცხა. გასული 12 წლის განმავლობაში მისი მოსახლეობა 165 760 კაცით შემცირდა. ასე რომ გაგრძელდეს, 30 წელიწადში, და შეიძლება გაცილებით ადრეც, იმერეთი მოსახლეობისაგან დაიცლება. ანალოგიური ბედი ელის სამეგრელოს, გურიასა და სხვა რეგიონებსაც. აღარაფერს ვამბობთ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე, რომელიც, ფაქტობრივად, გაუკაცრიელდა.



მიტოვებული სახლები

**განსაკუთრებით საგანგაშოა საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით მეორე ქალაქის — ქუთაისის — მოსახლეობის ყოველწლიური კლება, თანაც დიდი რაოდენობით.**

2014 წელს ქუთაისის მოსახლეობის რაოდენობა 148 ათას კაცს შეადგენდა, 2002 წელს — 186 ათასს, ხოლო 1989 წელს — 233 ათას კაცს. ამრიგად, 2014 წელს ქუთაისის მოსახლეობა 85 ათასი კაცით შემცირდა. ქუთაისს უკვე მოსახლეობის რაოდენობით გაუსწრო ბათუმმა.

**ცხრილი №4**

| მცირერიცხოვანი სოფლები | 2002 სოფლების რაოდენობა | 2002 მოსახლეობის რ-ბა: სულ | 2002 მათ შორის: მამაკაცი | 2002 მათ შორის: ქალი | 2014 სოფლების რაოდენობა | 2014 მოსახლეობის რ-ბა: სულ | 2014 მათ შორის: მამაკაცი | 2014 მათ შორის: ქალი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გაუკაცრიელებული სოფლები | 143 | – | – | – | 223 | – | – | – |
| ერთკაციანი | 16 | 16 | 12 | 4 | 39 | 39 | 28 | 11 |
| ორკაციანი | 19 | 38 | 19 | 19 | 46 | 92 | 57 | 35 |
| სამკაციანი | 11 | 33 | 20 | 13 | 27 | 84 | 58 | 26 |
| ოთხკაციანი | 7 | 28 | 13 | 15 | 23 | 92 | 52 | 40 |
| ხუთკაციანი | 10 | 50 | 24 | 26 | 21 | 105 | 60 | 45 |
| 1-5 კაციანი | 63 | 165 | 88 | 77 | 157 | 412 | 255 | 157 |
| ექვსკაციანი | 18 | 111 | 52 | 59 | 23 | 138 | 68 | 70 |
| შვიდკაციანი | 11 | 77 | 39 | 38 | 16 | 112 | 63 | 49 |
| რვაკაციანი | 12 | 96 | 45 | 51 | 23 | 184 | 98 | 86 |
| ცხრაკაციანი | 14 | 126 | 64 | 62 | 18 | 162 | 85 | 77 |
| ათკაციანი | 14 | 140 | 70 | 70 | 18 | 180 | 96 | 84 |
| 6-10 კაციანი | 69 | 550 | 270 | 280 | 98 | 776 | 410 | 366 |
| 1-10 კაციანი | 132 | 715 | 358 | 357 | 255 | 1 188 | 665 | 523 |

## დემოგრაფიული ვითარება სოფლებში

**(იხ. ცხრილი №4)**

**მოსახლეობის ბოლო ორ აღწერას შორის პერიოდში (2002-2014 წლები) მნიშვნელოვნად შემცირდა ქალაქისა და განსაკუთრებით — სოფლის მოსახლეობა. 2014 წელს ქალაქის მოსახლეობამ 2 122 623 კაცი, ხოლო სოფლის მოსახლეობამ 1 591 181 კაცი შეადგინა და 2002 წელთან შედარებით, შესაბამისად, 162 173 და 495 558 კაცით შემცირდა.**

აღნიშნულ პერიოდში თითქმის 500 ათასი კაცით შემცირდა სოფლის მოსახლეობა, ხოლო 1989 წელთან შედარებით — 818 308 კაცით. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფელი დაიცალა ფერტილური ასაკის მოსახლეობისგან — მათი დიდი ნაწილი ქალაქში გადასახლდა, ხოლო ნაწილი საზღვარგარეთ წავიდა. ამის შედეგად სოფლად საგრძნობლად შემცირდა დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა, შედეგად — სახლკარი და მარჩენალი მიწაც უპატრონოდ დარჩა, სოფელი გაჩანაგდა. **1970-1979 წლებში, საქართველოში 792 371 ბავშვი დაიბადა, მათგან სოფლად — 390-721, ანუ ნახევარი — 50,7 პროცენტი. 2000-2009 წლებში, ისევ ათ წელიწადში კი საქართველოში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობამ 502 296 ბავშვი შეადგინა, მათგან სოფლად 153 379 ბავშვი დაიბადა, ანუ 30,5 პროცენტი. კახეთში ამავე პერიოდში სოფლად დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა 60 943-დან 20614 ბავშვამდე შემცირდა.**

სოფლის მოსახლეობაზე აუცილებელია ისიც ითქვას, რომ ცალკეული რეგიონები საერთოდ იცლება მოსახლეობისგან. 2002-2014 წლებში განსაკუთრებით შემცირდა სოფლის მოსახლეობა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, 283 157 კაცით, მაშინ, როდესაც ამ მაჩვენებელმა აღმოსავლეთ საქართველოში 210 445 კაცი შეადგინა.

ეს მონაცემები თავისთავად ყვირის და შეუძლებელია, ვისაც „საქართველოს საოცნებო სერები“ უყვარს, ვისაც ოდესმე მაინც უგრძნია მშობლიური მიწის, ბალახისა და ტყის სურნელი, „ფერი დაბინდულ ქლიავის“, ვისაც თავისი დიდი ისტორია გაუთავისებია, გული მაინც მშვიდად უცემდეს და სამშობლოს ასეთმა ვითარებამ არ შეაშფოთოს, მოახლოებული დასასრული არ შეიცნოს და მწვავე რეალობას არ დაუპირისპირდეს. და ეს სრულიადაც არ არის მოჩვენებითი პატრიოტიზმი. გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებით რთულია მიწა-წყლის, კულტურის, ეროვნული სულიერი ცხოვრების დაცვა, როდესაც კოსმოპოლიტიზმის ამღვრეული მორევი ჩათრევასა და შთანთქმას გიპირებს, როდესაც ამ სენით იწამლება ახალგაზრდობა და როდესაც ამ ყველაფერს არა მხოლოდ უცხო ძალები მოურიდებლად, უტიფრად გვახვევენ თავს, არამედ შენი სისხლი და ხორციც ჩართულია ამ პროცესში; თავგამოდებით იბრძვის იმ ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ, რომლისთვისაც ღირს ერის სიცოცხლე.

**დასასრული შემდეგ ნომერში**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველო ავღანეთში დამატებით გაგზავნის დაახლოებით 300 სამხედრო მოსამსახურეს, თითო ქართველი ჯარისკაცი ხომ ალიანსს ათჯერ უფრო იაფი უჯდება, ვიდრე ამერიკელი?! ხელფასს ვგულისხმობ, თორემ კუბოები და თვითმფრინავები, რომლებითაც მათ ცხედრებს პატივით ჩამოასვენებენ ხოლმე სამშობლოში, ერთნაირია...



არნო ხიდირბეგიშვილი:

# «სტრატეგიულმა მოკავშირეებმა» საქმე ისე დააყენეს, რომ მათ ჯარისკაცებს იცავენ სხვა ქვეყნის ჯარისკაცები, რომლებსაც მეორეხარისხოვან ადამიანებად მიიჩნევენ

**„სამასოიანი ქვეყანა ყველაზე ნაკლებად ზრუნავს დემოკრატიაზე — აშშ მხოლოდ თავის სახელმწიფო ინტერესებზე ზრუნავს!“ — ამბობს „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილი. მასთან ინტერვიუში გასული კვირის იმ მოვლენებს შევეხეთ, რომლებიც ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს რატომღაც ყურადღების მიღმა დარჩათ.**

**— ბატონო არნო, 20 სექტემბერს ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ ალიანსი რამდენიმე ათასი სამხედრო მოსამსახურით ზრდის „გადამწყვეტი მხარდაჭერის“ მისიის (Resolute Support Mission) მონაწილეთა რაოდენობას ავღანეთში. სტოლტენბერგმა თქვა, რომ. „რამდენიმე ქვეყანამ, ალიანსის მოკავშირეებმა და პარტნიორებმა, უკვე განაცხადეს, რომ მისიაში სამხედრო მოსამსახურეების დამატებით რაოდენობას ჩართავენ“. ამ ქვეყნებს შორის საქართველოსაც გულისხმობდა?**

— დარწმუნებული ვარ, გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, თუმცა, საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერ **ვოლსკის** განცხადებით, „ავღანეთში ქართული კონტინგენტის გაზრდა იმაზეა დამოკიდებული, როგორ აფასებს ალიანსი ქართული მხარის წინაშე მდგარ ამოცანებს“, ანუ **ვოლსკიმ აღიარა, რომ ეს საკითხი, საქართველოში კი არა, ბრიუსელში წყდება.**

**— ვოლსკიმ, აგრეთვე, განაცხადა, რომ ვერაფერს იტყვის რაოდენობის შესახებ და არ სურს „ამ საკითხის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანა, რადგან ჩვენ საგანგებო მისიას ვასრულებთ და ავღანეთში არა მხოლოდ საერთაშორისო წესრიგს, არამედ საკუთარ ოჯახებს, საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებსაც ვიცავთ“...**

— თუ არსებულ რაოდენობრივ პროპორციას გავითვალისწინებთ, **საქართველო ავღანეთში დამატებით დაახლოებით 300 სამხედრო მოსამსახურეს გაგზავნის, თითო ქართველი ჯარისკაცი ხომ ალიანსს ათჯერ უფრო იაფი უჯდება, ვიდრე ამერიკელი?! ხელფასს ვგულისხმობ, თორემ კუბოები და თვითმფრინავები, რომლებითაც მათ ცხედრებს პატივით ჩამოასვენებენ ხოლმე სამშობლოში, ერთნაირია...** რაც შეეხება „ავღანეთში საკუთარი ოჯახებისა და საქართველოს უსაფრთხოების დაცვას“: არ ვიცოდი, რომ ავღანეთის ტერიტორიის ნაწილი საქართველოს ეკუთვნის და იქ ქართველები ცხოვრობენ. მაშინ, რა თქმა უნდა, ისინი უნდა დავიცვათ... ან იქნებ ავღანეთი საქართველოს ესაზღვრება და იქიდან შემოჭრის საფრთხე გვემუქრება?!

აი, **შიდა ქართლსა და სამეგრელოში კი საქართველოს უსაფრთხოებას, ჩვენს ოჯახებს არც ერთი ქართველი ჯარისკაცი არ იცავს — საუკეთესო ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში არიან, სადაც სამხედრო ბაზებს ამოფარებულ ამერიკელ ჯარისკაცებს იცავენ. როგორც ხედავთ, ჩვენმა „სტრატეგიულმა მოკავშირეებმა“ საქმე ისე მოაგვარეს, რომ მათ ჯარისკაცებს იცავენ სხვა ქვეყნის ჯარისკაცები, რომლებსაც ისინი მეორეხარისხოვან ადამიანებად მიიჩნევენ, როგორც ადრე შავკანიანებს. ქართველი დაქირავებული ჯარისკაცი მათთვის გასტარბაიტერია, რომელსაც შეიძლება ათჯერ ნაკლები გადაუხადო და ამისთვის მადლობელი იქნება, რადგან სამშობლოში ამდენს არ უხდიან.**

ხოლო, სანამ ქართველი მამაკაცები ამერიკელ ჯარისკაცებს იცავენ, ქართველი ქალები მათი ხანდაზმული მშობლების გამოზანვით არიან დაკავებულნი. ასეთია „ევროატლანტიკური წესრიგი“. ამ დროს სამაჩაბლოში მინდორში გასული ქართველი გლეხი ცხინვალის ციხეში ამოჰყოფს თავს, აფხაზი მებაჟე დაედევნება „თავხედ“ ქართველს, რომელიც თვალში არ მოუვიდა და დღისით, მზისით დახვრეტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე...

**— საქართველოში დაქირავებულთა ინსტიტუტი ახალი ამბავი არ არის. ისტორია მოწმობს, რომ ქართველი მამლუქები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ემსახურებოდნენ აღმოსავლეთის მმართველებს და მათზე ყოველთვის დიდი მოთხოვნა იყო...**

— დიახ, განსაკუთრებით — ქართველთა ცხენოსან ჯარზე. მათ ღირსეულად აფასებდნენ შაჰები და ფაშები, მაგრამ ქართველთა „მხედრიონი“ წარმოადგენდა მათი არმიების ელიტურ ქვედანაყოფებს, რომლებიც საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდნენ და არა პატრულ-მცველთა რაზმებს, როგორიც დღეს არის ქართული არმია. თუმცა ქართველმა ჯარისკაცებმა არ უნდა იცოდნენ სიმართლე ვაჟკაცი წინაპრების შესახებ, რათა უცებ არ გაყოყოჩდნენ და ამერიკელი ინსტრუქტორების მორჩილებაზე უარი თქვან. მეტიც — ქართველმა სამხედროებმა არ იციან ისტორია ახალი ქართული არმიისა, რომელშიც მსახურობენ, 1991 წლიდან პერიოდს ვგულისხმობ. ქართველი ჯარისკაცებისათვის ქართული არმია **ხიდაშელ-შაშკინის** ან, უკიდურეს შემთხვევაში, **ოქრუაშვილ-კეზერაშვილის მინისტრობის პერიოდიდან** უნდა იწყებოდეს.

**«შიდა ქართლსა და სამეგრელოში საქართველოს უსაფრთხოებას, ჩვენს ოჯახებს არც ერთი ქართველი ჯარისკაცი არ იცავს — საუკეთესო ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში არიან, სადაც სამხედრო ბაზებს ამოფარებულ ამერიკელ ჯარისკაცებს იცავენ»**

— **18 სექტემბერს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა უკრაინის საკითხებში — კურტ ვოლკერმა გაზეთ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „დღეს საქართველო მზად არ არის ნატოს წევრობისთვის. არ ვფიქრობ, რომ ნატოში დღეს ვინმე იტყვის, მზად ვართ, საქართველო წევრად მივიღოთო. ალიანსში ვინმეს მისაღებად აუცილებელია ყველა ქვეყნის კონსენსუსი. ჩვენ არ შეგვიძლია იმ ფაქტის იგნორირება, რომ რუსეთი დიდი მეზობელია... საქართველოში უნდა იყოს წარმატებული, გამჭვირვალე, უსაფრთხო დემოკრატია, როგორც ნატოს სხვა ქვეყნებში, და ის უნდა მოემზადოს იმისთვის, რომ წინა რიგებში იყოს, როცა ნატო შემდგომი გაფართოების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს“. რუსეთთან კონფლიქტის სურვილის უქონლობას რაც შეეხება, ეს გასაგებია, მაგრამ რას გულისხმობდა ვოლკერი — კიდევ როგორ უნდა „მოვემზადოთ, რომ პირველ რიგებში აღმოვჩნდეთ“, როცა ალიანსი აღმოსავლეთით გაფართოებას გადაწყვეტს? ესე იგი, საქართველოში ჯერ არ არსებობს „წარმატებული, გამჭვირვალე, უსაფრთხო დემოკრატია, როგორიც ნატოს სხვა ქვეყნებშია“? ავღანეთსა და ერაყში დაღუპული ან სამუდამოდ დასახიჩრებული ქართველი ახალგაზრდები „წევრობის გადასახადად“ საკმარისი არ არის?!**

— სამასოიანი ქვეყანა სხვაგან ნაკლებად ზრუნავს „წარმატებულ, გამჭვირვალე და უსაფრთხო დემოკრატიაზე“ — აშშ ყოველთვის მხოლოდ თავის ინტერესებზე ზრუნავს. **კურტ ვოლკერს** მხედველობაში ჰქონდა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა „უსაფრთხო დემოკრატიის“ რეჟიმის საბოლოოდ დამყარება. კერძოდ, საქართველოში პერიოდულად აწყობენ მიტინგებს სხვადასხვა პატრიოტული, მათი განმარტებით, „ნაციონალისტური“ ძალები, რომლებიც იცავენ ეროვნულ ტრადიციებს, აპროტესტებენ ქართული მიწების მიყიდვას უცხოელებისთვის, სოროსის ფონდის საქმიანობას, გეიაღლუმებსა და არალეგალურ მიგრაციას, ნატოს წევრ ქვეყანაზე დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებას აღნიშნავენ, როგორც სახელმწიფო დღესასწაულს. მოსახლეობის უმრავლესობა ნატოს კატეგორიული წინააღმდეგია და რუსეთთან მეგობრობის აღდგენას ემხრობა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ტელევიზიები კონტროლზე აიყვანეს, ინტერნეტგამოცემები და ბეჭდური პრესა ცენზურის გარეშე დარჩა და მამხილებელ მასალებს აქვეყნებენ ეროვნული იდენტობის დასაცავად. აი, რას გულისხმობდა ვოლკერი.

**ეროვნული არმია** სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ატრიბუტია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის მაჩვენებელი, ამიტომაც გაანადგურეს. მართლმადიდებლობა საქართველოს სახელმწიფო რელიგიაა, ქართველი ხალხის თვითშეგნების ფორმა, ამიტომ ცდილობენ მის განადგურებასაც. **გარდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შემუშავებული ოპერაციისა — „ციანიდი პატრიარქისათვის“, ყველა წამყვანი ქართული სატელევიზიო არხი საათში ერთხელ ატრიალებს კლიპს, რომელშიც ორი რესპუბლიკელი ალქაჯი ცდილობს, შთაგვაგონოს, რომ პატრიარქი კრემლის აგენტია, ეპისკოპოსები — ქურდები, გარყვნილები და მკვლელები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია — კორუფციაში ჩართული კომერციული სტრუქტურა, რომელიც სახელმწიფოს კისერზე აზის.**

განა შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ, მაგალითად, იტალიის ტელევიზია მსგავს სიუჟეტებს უშვებდეს რომის პაპსა და კათოლიკურ ეკლესიაზე?! მაშ, რატომ არის ასეთი რამ დასაშვები საქართველოში, რატომ არ აღკვეთს სახელმწიფო ტელეეთერში ანტისახელმწიფოებრივ მოწოდებებს ხელისუფლების მორიგი დამხობისკენ, მოწოდებებს, რომლებიც შეურაცხყოფს სახელმწიფოს შემქმნელი ერის უმრავლესობის რელიგიურ გრძნობებს?! რატომ არსებობს დღემდე ქართული „შარლი ებდო“ — ტელეკომპანია „რუსთავი 2“, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის მრავალმილიონიანი ვალი აქვს? ნახეთ, რამდენი მოქალაქე იყრის ხოლმე თავს აღსრულების ეროვნული ბიუროს პირველ სართულზე — საცოდავ მოქალაქეებს ართმევენ უკანასკნელ ქონებას, ბიზნესს, ყრიან სახლებიდან და აუქციონზე გააქვთ გასაყიდად იმის გამო, რომ გადასახადი ან ჯარიმა ერთხელ არ გადაიხადეს. საქართველოში პრივილეგიურ კასტას, რომელსაც მხარს უჭერს აშშ, შეუძლია, არ გადაიხადოს გადასახადები, დაარღვიოს კანონები, მათმა შთამომავლებმა კი დაუსჯელად იხულიგნონ და ნარკოტიკებით ივაჭრონ — სასამართლო მათ მაინც გაამართლებს.

**— ყველა წამყვანი ქართული ტელეკომპანია გამუდმებით ატრიალებს დიდბიუჯეტიანი „დოკუმენტური“ ფილმებისა და ტელეგადაცემების რგოლებს, რომლებშიც გვიყვებიან გულისგამგმირავ ამბებს — როგორ „ჟლეტდა და აუპატიურებდა რუსეთი უხსოვარი დროიდან ქართველი ერის ნაღებს, იმონებდა ქართველ ხალხს, ანადგურებდა ქართულ კულტურას“...**

— რისი იმედი აქვთ მათ დამკვეთებს და ავტორებს? — პროვოკაციის. იმიტომ, რომ ზომბირებულმა ფიცხმა ქართველმა ახალგაზრდობამ, ისტორიის ფალსიფიკაციის მსხვერპლმა, ამ ტელეგადაცემების შემდეგ, თუკი თავმოყვარეობის ნატამალი შერჩა, რუსეთის წინააღმდეგ პარტიზანული ომი დაიწყოს. როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემათ, რუსი ტურისტები უნდა დახოცონ და მსოფლიოში რუსების წინააღმდეგ ტერაქტები უნდა მოაწყონ. აი რატომ იყო ყოველთვის აშშ-ის, სოროსისა და სააკაშვილის მთავარი ამოცანა ახალგაზრდა თაობისთვის ტვინის გამორეცხვა. **ბენდუქიძის** „თავისუფალ ინსტიტუტში“, **გიული ალასანიას** „შავი ზღვის ინსტიტუტში“ — ავი სენის ამ ბუდეებში — დღემდე ზრდიან დასავლეთის გავლენის აგენტებსა და მიშისტ-პუტჩისტებს. განა თურქეთში ცოტა ხნის წინათ მომხდარი მოვლენები — გიულენის არშემდგარი პუტჩი — ჩვენთვის მაგალითი არ არის?! ან რატომ არ უნდა გავგზავნოთ ნაციონალები და რესპუბლიკელები ავღანეთში, როგორც ვოლსკი ამბობს, „ჩვენი ოჯახებისა და საქართველოს უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად“?.. **ჩვენი მამაცი ჯარისკაცები მალე დაბრუნდებიან ავღანეთიდან და საქართველოს შეჰფიცებენ და არა – ნატოს.**

**— კი მაგრამ, ეს ხომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ვექტორის შეცვლას ნიშნავს?**

— საქართველოს საგარეო პოლიტიკა ისეთივე სუსტი და უფერულია, როგორიც არის საგარეო საქმეთა მინისტრი **ჯანელიძე!** პლუსი მინუსის გარეშე არ არსებობს. რუსეთი და აშშ ერთმანეთს ავსებენ, მაგრამ ისინი ყოველთვის ანტაგონისტურად იქნებიან განწყობილნი — ასეთია სცენარი. მეგობრობა ერთმანეთისთვის ანგარიშის გაწევას ავალდებულებს, რაც დასავლეთში ბევრს კატეგორიულად არ აძლევს ხელს.

სწორედ ერთმანეთის ინტერესებისთვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობის გამო დღემდე არ არის მოგვარებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. მაღალი თანამდებობის პირები კი, მაგალითად, **მიხეილ ჯანელიძე, დავით ბაქრაძე, თედო ჯაფარიძე, ვიქტორ დოლიძე, სოფო ქაცარავა, ქეთევან ციხელაშვილი** და სხვები, გამუდმებით ჩაგვჩიჩინებენ „რუსეთის ოკუპაციის“ შესახებ, „რუსეთთან ურთიერთობის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების უალტერნატივობაზე“. ასეთია მათი როლი ამ სპექტაკლში, რისთვისაც დიდძალ ფულს იღებენ და ამ ფულს ჩვენ ვუხდით — გადასახადის გადამხდელები, საქართველოს გაბრიყვებული მოქალაქეები, რომლებიც უკანასკნელ ლუკმას ვაცლით პირიდან შვილებსა და მშობლებს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„მოსამართლე ეკატერინე პართენიშვილის მიერ გამოტანილი აშკარად უსამართლო განაჩენი, რომლითაც მკვლელსა და მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულს თანაბარი სასჯელი შეეფარდათ, აჩენს ეჭვს: მოსამართლე პართენიშვილის აშკარა უვიცობის უკან ხომ არ იმალება მისი ფინანსური ინტერესები?“**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ ცდილობს საქართველოს ჩემპიონის მკვლელობის საქმის გაყალბებას და რისთვის მიუსაჯეს ექსპარლამენტარს რვა წელი?

**განვაგრძობთ წერილების გამოქვეყნებას იმ საზარელ მკვლელობაზე, რომელიც 2016 წლის 30 ივლისს მოხდა წალკის რაიონის სოფელ ნარდევანში. შეგახსენებთ, რომ ამ დღეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა სამსონ თამარიანმა თავისი „მერსედესი“ (GL 550) დააჯახა არასრულწლოვან მერგელ მელტონიანს, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის, აიკ მელტონიანის შვილს, და ფეხი მოტეხა, ხოლო დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ სამსონ თამარიანის ვაჟმა, ანდრანიკმა, „ვინჩესტერის“ ტიპის დაურეგისტრირებელი თოფიდან გასროლით მოკლა აიკ მელტონიანის ძმისშვილი, საქართველოს ჩემპიონი მძლეოსნობაში, 23 წლის ანდრანიკ მელტონიანი.**

ახლახან გამოიკვეთა ახალი გარემოება, რომელმაც, წესით, სააპელაციო სასამართლოს უნდა გადაახედვინოს ის უსამართლობით გამაოგნებელი განაჩენი, რომელიც ამა წლის 25 აპრილს გამოიტანა მოსამართლე **ეკატერინე პართენიშვილმა.**

მიუხედავად იმისა, რომ **ანდრანიკ თამარიანმა** აღიარა მკვლელობა, ხოლო განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულმა **აიკ მელტონიანმა** კატეგორიულად უარყო მის მიმართ წაყენებული ბრალდება, რომელიც, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერც პროკურატურამ და ვერც მოსამართლემ დამაჯერებლად ვერ დაასაბუთეს, მათ, ორივეს, რვა-რვა წელი მიუსაჯეს. იურიდიულ პრაქტიკაში ეს გაუგონარი ამბავია. სააკაშვილის მიერ „ხელდასხმული“ მოსამართლე პართენიშვილის სამარცხვინო ქმედებები სამართლიანად იმსახურებს ცალკე საგაზეთო წერილს, მაგრამ ჯერ გაგაცნობთ იმ ლექსს, რომელიც წალკელებმა „დიდი პატივისცემით“ მიუძღვნეს ქალბატონ ეკატერინეს:

> **„პართენიშვილის**
> **სამართალს**
> **არ ესინჯება აორტა,**
> **რუსთავში**
> **მართლმსაჯულება**
> **მაგან მოკლა და აოხრა.**
> **შენნაირების გამოა,**
> **არ გვერგო**
> **ნატოს წევრობა,**
> **ნაციონალურ განაჩენს**
> **დაგახევს თავზე ევროპა!“**

ახლა კი მოკლედ იმ ახალ გარემოებაზე, რომელიც ზემოთ ვახსენე: მოწმეთა ჩვენებებიდან იკვეთება, რომ, როცა სამსონ თამარიანმა თავისი მანქანა განზრახ დააჯახა მერგელ მელტონიანს და შემდეგ სცადა, წაქცეულ, ფეხმოტეხილ მოზარდზე გადაეტარებინა, რაც, მადლობა ღმერთს, ვერ მოახერხა, მან მუქარით დატოვა დანაშაულის ადგილი და მიიმალა. აიკ მელტონიანს შეატყობინეს შვილის უბედურება. ის მივიდა სოფლის ცენტრში, სადაც მერგელი იწვა და ტკივილისგან ყვიროდა. ყოფილი პარლამენტარი დაუკავშირდა „112“-ს, აგრეთვე, წალკის პოლიციის განყოფილებას. რამდენიმე წუთში სოფლის ცენტრში, სადაც უკვე შეკრებილი იყო ხალხი და იწვა ფეხმოტეხილი მერგელ მელტონიანი, სასწრაფოზე ადრე მოვიდნენ სოფელ ავრანლოს პოლიციის განყოფილების თანამშრომლები **ედუარდ ხაჩატრიანის** მეთაურობით, რომელიც, წინა წერილებიდან თუ გახსოვთ, არის **სამსონ თამარიანის** მეუღლის — **ჟულიეტა აგაჯანიანის** ნათესავი და თანასოფლელი. დაზარალებული მოზარდის მამამ, აიკ მელტონიანმა და ბიძამ, მორლენმა, უამბეს პოლიციელებს მომხდარის თაობაზე და სთხოვეს, დაუყოვნებლივ დაეკავებინათ სამსონ თამარიანი, რადგან ჩადენილი დანაშაულის ადგილიდან წასვლისას სამსონი დაემუქრა მერგელსა და მის ბიძაშვილ **ჰაიკს**, რომ დაბრუნდებოდა და „სეირს უჩვენებდა“. ხაჩატრიანი და მისი თანმხლები პირები წავიდნენ სამსონ თამარიანის სახლის მიმართულებით. ფაქტი, რომ პოლიციელები მივიდნენ წალკის საკრებულოს წევრისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის სახლში, სადაც მათ თვითონ სამსონი დახვდათ, აღწერილია მოწმე **გაიანე ნაზლოიანის** მიერ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში, რაც მან სასამართლოშიც დაადასტურა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ედუარდ ხაჩატრიანი დაბრუნდა დანაშაულის ადგილას და აიკ და მორლენ მელტონიანებს უთხრა, რომ სამსონი შინ არ იყო და არავინ იცოდა მისი ადგილსამყოფელი. ამის გამო აიკ მელტონიანმა ხმამაღლა დაადანაშაულა ავრანლოს პოლიციის განყოფილების უფროსი სამსონ თამარიანის მფარველობაში, ხოლო მორლენმა, აიკის თავშეუკავებლობის გამო, ბოდიში მოუხადა ედუარდ ხაჩატრიანს და სთხოვა, პოლიციელები არ წასულიყვნენ სოფლის ცენტრიდან, რადგან გამორიცხული არ იყო, სამსონს შეესრულებინა თავისი მუქარა, რომელსაც მძიმე შედეგი მოჰყვებოდა. მორლენ მელტონიანის ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, პოლიციელებმა განყოფილებისკენ აიღეს გეზი. მათი წასვლის შემდეგ, დაახლოებით 2-3 წუთში, სამსონ თამარიანის კუთვნილი სატვირთო „ფორდტრანზიტით“ შემთხვევის ადგილას მივიდნენ მისი ძმა სამველ თამარიანი (იჯდა საჭესთან) და სამსონის ვაჟი ანდრანიკი. შეჯგუფებულ ხალხთან ათი მეტრის დაშორებით სამველმა ავტომობილი დაამუხრუჭა, მის გვერდით მჯდომი ანდრანიკი კაბინიდან გადმოხტა და არარეგისტრირებული თოფიდან ხალხის მიმართულებით ორჯერ გაისროლა. მსხვილი ნადირის მოსაკლავად გათვლილი საფანტი გაიშალა, ნაწილი მოხვდა ავტომანქანა „ნივას“, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა იქ მდგომი ადამიანები, ნაწილი კი თავში მოხვდა აიკ მელტონიანის 23 წლის ძმისშვილ ანდრანიკს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა...

დატრიალდა უბედურება, რომელზეც მოკლულის მამა, მორლენ მელტონიანი, რამდენიმე წუთით ადრე აფრთხილებდა ავრანლოს პოლიციის უფროს ხაჩატრიანს. აიკ მელტონიანისა და ანდრანიკ თამარიანის სასამართლო პროცესზე კი მოწმის სახით დაკითხულმა ედუარდ ხაჩატრიანმა განაცხადა, რომ ის და მისი თანამშრომლები მივიდნენ ნარდევანის ცენტრში არა მაშინ, როცა სამსონმა მანქანა დააჯახა და ფეხი მოტეხა მერგელს, არამედ ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობის შემდეგ, რადგან მკვლელობამდე მომხდარ საგზაო შემთხვევაზე პოლიციას არავინ შეატყობინაო... **მაშ, რა ვუყოთ იმ ათეულობით მოწმეს, რომლებიც ადასტურებენ ხაჩატრიანისა და მისი ხელქვეითების ყოფნას ნარდევანში მკვლელობამდე? ან იმ ფაქტს, რომ ხაჩატრიანი ეწვია სამსონ თამარიანის სახლს მკვლელობამდე, რასაც ადასტურებენ თვითმხილველები? აიკ მელტონიანი ძმისშვილის მკვლელობამდე თავისი მობილურით ხომ დაუკავშირდა „112“-ის სამსახურს და სთხოვა, მოსულიყო სასწრაფო დახმარება და პოლიცია?** მეტიც: აიკი წალკის რაიონულ პოლიციასაც დაუკავშირდა და შეატყობინა სამსონის დანაშაულზე.



მოკლული ანდრანიკ მელტონიანი

**სამსონ თამარიანი არის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე. მან არ იცის სახელმწიფო ენა — ქართული, რომლის ცოდნა, კანონით, სავალდებულოა სახელმწიფო მოხელისთვის. სამსონ თამარიანი ვერ ეცნობა ფინანსურ დოკუმენტაციას ქართულ ენაზე, მიუხედავად ამისა, ხელს აწერს რაიონისთვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს. ბატონმა სამსონმა რის ვაივაგლახით დაამთავრა საშუალო სკოლა, მუშაობდა მწყემსად, მძღოლად, მაგრამ არ აქვს ეკონომისტის განათლება. საინტერესოა, როგორ მართავს ფინანსურ საქმეში არაკომპეტენტური სამსონ თამარიანი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს?!**

აიკ მელტონიანის ტელეფონის შემოწმებაზე ადვილი რაღა იყო, იქ ხომ უთუოდ იქნება ჩანაწერი, რეკავდა თუ არა ყოფილი პარლამენტარი „112“-სა და წალკის პოლიციაშიო? — იკითხავს მკითხველი, მაგრამ გამოძიებამ, რომელსაც თითქმის ოთხი თვის განმავლობაში ჰქონდა ხელთ აიკ მელტონიანის მობილური, ეს არ გააკეთა. რა მოტივით? რატომ არ გაუმჟღავნა პროკურატურამ სასამართლოს ეს ამბავი? — რომ გაემჟღავნებინა, მაშინ როგორღა წაუყენებდა პროკურატურა ბრალს აიკ მელტონიანს სამსონ თამარიანის ძმის, სამველის, „განზრახ მკვლელობის მცდელობაში“? ხომ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ქვემო ქართლის საოლქო პროკურორი, სამსონ თამარიანის თავგამოდებულ ადვოკატად ქცეული სახელმწიფო ბრალმდებელი **ლევან გეგეჭკორი?..**

მორლენ მელტონიანმა ავრანლოს პოლიციის თანამშრომლები სამსახურებრივ გულგრილობაში დაადანაშაულა და საჩივრით მიმართა ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურას. — ედუარდ ხაჩატრიანს შემთხვევის ადგილზე ერთი პოლიციელიც რომ დაეტოვებინა, მკვლელობა არ მოხდებოდაო, — დარწმუნებულია ბატონი მორლენი. საოლქო პროკურატურამ დაიწყო გამოძიება შსს-ს წალკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურეობრივი გულგრილობის ფაქტზე. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 342 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. როგორც იქნა, გამოძიება დაინტერესდა აიკ მელტონიანის მობილური ტელეფონით. მოხდა შემავალ-გამავალი ზარების ნუსხის შედგენა 2016 წლის 30 ივლისის 16:18 საათიდან 18:33 საათამდე, რაც ადასტურებს, რომ აიკ მელტონიანი ძმისშვილის მკვლელობამდე უკავშირდებოდა პოლიციას. როგორც ხედავთ, აიკ მელტონიანის საქმის გაყალბება პირველივე წუთებიდან დაიწყო წალკის პოლიციამ, განაგრძო საოლქო პროკურატურამ და 2017 წლის 25 აპრილს „დააგვირგვინა“ მოსამართლე ეკატერინე პართენიშვილმა.

ამა წლის 18 სექტემბერს უნდა გამართულიყო ივნისში გადადებული აიკ მელტონიანისა და ანდრანიკ თამარიანის საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ გადაიდო 16 ოქტომბრამდე, რადგან სააპელაციო პალატამ თარჯიმანი ვერ მოძებნა. საინტერესოა, გაითვალისწინებს თუ არა ამ ახალ გარემოებას (პოლიციელების საქმე) სააპელაციო სასამართლო. თუმცა, მოსამართლე **მაია თეთრაულმა** სახელი იმით გაითქვა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს, როგორც წესი, უცვლელად ტოვებს. ვისაც ამ სფეროსთან კავშირი აქვს, მათთვის საიდუმლო არ არის, რომ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე **მიხეილ ჩინჩალაძე** ყოფილი გენერალური პროკურორის, სააკაშვილის მარჯვენა ხელის, **ზურაბ ადეიშვილის,** დანაშაულებრივი ბრძანებების უსიტყვო შემსრულებელი იყო. სწორედ ის არის იურისპრუდენციის ისტორიაში პირველი და აქამდე ერთადერთი პროკურორი, რომელმაც ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე, საბრალდებო სიტყვის წარმოთქმის წინ მოსამართლეს განუცხადა, დუმილის უფლებას ვიყენებო(!)...

არშემდგარი სასამართლოს შემდეგ ვესაუბრე მოკლული ანდრანიკ მელტონიანის მამას, **მორლენ მელტონიანს**, რომელმაც განაცხადა:

„ივნისში უნდა გამართულიყო სააპელაციო სასამართლოს პირველი სხდომა. სანამ დარბაზში შევიდოდით, ჩემთან ახლოს მდგომმა სამსონ თამარიანმა რუსულად მიმართა თავის ერთ-ერთ ადვოკატს — **თამარ სადრაძეს:** ამ მოსამართლესთანაც უნდა მოგვარდეს საქმე, ნებისმიერ თანხას ვიხდიო. ეს განზრახ იყო ნათქვამი ხმამაღლა, რათა მე გამეგონა. დაბეჯითებით ვერ გავაკეთებ განცხადებას, ჩვენს საქმესთან დაკავშირებული რომელიმე მოსამართლის კორუფცირებულობაზე, მაგრამ მოსამართლე ეკატერინე პართენიშვილის მიერ გამოტანილი აშკარად უსამართლო განაჩენი, რომელშიც მკვლელსა და მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულს თანაბარი სასჯელი შეეფარდათ, აჩენს ეჭვს: მოსამართლე პართენიშვილის აშკარა უვიცობის უკან ხომ არ იმალება მისი ფინანსური ინტერესები? ვეჭვობ, რომ ჩვენს საქმეში თამარიანების სასარგებლოდ მოქმედებს სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში, პართენიშვილთან ერთად, ქვემო ქართლის რეგიონში მოღვაწე მოსამართლე, აწ უკვე ყოფილი, რომელიც მშვენივრად იცნობს, როგორც პართენიშვილს, ასევე რუსთავის სასამართლოს ზოგიერთ მოსამართლეს და მათთან მეგობრობს კიდეც. ეს პიროვნება არის თამარიანების ერთ-ერთი ადვოკატის, **მუხრან ღურწკაიას,** მეგობარი და სამსონ თამარიანის თანამშრომელი საკრებულოში“.

სამწუხაროდ, მორლენ მელტონიანმა არ გამიმხილა ამ პიროვნების ვინაობა, ამიტომ იძულებული ვარ, თხოვნით მივმართო წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი გიგინეიშვილს**, განმიმარტოს რა ხდება მისდამი დაქვემდებარებულ საკრებულოში. სამსონ თამარიანი არის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე. მან არ იცის სახელმწიფო ენა — ქართული, რომლის ცოდნა, კანონით, სავალდებულოა სახელმწიფო მოხელისთვის. სამსონ თამარიანი ვერ ეცნობა ფინანსურ დოკუმენტაციას ქართულ ენაზე, მიუხედავად ამისა, ხელს აწერს რაიონისთვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს. ბატონმა სამსონმა რის ვაივაგლახით დაამთავრა საშუალო სკოლა, მუშაობდა მწყემსად, მძღოლად, მაგრამ არ აქვს ეკონომისტის განათლება. საინტერესოა, როგორ მართავს ფინანსურ საქმეში არაკომპეტენტური სამსონ თამარიანი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს?! როდესაც სამსონ თამარიანმა ფეხი მოტეხა არასრულწლოვან მერგელ მელტონიანს და მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, კანონის თანახმად, სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე საკრებულო ვალდებული იყო, სამსონ თამარიანისთვის შეეჩერებინა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. ამისთვის უნდა მოწვეულიყო საგანგებო სხდომა, მაგრამ სხდომა არ ჩატარებულა და სამსონ თამარიანი დღესაც არხეინად განაგრძობს საქმიანობას და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველთვიურად იღებს ხელფასს...

**გიორგი კორძაძე**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც, საერთოდ, ბევრ რამეს, ამ სექსუალურ გადახრასაც ბიძგი მასმედიამ მისცა. მედიასაშუალებებმა დაიწყეს ისეთი წერილების ბეჭდვა, რომელთა მიხედვითაც ჰომოსექსუალიზმის არსებობა ბუნებრივი მოვლენაა. ჩვენ ხომ არ ვკილავთ ძალიან ტანმაღალ ადამიანებს იმის გამო, რომ მათი განსხვავებულობა გენეტიკით არის განპირობებული? — არა. მაშასადამე, — წერდნენ ჟურნალისტები, — ასევე უნდა შევაფასოთ ჰომოსექსუალური მიდრეკილებაც.**

**როგორი ტექნოლოგიების გამოყენებით აჩვევენ ადამიანებს იმას, რისი მიჩვევაც თითქოს შეუძლებელია; ადამიანის შეგნებაში იმის ჩანერგვას, რისი ჩანერგვაც, თითქოს შეუძლებელია, მაგრამ ახერხებენ.**

# როგორ ინერგება ჰომოსექსუალიზმი საქართველოში და რომელი ტექნოლოგიებით ხდება ჩვენი მოქალაქეების გაპირუტყვება

ამ ტექნოლოგიას (თეორიას, კონცეფციას) „ოვერტონის ფანჯარა" ჰქვია. მისი ავტორია **ჯოზეფ ოვერტონი** (1960-2003) საზოგადოებრივი პოლიტიკის ცენტრის უფროსი ვიცეპრეზიდენტი, რომელიც ავიაკატასტროფაში დაიღუპა, და მის მიერ ჩამოყალიბებულ სისტემას (გარდაცვალების შემდეგ) „ოვერტონის ფანჯარა" უწოდეს.

ამ სისტემის მიხედვით ნებისმიერი პრობლემის ან იდეისთვის მაღალი მორალის მქონე უგანათლებულეს საზოგადოებაშიც კი არსებობს, ე.წ. შესაძლებლობის საშუალება. ამ „ფანჯრის" საზღვრებში პრობლემა ან იდეა შეიძლება, ან არ შეიძლება, ფართოდ განიხილონ, აშკარად დაუჭირონ მხარი, გაუწიონ პროპაგანდა, შეეცადონ, დააკანონონ კიდეც.

„ფანჯრის" ამპლიტუდა ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლის შესაძლებლობას გულისხმობს: ყოვლად წარმოუდგენლიდან, საზოგადოებრივი მორალისთვის აბსოლუტურად მიუღებლიდან აქტუალური პოლიტიკის სტადიამდე, ანუ უკვე ფართოდ განხილულ და მასობრივი ცნობიერების მიერ მიღებულ და დაკანონებულ სტადიამდე გადასვლას ნიშნავს.

ანალიტიკოსები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ეს სისტემა ტვინების გამორეცხვა კი არ არის, არამედ უფრო დახვეწილი ტექნოლოგიაა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ოვერტონს ახალი არაფერი აღმოუჩენია, მან აღწერა ის ტექნოლოგია, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში არსებობდა, ოღონდ შორეულ წარსულში მას ინტუიციურად მიიღებდნენ, ტექნოოლგიების საუკუნეში კი კონკრეტულ ფორმებად ჩამოყალიბდა და მათემატიკურ სიზუსტემდე დაიხვეწა.

**ამ თეორიის საშუალებით ყველაზე ორთოდოქსული საზოგადოების შეგნებაში შეიძლება ჩაინერგოს ნებისმიერი იდეა, რომელიც რამდენიმე ეტაპს გაივლის. ეს პროცესი ჰომოსექსუალიზმის მაგალითზე განვიხილოთ.**

მამათმავლობა, მეცნიერთა დაკვირვებით, გასულ საუკუნეებში, სულ ცოტა, სირცხვილად ითვლებოდა, მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXI საუკუნის დასაწყისში ჩვენ უკვე შეგვეძლო, თვალი მიგვედევნებინა, როგორ მოქმედებდა „ოვერტონის ფანჯარა".

**როგორც, საერთოდ, ბევრ რამეს, ამ სექსუალურ გადახრასაც ბიძგი მასმედიამ მისცა. მედიასაშუალებებმა დაიწყეს ისეთი წერილების ბეჭდვა, რომელთა მიხედვითაც ჰომოსექსუალიზმის არსებობა ბუნებრივი მოვლენაა. ჩვენ ხომ არ ვკილავთ ძალიან ტანმაღალ ადამიანებს იმის გამო, რომ მათი განსხვავებულობა გენეტიკით არის განპირობებული? — არა. მაშასადამე, — წერდნენ ჟურნალისტები, — ასევე უნდა შევაფასოთ ჰომოსექსუალური მიდრეკილებაც.**

ამ პუბლიკაციებს მოჰყვა უამრავი ე.წ. გამოკვლევა, რომელთა დედააზრი მოკლედ ასე ყალიბდებოდა: ჰომოსექსუალობა ადამიანური ყოფის ბუნებრივი, თუმცა უჩვეულო მხარეა.

გადიოდა წლები და ოვერტონის „ფანჯარა" თავის „საქმეს" განაგრძობდა.

თანდათან გაირკვა, რომ საკაცობრიო კულტურის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე მხარს უჭერდა ერთნაირსქესიანთა შორის ურთიერთობას. მასმედიამაც გაშალა ფრთები და ტელევიზიასა თუ პრესაში დადგა რიგი პოლიტიკოსების, შოუვარსკვლავების და სხვა ცნობილი მოღვაწეებისა, რომლებიც საჯაროდ აღიარებდნენ მამათმავლობას. ბოლოს და ბოლოს, ოვერტონის თეორიამ, როგორც ამბობენ, ზუსტად „იმუშავა" და, რაც 50 წლის წინათ წარმოუდგენელი იყო, დღეს ნორმად ჩამოყალიბდა.

მეტიც: **ვინც დღეს პედერასტიის, გეიზმის, ტრანსგენდერობის, ლესბოსელობის წინააღმდეგ ხმას ამოიღებს, იმ საწყალს მასმედია, მათ შორის, ქართულიც, დაუყოვნებლივ ჰომოფობად, დემოკრატიული განვითარების მოწინააღმდეგედ, კაცობრიობის ბნელ წარსულში დაბრუნების ორგანიზატორად შერაცხავს და ყველა დამხრჩვალ კატას კისერზე ჩამოჰკიდებს,** ხოლო ე.წ. არასამთავროები ალავლავდებიან რუსეთის აგენტობის ბრალდების ტონალობაში.

მოკლედ, ფრანგულმა ფრთიანმა ფრაზამ — „სე ლა ვი" — ცხოვრებაა ასეთი, გაახუნა მეორე ფრანგული პოსტულატი — „შერშე ლა ფამ", რომლის მიხედვით ყველა პრობლემის თავიდათავი ქალია. მნიშვნელობა კი იმიტომ დაეკარგა, რომ ქალებად და კაცებად ჩვენი მოდგმის დაყოფა უაზრობა გახდა. დღეს კაცობრიობის მამოძრავებელ ძალად, როგორც ჩანს, გამოდიან უსქესო არსებები და კიდევ — რობოტები.




აქ დავაცხროთ ემოციები და უფრო ფართოდ გამოვალოთ „ოვერტონის ფანჯარა".

გნებავთ, სარკმელი.

გამოვაღებთ და დავინახავთ, რომ **„წვერიანმა ქალკაცებმა, რომლებიც ელასტიკურ კოლჰოტებსა და მაქმანიან საცვლებში არიან გამოპრანჭულები (საინტერესოა, რომ ტერმინი „კრუჟევოიანი ნიფხავი აცვიაო" ერთ-ერთი პიჟონის დასახასიათებლად პირველად გამოიყენა მწერალმა და ლიტერატორმა ელგუჯა მაღრაძემ), სრულად დაიპყრეს მედიასივრცე. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ჰომოსექსუალობა არა მხოლოდ ნორმალურ სტატუსად ითვლება, არამედ — პრესტიჟულადაც. პოპულარულ მსოფლიო კონკურსში შეიძლება მხოლოდ იმიტომ გაიმარჯვო, რომ შენი სახე იდეალურად ჩაეწერა ოვერტონის ერთ-ერთ „ფანჯარაში" და არა იმიტომ, რომ ნიჭიერი ხარ".**

თანაც „პომადიანი ბიჭები" ჟიურიში წამყვან როლს თამაშობენ.

ანალიტიკოსების დაკვირვებით, **„ფანჯრის" დისკურსი ექვსი გამოკვეთილი ეტაპისგან შედგება,** რომელთა მიმდინარეობისას საზოგადოებრივი აზრი დიამეტრულად განსხვავებულ პოზიციად გარდაიქმნება.

თანაც — უმტკივნეულოდ.

ეს პროცესი შეუმჩნევლად მიმდინარეობს, თითქოს ბუნებრივად, გარედან ასე ჩანს, სინამდვილეში კი ხელოვნურად ახვევენ თავს საზოგადოებრიობას. **„ოვერტონის ფანჯრის" გამოყენებით, შეიძლება ლეგალიზება ყველაფრის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — ყველა-ფრის.**

ცნობილია, რომ საზოგადოებრიობის პროგრამირება ძველთაგანვე მომდინარე თემაა და მსოფლიო ელიტის მმართველმა კლასებმა ეს შესანიშნავად იციან.

ახლა კი **კანიბალიზმის** კლასიკური მაგალითის მოშველიებით განვიხილოთ ოვერტონის ტექნოლოგიის მოქმედების პრინციპი.

წარმოიდგინეთ, რომ ვიღაც ტელე თუ პრესის „ორიგინალ" მოღვაწეს აზრად მოუვიდა კანიბალიზმის თემით გაკეკლუცება რომელიღაც „უკულმართ რაკურსში", თუ ამის მსგავს რუბრიკაში, და დაიწყო იმის მტკიცება, რომ კაციჭამიობა აბსოლუტურად ბუნებრივი რამ არის (მადლობა ღმერთს, ასეთი უაზრობისგან ჯერჯერობით დაცულები ვართ, ამიტომ მხოლოდ წარმოვიდგინოთ).

აღვშფოთდით, ავღელდით, გავცხარდით!

ეს — ჩვენ.

მაგრამ, თუ „ოვერტონის ფანჯარას" ავამოქმედებთ, მაშინ კანიბალიზმის ლეგალიზაცია, როგორც ტექნოლოგიის სტანდარტული ამოცანა, დღის წესრიგში დადგება.

უეჭველია, კანიბალიზმის იდეა პირველად აღსაქმელად წარმოუდგენელი საშინელებაა, ობსკურანტიზმია და არნახული ამორალურობა. მასზე ლაპარაკი პრესაში, მით უფრო, წესიერ საზოგადოებაში მიუღებელია, მაგრამ, თუ ამ თემას რეგულარულად სხვადასხვა კუთხით განვიხილავთ საინფორმაციო საშუალებებში, ადამიანები თანდათან, მათთვის შეუმჩნევლად, ქვეცნობიერად მისი არსებობის ფაქტს აღიარებენ და ცნობად მიიღებენ.

ამ **პირველ ეტაპზე** ჯერჯერობით არავინ ცდილობს, დაამტკიცოს, რომ კანიბალიზმის აღიარება მისაღები და აუცილებელია, მით უფრო, ნორმად ჩამოყალიბდეს, მაგრამ ჩვენთან ხომ სიტყვის თავისუფლება და დემოკრატია არის დამკვიდრებული, მეცნიერთათვის კი აკრძალული თემები არ არსებობს. მათ ყველაფრის შესწავლა ევალებათ.

ტაბუ უკვე დაძლეულია. იდეის არსებობა მსმენელთა, მაყურებელთა თუ მკითხველთა მასამ უკვე შეიტყო და იგი (ეს თემა) „უკვე აღარ ასოცირდება ნეანდერტალელების ველურ ხანასთან". ამრიგად, უკვე მზადაა, გადააბიჯოს **ოვერტონის მეორე ეტაპში.**

ანალიტიკოები „ფანჯრის" ლოგიკას მიჰყვებიან, ვითარების შესაძლო, ლოგიკურ განვითარებას, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ამ ეტაპზე უკვე განხორციელებულია.

მაშასადამე, თემის განხილვის სრული აკრძალვა ▶




**ოვერტონის თეორიამ ზუსტად «იმუშავა» და, რაც 50 წლის წინათ წარმოუდგენელი იყო, დღეს ნორმად ჩამოყალიბდა. მეტიც: ვინც დღეს პედერასტიის, გეიზმის, ტრანსგენდერობის, ლესბოსელობის წინააღმდეგ ხმას ამოიღებს, იმ საწყალს მასმედია, მათ შორის, ქართულიც, დაუყოვნებლივ ჰომოფობად, დემოკრატიული განვითარების მოწინააღმდეგედ, კაცობრიობის ბნელ წარსულში დაბრუნების ორგანიზატორად შერაცხავს და ყველა დამხრჩვალ კატას კისერზე ჩამოჰკიდებს, ხოლო ე.წ. არასამთავროები ალავლავდებიან რუსეთის აგენტობის ბრალდების ტონალობაში**

## ადამიანებს თავს ახვევენ პრინციპს: „თუ შენ არ შეჭამ მეზობელს, იგი შეგჭამს შენ“. ამ პოსტულატს კი ასეთი ორაზროვანი საფანელით გვაწვდიან: დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, არავითარ შემთხვევაში! მაგრამ უნდა შევქმნათ კანონი, რომლის ძალით, ანტროპოფაგია განსაკუთრებულ ვითარებაში — შიმშილობის ჟამს ან სამედიცინო აუცილებლობისას — დასაშვებია. ყოველი შემთხვევისთვის.

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გსურთ, ილაპარაკოთ იმაზე, რომ დედათქვენი ბოზია? გსურთ, ამის შესახებ დაბეჭდოთ მოხსენება ჟურნალში, დაწეროთ სიმღერა და, ბოლოს და ბოლოს, დაამტკიცოთ, რომ გაბოზება ნორმალურია და აუცილებელიც კი არის? წერეთ, ვინ გიშლით! სწორედ ეს არის ზემოთ აღწერილი ტექნოლოგია, რომელიც ემყარება ყველაფრის ნებადართულობას: არ არის ტაბუ, არ არის არაფერი წმინდა, არაფერი საკრალური, რის განხილვაც დაუშვებელია, მათი გაბინძურების მცდელობა კი დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს. და ხელში შეგვრჩება ე.წ. სიტყვის თავისუფლება, რომელიც ადამიანურობის უარყოფად არის გადაქცეული**

◀ მოხსნილია, მაგრამ კანიბალიზმის იდეა მოსახლეობისთვის კვლავ კატეგორიულად მიუღებელი რჩება. თუმცა ზოგიერთ ტელეპროგრამაში ან საგაზეთო წერილში აქა-იქ გამოკრთება ულტრამემარჯვენე გამონათქვამები, რომლებიც კაციჭამიობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეს მარტოსული ფსიქოპატების ბოდვად აღიქმება.

ჯერ აქა-იქ, შემთხვევიდან შემთხვევამდე ხდება და არ ძაბავს საზოგადოებრიობას: ქარის მოტანილს ქარი წაიღებს.

მაგრამ ეს ფსიქოპათები სულ უფრო ხშირად ჩნდებიან ეკრანზე, საზოგადოებრიობა მოწმე ხდება, როგორ იკრიბებიან ასეთი რადიკალების ჯგუფები, მართავენ სამეცნიერო სიმპოზიუმებს, რომლებზეც ფორმალური ლოგიკით ცდილობენ, ახსნან კანიბალიზმი, როგორც ძველი ტომებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენა. აწყობენ კონფერენციებს ისეთ თემებზე, როგორიცაა, მაგალითად, პოლინეზიის ტომების ეგზოტიკური წეს-ჩვეულებები. განიხილავენ საგნის ისტორიას, ჩართავენ სამეცნიერო მოხმარების სივრცეში და მიიღებენ კანიბალიზმის ავტორიტეტული დახასიათების ფაქტს. „ასე შეიძლება კაციჭამიობაზე ლაპარაკის დაწყება ისე, რომ არ გასცდე მეცნიერული რესპექტაბელურობის საზღვრებს“.

იხსენებენ და განიხილავენ ისტორიულ პრეცენდენტებს, მაგალითად, ისეთს, როცა დედამ, მშიერი შვილი სიკვდილს რომ გადაერჩინა, საკუთარი სისხლი შეასვა.

ამ შემთხვევაში „ოვერტონის ფანჯარა“ გადამწყვეტ სტადიაზე იმყოფება. კანიბალიზმისა და კაციჭამიობის ნაცვლად იწყებენ კორექტული ტერმინების — **ანტროპოფაგიისა** და **ანტროპოფილიის** გამოყენებას. მნიშვნელობით იგივეა, მაგრამ მეცნიერული. თუმცა, ამ მოვლენის დაკანონების მოთხოვნა კვლავაც რადიკალურად და წარმოუდგენლად არის მიჩნეული. პოზიციების გადახედვა მონიშნულია, რადიკალი კანიბალების რაღაც საზოგადოება — უკვე ჩამოყალიბებული. აღნიშნული ფაქტი მხოლოდ ინტერნეტშიც რომ იყოს, აუცილებლად შეამჩნევენ და არც ციტირება დაიგვიანებს.

ამ ეტაპის ბაქკანალიის მთავარი ამოცანაა კაციჭამიობის, თუნდაც ნაწილობრივ, სამართლებრივი დევნისგან დახსნა, თუნდაც ერთჯერადად თუნდაც ერთ ისტორიულ ეტაპზე.

ადამიანებს თავს ახვევენ პრინციპს: „თუ შენ არ შეჭამ მეზობელს, იგი შეგჭამს შენ“. ამ პოსტულატს კი ასეთი ორაზროვანი საფანელით გვაწვდიან: **დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება! არავითარ შემთხვევაში! მაგრამ უნდა შევქმნათ კანონი, რომლის ძალით, ანტროპოფაგია განსაკუთრებულ ვითარებაში — შიმშილობის ჟამს ან სამედიცინო აუცილებლობისას — დასაშვებია. ყოველი შემთხვევისთვის.**

კარგად დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ან ნაყიდი ჟურნალისტები სხვადასხვა პრესკონფერენციაზე აკვიატებულად ეკითხებიან პოლიტიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებსა და გამოჩენილ ადამიანებს, — რა დამოკიდებულება აქვთ ისეთი რადიკალური მოვლენის მიმართ, როგორიც არის ანტროპოფაგია. პასუხისთვის თავის არიდება რესპონდენტის შეზღუდულობის მაჩვენებლად ითვლება. ლანძღვასა და გამასხარავებას არ დააკლებენ. შედეგად, ადამიანების აზროვნებაში თავს იყრის სოციუმის განსხვავებულ წარმომადგენელთა გამონათქვამების ბაზა კაციჭამიობის შესახებ.

**ოვერტონის თეორიის მესამე ნაბიჯს რადიკალური იდეა მისაღებ დონეზე გადაჰყავს.** საკითხი, დიდი ხანია, განიხილება, ყველა მიეჩვია და კანიბალიზმის ხსენებისას ცივი ოფლი შუბლს აღარავის დაუნამავს. გრძელდება „მეცნიერთა“ დასკვნების ციტირება. აბა, უარს ხომ არ იტყვიან „ავტორიტეტულ“ მეცნიერულ დასკვნებზე, რომელთა მიხედვით, გარკვეულ ადამიანებს სურთ, იყვნენ შეჭმულები. აკრძალული ხილი ყოველთვის ტკბილია. თავისუფალ ადამიანს აქვს უფლება, თვითონ გადაწყვიტოს საკუთარი პრობლემები, ანუ ინფორმაცია არ უნდა დავმალოთ და ადამიანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა კაციჭამია.

და ა.შ. და ა.შ.

სულ უფრო ხშირად გადის ეთერში, იბეჭდება გაზეთებში რეპორტაჟები იმაზე, როგორ მოახდინეს ანტროპოფილების პროვოცირება ამგვარი მოქმედების ჩასადენად ან როგორ შეიკრიბნენ ზომიერი კანიბალიზმის მომხრენი მორიგ მიტინგზე. ვაიმეცნიერები განაგრძობენ ბოდვას იმის შესახებ, რომ ადამიანს მეორე ადამიანის შეჭმის „სიკეთე“ ბუნების მიერ გენეტიკურ დონეზე აქვს ნაბოძები.

საზოგადოებრიობის ჯანსაღად მოაზროვნეებს ჩამორჩენილ ადამიანებად წარმოგვიდგენენ, სოციალურ უმცირესობათა მოძულე რეტროგრადებად.

**„ოვერტონის ფანჯრის“ მეოთხე ეტაპის მიხედვით, კაციჭამიობას შეიძლება არ მივსდიოთ, მაგრამ ანტროპოფაგია რეალურ ცხოვრებაში სავსებით დასაშვებია.** გასართობი ტელეპროგრამებისთვის იგონებენ სახალისო სიუჟეტებს, რომლებიც კანიბალიზმთან არის დაკავშირებული. ადამიანებს ეცინებათ ამ ყოფით, თუმცა უცნაურ სიუჟეტებზე. საზოგადოებრიობის სოლიდური წარმომადგენლები თემას დასაშვებ და მიუღებელ ელემენტებად ანაწევრებენ. განიხილავენ ანტროპოფაგიის დაკანონების პროცესს.

**მეხუთე ეტაპზე მიზანი თითქმის მიღწეულია.** მასობრივ შეგნებაში ამკვიდრებენ აზრს, რომ საზოგადოების ცხოვრებაში აღნიშნული პრობლემა უაღრესად მწვავედ დგას. საკითხის ტოლერანტობა და მეცნიერული საფანელი დაეჭვების საგანი აღარ არის. ლობისტური დაჯგუფებები ხელისუფლებაში კონსოლიდირდებიან, ჩრდილიდან გამოდიან; ქვეყნდება სოციალური გამოკითხვების შედეგები, რომლებითაც ვითომ დასტურდება კანიბალიზმის ლეგალიზაციის მომხრეთა მაღალი პროცენტი. **საზოგადოებრივ აზროვნებაში ნერგავენ ახალ დოგმას, რომლის მიხედვით კაციჭამიობის აკრძალვა აკრძალულია.**

არის ლიბერალიზმის საფირმო კერძი.

„ოვერტონის ფანჯრის“ ზემოთ გადმოცემული მოდელირების შესახებ ჯერ კიდევ 2014 წელს ისაუბრა „როსია-24“-ის ეთერში ცნობილმა რეჟისორმა, სცენარისტმა და პროდიუსერმა **ნიკიტა მიხალკოვმა** საავტორო პროგრამაში „ბესოგონ TV“. მისი აზრით, ისტორიული პარალელების დღევანდელობაზე მორგების საკითხს მთავარი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ამ დროს ირღვევა ადამიანების თანაცხოვრების ნორმები. თემის გამოძახილი კი უეჭველად მისწვდება სკოლებსა და საბავშვო ბაღებს, რაც ნიშნავს, რომ მომავალი თაობა გადარჩენის შანსის გარეშე დარჩება.

**ასე იყო პედერასტიის ლეგალიზების შემთხვევაშიც. მოითხოვეს, რომ ისინი მხოლოდ გეებად მოეხსენებინათ და ასეც მოხდა, ამას ლგბტ-თემის წევრობაც დაემატა.**

მასმედიაში ჩნდება უამრავი ტელეპროდუქტი, რომლებიც კულტურულს ხდის ადამიანის ხორცის ჭამას. გამოდის ფილმები, რომლებშიც კანიბალიზმი პოპულარული კინოსურათების აუცილებელი ატრიბუტია.

ამოქმედდება სტატისტიკაც: ახალ ამბებში რეგულარულად საუბრობენ იმაზე, რომ ანტროპოფილების პროცენტული ოდენობა, რომლებიც დედამიწაზე ცხოვრობენ, წარმოუდგენლად დიდია.

თემა ისევე, როგორც ჰომოსექსუალიზმის საკითხი, ინტერნეტის სივრცესა და მსოფლიო მედიაში საბოლოოდ გამოდის პირველ პლანზე.



**„ოვერტონის ფანჯრის“ მეექვსე, ფინალური სტადია გვევლინება კრებულად კანონებისა, რომლებიც კანიბალებს უფლებას აძლევს, გაავრცელონ ადამიანის ხორცის ჭამის იდეა. ხოლო ნებისმიერს, ვინც გაბედავს ამ ტოტალური სიგიჟის წინააღმდეგ ხმის ამოღებას, კანონი სასტიკად დასჯის, რადგან იგი ადამიანის უფლებათა დამრღვევად იქნება ჩათვლილი.**

კანიბალიზმის პოპულარიზაციის ერთ-ერთ ფორმას ეწოდება „მიმოიხედე გარშემო!“. განა არ იცოდით, მიგვანიშნებს მიხალკოვი, რომ ერთი კომპოზიტორი, ასე ვთქვათ, ანტროპოფილია? ხოლო მავანი პოლონელი სცენარისტი მთელი ცხოვრება ანტროპოფილი იყო? მას კიდეც სდევნიდნენ ამის გამო. რა საშინელებაა! რას უყურებს და რას უცდის დემოკრატია! მათგან რამდენი მკურნალობდა საგიჟეთში, იცით? რამდენი მილიონი გადაასახლეს, მოქალაქეობა ჩამოართვეს! როგორ მოგწონთ **ლედი გაგას** ახალი კლიპი?

საკითხს ტოპთემების დონეზე აღაზევებენ, ისიც ავტონომიურად განვითარებას იწყებს მედიასივრცეში, შოუბიზნესსა და პოლიტიკაში. ლეგალიზაციის მომხრეთა ლეგალიზაციისთვის გამოიყენებენ დამნაშავეთა გაადამიანურების მეთოდს მათი დადებითი ხატის შექმნის გზით. ისინი ხომ შემოქმედი ადამიანები არიან. **შეჭამა ცოლი და რა მოხდა ასეთი? მათ გულწრფელად უყვართ თავიანთი ცოლები, ჭამენ, მაშასადამე, უყვართ. ანტროპოფილები თვითონ არიან მსხვერპლნი. ცხოვრებამ აიძულა. ასე აღზარდეს და ა.შ. და ა.შ. ასეთი კაურები (ფინტები) პოპულარული ტოკშოუების მარილია.**

მოგვითხრობენ ერთი ტრაგიკული სიყვარულის ამბავს: **კაცს უნდოდა საყვარელი ქალის შეჭმა, ქალს კი სურდა, შეჭმული ყოფილიყო. ვინ ვართ ჩვენ, რომ განვსაჯოთ ისინი! ეგებ ეს არის ნამდვილი სიყვარული! ვინ ხართ თქვენ, ამ სიყვარულს გზა რომ გადაუღობოთ!**

მაყურებლის ყურადღებას განსაკუთრებით მივაქცევთ ნიკიტა მიხალკოვის მიმოხილვის დასკვნით ნაწილს, რომელშიც იგი ამტკიცებს, რომ **ოვერტონის მიერ აღწერილი შესაძლებლობა ყველაზე თავისუფლად ტოლერანტულ საზოგადოებაში მოძრაობს.**

„იმ საზოგადოებაში, რომელსაც არ აქვს იდეალები და, როგორც შედეგი, არ გააჩნია სიკეთისა და ბოროტების ზუსტად განსაზღვრული პარამეტრები.

თქვენ **გსურთ, ილაპარაკოთ იმაზე, რომ დედათქვენი ბოზია? გსურთ, ამის შესახებ დაბეჭდოთ მოხსენება ჟურნალში, დაწეროთ სიმღერა და, ბოლოს და ბოლოს, დაამტკიცოთ, რომ გაბოზება ნორმალურია და აუცილებელიც კი არის? წერეთ, ვინ გიშლით! სწორედ ეს არის ზემოთ აღწერილი ტექნოლოგია, რომელიც ემყარება ყველაფრის ნებადართულობას: არ არის ტაბუ, არ არის არაფერი წმინდა, არაფერი საკრალური, რისი განხილვაც დაუშვებელია, მათი გაბინძურების მცდელობა კი დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს. და ხელში შეგვრჩება ე.წ. სიტყვის თავისუფლება, რომელიც ადამიანურობის უარყოფად არის გადაქცეული.**

ჩვენ თვალწინ ერთმანეთის მიყოლებით ანგრევენ და სპობენ საზღვრებს, რომლებიც საზოგადოებრიობას უძირო უფსკრულში გადაჩეხვისგან იცავს. ახლა დაღუპვის გზა ხსნილია! შენ გგონია, რომ მარტოდმარტო ვერაფერს შეცვლი? მართალი ხარ! მარტო კაცი ვერაფერს შეცვლის.

მაგრამ შენ გევალება, დარჩე ადამიანად. ადამიანს კი ხელეწიფება ნებისმიერი პრობლემის დაძლევა. და, რასაც ერთი კაცი ვერ შეძლებს, გააკეთებენ საერთო იდეით გაერთიანებული ადამიანები.

**მიმოიხედეთ და დაინახავთ, როგორ უსირცხვილოდ, ცინიკურად ცდილობენ ადამიანის გაპირუტყვებას, როგორ აიძულებენ, დარწმუნდეს, რომ კაციჭამიობა ნორმალურია“.**

ამის მაგალითად ნიკიტა მიხალკოვი გვთავაზობს ელექტრონული კომერციის ინსტიტუტის „ჯოინთ თუ დეის“ პრეზიდენტის, ვინმე დოქტორ **მიხაილ მატაის** ლექციიდან ამონარიდს, რომლის არსი დაიყვანება კაციჭამიობის აუცილებლობის დასაბუთებამდე. მისი ბოდვითი არგუმენტების წაკითხვით მკითხველი რომ არ დავთრგუნოთ, მხოლოდ დედაარსს წარმოგიდგენთ: **შიმშილობას მიუჩვეველთათვის მესამე დღეს წამების ატანა შეუძლებელი ხდება, მათ ბუნებრივად უჩნდებათ კაციჭამიობის სურვილი. „ამ მომენტისთვის უნდა აირჩიოთ, ვისი შეჭმა გსურთ, რათა ძალა არ დაკარგოთ, თორემ თქვენ შეგჭამენ... იცოდეთ, თუ არ გაქვთ საჭმელი, პროტეინის ერთადერთი წყარო სხვა ადამიანია...“**

რამე თუ არ მოვიმოქმედეთ, — წუხს ნიკიტა მიხალკოვი, — თვითონ გადავიქცევით მანქურთებად. გადავარჩინოთ ჩვენი შვილები და შვილიშვილები. გადავარჩინოთ ყველაფერი ის, რასაც საუკუნეების განმავლობაში ვიცავდით და ველოლიავებოდით — ჩვენი ეროვნული იდენტურობა, ჩვენი მეობა.



**მომზადებულია უცხოეთის მედიაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით**

წყევლაკრულვიანი საკითხავი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბანკი თავად-აზნაურობამ დააწესა იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ ისე მოეფინოს, რომ მაგ ფულს ერთი გროშიც არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდან უფრო ბევრი წილი ჩვენის ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარიბთაც გაუნაწილდეს, იმ ღარიბთ, რომელნიც რომელიმე უბედურობის გამო სიღარიბეში ჩაცვივნულან და არა იმათ, ვინც გულაღმა წვანან, გულზედ ფაფუკი ხელები დაუკრეფნიათ, პირი დაუღიათ და ჰყვირიან მასავით და მაჭამეთო“.**

# არის თუ არა მისაღები სამოქალაქო საზოგადოების ყველა ფენისთვის საბანკო მომსახურების არსებული სისტემა?

**საქართველოში ბატონყმობის გადავარდნისთანავე გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი ყიფიანმა წამოაყენა ბანკის დაარსების იდეა. გლეხების ყმობიდან განთავისუფლებისათვის უმაღლესმა ხელისუფლებამ მემამულეებს გარკვეული თანხა მისცა. თავდაპირველად, სწორედ ამ თანხის ნაწილის საფუძველზე სურდა დიმიტრი ყიფიანს საზოგადოებრივი ხასიათის ბანკის დაარსება, რომელიც დამყარებული იქნებოდა საადგილმამულო კრედიტზე. მანვე შეიმუშავა ბანკის საგანგებო წესდების პროექტიც, რომელიც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებამ 1867 წლის 6 მაისს ერთხმად მოიწონა, ხოლო 8 მაისის სხდომაზე არჩეული იყო ბანკის წესდების პროექტის შემმუშავებელი სარედაქციო კომიტეტი გრიგოლ ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძისა და სხვათა შემადგენლობით. სწორედ ამ დღიდან იწყება ილია ჭავჭავაძის შეუპოვარი ბრძოლა პირველი ქართული ბანკის დაარსებისთვის, რომელიც 1875 წელს გაიხსნა კიდეც.**




XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში თითქმის არ ყოფილა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული განვითარების არც ერთი საყურადღებო საკითხი, რომელიც ამა თუ იმ თვალსაზრისით საადგილმამულო ბანკის მრავალმხრივ მოღვაწეობას არ დაკავშირებოდა.

თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები მთელი საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობაში აქტიურად ჩაება მოწინავე ქართველი ინტელიგენცია.

**საადგილმამულო ბანკში მიწები იდებოდა გირაოდ და თავადებზე გაიცემოდა გარკვეული თანხა, ხოლო ნაყმევ გლეხებს სესხად ეძლეოდათ მიწის გამოსყიდვის საფასური, რაც თავიდან აცილებდა გლეხობას მიწისაგან მოწყვეტას, განაპირობებდა სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური დარგის შენარჩუნებას და ხელს უშლიდა გლეხების მიგრაციას.**

საყურადღებოა, რომ ილია ჭავჭავაძემ საოცარი სიზუსტით შექმნა საბანკო მომსახურების ისეთი სისტემა, რომელიც მაშინდელი სამოქალაქო საზოგადოების ყველა ფენისთვის მისაღები აღმოჩნდა.

XIX საუკუნის ბოლოს ქართული პრესის ფურცლებზე აქტიურად შუქდებოდა საქართველოში ახალდაწყებული საბანკო საქმიანობა. განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდნენ გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „კვალი“ და სხვ.

* საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“ (№79, 1890 წლის 17 აპრილი) ახალ ამბებში წერდა:

„ბანკის საზოგადო კრებაზე 15 აპრილს საუბარი გაიმართა დივიდენდის თაობაზე და იმის შესახებ, რომ, თუ შესაძლოა, მალე მოჰშორდეს ვალი არწრუნისეულს ქარვასლას, რომელიც ბანკს დარჩა საკუთრებად. გრძელის საუბარის შემდეგ დივიდენდის შესახებ დადგენილ იქმნა საკენჭოდ კითხვა: **დარჩეს დივიდენდი თუ მოისპოს**. რადგანაც ამ საგანს უნდა მოჰყვეს წესდების შეცვლა (§ 89) და წესდების ძალითვე, რაკი შეცვლაზეა საუბარი, უსათუოდ კრების ორმა მესამედმა წილმა უნდა გადასწყვიტოს საქმე, თავმჯდომარემ გამოუცხადა ეს წესი კრებას. კრებამ კენჭი უყარა ამ საგანს და ორი მესამედი ხმა არ შესდგა, რადგანაც დივიდენდის მომხრენი აღმოჩნდნენ 87 და წინააღმდეგნი 166 ხმა, ესე იგი ორ მესამედს დააკლდა რვა ხმა. გამგეობამ და სხვათა მოსამსახურეთა ამ კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. შესახებ ქარვასლისა დადგენილ იქმნა: ამ ქარვასლაზედ დარჩენილ ვალის მოსაშორებლად განჩენილ იქმნას, რომ ყოველს წელიწადს ბანკის მოგებიდამ ინიშნებოდეს ამ ვალის გადასახდელი ფული და გამგეობამ ზედამხედველ კომიტეტთან ერთად ყოველ წლივ წარმოუდგინოს კრებას, რამდენი ფულია შესაძლო გადიდოს ხოლმე ამ ვალის მოსაშორებლად მოგებიდამაო. სხვა საქმეები გადიდო მეორე დღისათვის.

მეორე დღეს, 16 აპრილს, ზედამხედველმა კომიტეტმა წაიკითხა პროტოკოლი და წაკითხვის დროს შენიშნულ იქმნა ზოგიერთის წევრისაგან, რომ შესახებ ქარვასლაზე არსებულ ვალისა პროტოკოლი ისე არ არის შემდგარიო, რადგან გუშინ დადგენილ იქმნა, რომ შვიდის წლის განმავლობაში ოთხ-ოთხი ათასი თუმანი წელიწადში ამ ვალის მოსაშორებლად გადადებულ იქმნასო. ასტყდა ამაზე ლაპარაკი და ბოლოს იმითი გათავდა, რომ, როგორც პროტოკოლშია მოხსენებული, ისევ ისე დარჩესო.

შემდეგ ამისა, ჩამოვარდა საუბარი მასზედ, რომ გუშინდელ კრებაზე არ შესდგა წესდების მოთხოვნილებისამებრ ორი მესამედი რიცხვი მთელის კრების ხმისა და ამის გამო დივიდენდი დარჩა, მაგრამ დღეს ყოველთ უწინარეს საჭიროა, გაისინჯოს § 89 და მუხლი დივიდენდის თაობაზედ შეიცვალოს თუ არა. კრებამ ერთ-ხმივ გადასწყვიტა, რომ შეიცვალოსო. ამ განაჩენის გამოცხადების მერმედ კრებას ეკითხა, როგორ და რა გვარად გსურთ შეიცვალოსო. გრძელის საუბარის შემდეგ დადგენილ იქმნა, რომ კრებაში ამ საგანზე სამი აზრი წარმოითქვაო: ერთი ზედამხედველ კომიტეტისა, რომ დარჩეს იგივე დივიდენდი, რაც ეხლაა, მანამ ჯამაგირები გაუორკეცდებათ გამგეობას და დამფასებელ კამისიას, და რაკი გაუორკეცდებათ, მაშინ გამგეობას დანარჩენიდამ სამი პროცენტი მიეცეს და დამფასებელ კამისიას პროცენტ ნახევარი. დანარჩენს მოსამსახურეებს უწინდელებრ მიეცეთ დივიდენდიო. რაც ამ გზით ძირს დარჩება, ის მიემატოს საზოგადო საჭიროებისათვის გადასადებ ფულსაო. მეორე ის აზრი იყო, რომ ეხლანდელის დივიდენდის ნახევარი დარჩესო, ესე იგი, ოცის პროცენტის მაგიერ ათი პროცენტი მიეცეთო იმ დრომდე, ვიდრე ჯამაგირები გაუორკეცდება ბანკში მოსამსახურეებს, და მას შემდეგ მოსპობილ იქმნასო. მესამე აზრი ის იყო, რომ, ოცის მაგიერ, ათი პროცენტი დარჩეს სამუდამოდაო, იმისდა მიუხედავად რამდენიც უნდა, შესდგეს ამ გზით ჯამაგირიო.

ამ სამსავე აზრს უყარეს კენჭი და აღმოჩნდა: ზედამხედველ კომიტეტის და გამგეობის აზრს ამოუვიდა თეთრი კენჭი 74 და შავი 182, მეორე აზრს — 217 თეთრი და 38 შავი და მესამეს — 82 თეთრი და 174 შავი. ამ სახით დივიდენდი დარჩა ისე, რომ ოცის მაგიერ ათი პროცენტი დარჩეს, ხუთი გამგეობისათვის და ხუთი დანარჩენ მოსამსახურეებისათვის იმ პირობით, რომ, როცა ამ გზით ჯამაგირები გაუორკეცდებათ, დივიდენდი მოისპოს და, რაც ამას ფული მორჩება, საზოგადო საჭიროებას მოხმარდესო. დანარჩენ საქმეებისათვის კრება გადიდო 16 აპრილსავე საღამოს 6 საათისათვის“.

*** „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არც ერთ სხვა საკითხზე იმდენი დავა და კამათი არ ყოფილა, როგორიც თბილისისა და ქუთაისის ბანკების გარშემო იმართებოდა. კაცი ვერ მოთვლის, რამდენი ერთმანეთის მსგავსი და მოწინააღმდეგე აზრი გამოითქვა, როგორც ეს სათავადაზნაურო ბანკების დაარსების თუ მათი დანიშნულების თაობაზე გამოითქვა. ზოგი იმასაც კი ამტკიცებდა, ქართულ თავადაზნაურობას ბანკი და კრედიტი არ გამოადგებაო“, — წერდა სერგი მესხი.**

* ილია ჭავჭავაძეს ყველაზე ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ქვეყნისთვის ბანკის როლი და დანიშნულება:

„შეუძლებელია, რომ ბანკმა თვითოეულს ჩვენგანს ცალკე სესხის მეტი სხვა რამ შემწეობა მოუტანოს, უწინაც მითქვამს და ახლაც მოგახსენებთ, რომ ბანკი ამ მხრით, ე.ი., იმით, რომ ფულს ასესხებს, კაცის ამშენებელიც არის და დამღუპველიც. ვინც ბეჯითია და მხნე, ვისაც გონება აქვს, გულმოდგინე შრომის სურვილი და მხოლოდ ფული აკლია, რომ თავისი საქმე წარმართოს, ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, რომ იმისათვის ბანკი ყოვლად მხსნელი სახსარი იყოს.

კაცი ბეჯითი, მხნე, შრომისმოყვარე რამოდენასაც თავის თავს შეჰმატებს ჩვენის ბანკის შემწეობით, იმოდენას შეჰმატებს ჩვენს ქვეყანასაცა, თავის შემოსავალს ოცი კოდიც რომ მოუმატოს, ჩვენი ქვეყანა უწინდელზედ ოცი კოდით უფრო მდიდარი შეიქნება იმის მეოხებით და ჩვენი ბანკის შემწეობით. ისინი კი, ვისაც ბანკი უხარიათ მარტო იმისათვის, რომ ფულს მალე ვისესხებთ და იმ ფულებით ქეიფს გავწევთო, იმათთვის, არამც თუ ჩვენი ბანკი, ყოველგვარი ბანკი წინდაწინვე გათხრილი სამარეა“.

*** პრესაში ისიც იბეჭდებოდა, რომ, სამწუხაროდ, ბანკის დამფუძნებელ თავადაზნაურთა უმრავლესობამ ვერ გამოიყენა რაციონალურად ბანკის შემწეობა და ამას ის შედეგი მოჰყვა, რასაც ილია ჭავჭავაძე წინასწარმეტყველებდაო. ანუ, ბანკის დანიშნულებით, მემამულეებისათვის მიეცა გრძელვადიანი სესხი მამულის გასა-**



დიმიტრი ყიფიანმა წამოაყენა ბანკის დაარსების იდეა საქართველოში

# რუსეთის იმპერიის მიერ ამიერკავკასიის ანექსიამ დაიცვა ადგილობრივი მოსახლეობა ინტერვენციებისაგან და მშვიდობა და ეკონომიკური სტაბილურობა დაამყარა რეგიონში.

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ უმჯობესებლად, ქართველმა თავადაზნაურობამ ვერ ისარგებლა:

**„ისინი მამულებს აგირავებენ, ფულს იღებენ, მაგრამ ამ ფულს გონივრულად ვერ იყენებენ, დროსტარებაში ხარჯავენ, სანამ ნასესხები ფული გასწვდებათ მას სარგებელი შემოაქვთ ბანკში, როცა შემოაკლდებათ კიდევ ახალ-ახალ ნაკვეთებს აგირავებენ; თუ ამ საშუალებას მოკლებული არიან ბანკის გამგეობა ვადაგადაცილებულ დაგირავებულ მამულს, საჯარო ვაჭრობით ყიდის და ასე ეცლებათ მათ თავიანთი ადგილ-მამული ხელიდან. ამ მდგომარეობის გამო მემამულეები ბანკის გამგეობაზე უკმაყოფილო რჩებიან და მათ შორის დამოკიდებულება იძაბება“.**

*****„მომავალი ბანკიდან გაკეთებას და სულის ჩადგმას ელის ჩვენი გალატაკებული საზოგადოება. იმან წელი უნდა გაუმაგროს ჩვენს აზნაურობას და მომავალი დაუმზადოს შემდეგ თაობას, იმაზე ბრუნავს მთელი მხარის იმედი და იმას შეჩერებია, მისგან დახსნას მოელის მთელი ჩვენი ქვეყანა“, — წერდა ნიკო ნიკოლაძე 1873 წელს.

*** „ბანკი თავად-აზნაურობამ დააწესა იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ ისე მოეფინოს, რომ მაგ ფულს ერთი გროშიც არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდან უფრო ბევრი წილი ჩვენის ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარიბთაც გაუნაწილდეს, იმ ღარიბთ, რომელნიც რომელიმე უბედურობის გამო სიღარიბეში ჩაცვივნულან და არა იმათ, ვინც გულაღმა წვანან, გულზედ ფაფუკი ხელები დაუკრეფნიათ, პირი დაუღიათ და ჰყვირიან მასავით და მაჭამეთო“,** — წერდა ილია ჭავჭავაძე.

სტატისტიკის მიხედვით, დღეს საქართველოში ყოველი 1000 კაციდან 800-ს ბანკის ვალი აქვს, ანუ ილიას შეგონება, რომ **ზოგჯერ აუცილებელია უარყოფილი იქნეს „კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის“,** უარყოფილია. დღეს ბანკთან საქმის დაჭერა იმას ნიშნავს, რომ მის ვალს, მის მიერ დაწესებული მაღალი პროცენტის გამო, ვერასოდეს გადაიხდი.

და ცხადია, ის კეთილსინდისიერი მოქალაქეები, რომლებიც პატიოსნად წლობით უხდიან „მოწყალე“ ბანკებს „ხარკს“, სიღარიბეს თავს ვერ დააღწევენ, სანამ ეს „ხელის გამმართავი“ მათი ჯიბეების დაცარიელებაზე „სულგრძელად“ არ იტყვის უარს.

ეს იქნებოდა ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მოსახლეობის სიღარიბის დასაძლევად, მაგრამ ქალაქის ქუჩებში ნაგვის ურნებში საარსებო სარჩოს მაძებარი, უპოვარი ადამიანების საცოდაობაც კი არ უჩუყებს გულს არც ხელისუფალთ და არც ბანკების მაძღარ მმართველებს...

აი ეს არის დღეს ჩვენი კიდევ ერთი წყევლაკრულვიანი საკითხავი!

# ერთად აღმოსავლეთის ომებში

**მუსლიმური სამყაროს გარემოცვაში მოქცეულ საქართველოს საუკუნეების განმავლობაში თავგანწირული ბრძოლა უწევდა უსასტიკეს მტერთან, რომელიც მოსვრით, პირისაგან მიწისა აღგვით ემუქრებოდა ყოველივე ქართულსა და მართლმადიდებლურს: ცეცხლს აძლევდა სოფლებსა და ქალაქებს, ტყვედ ასხამდა ადგილობრიც მოსახლეობას, ანგრევდა ტაძრებს... ფიზიკური განადგურების პირას მისულ ერს მხსნელად მართლმადიდებელი ქვეყანა — რუსეთი მოევლინა, რომელმაც დაიცვა ადგილობრივი მოსახლეობა ინტერვენციებისგან და იქ მშვიდობა და ეკონომიკური სტაბილურობა დაამყარა. საქართველომ, მართლმადიდებელი რუსეთით ზურგგამაგრებულმა, ოსმალოს, თურქსა თუ სპარსს მწარედ აზღევინა საუკუნეების განმავლობაში მიყენებული ზიანისთვის. აღმოსავლეთის ომებში რუსებმა და ქართველებმა ერთად არა ერთხელ დააჩოქეს მართლმადიდებლური სამყაროს დაუძინებელი მტრები.**




## ირანთან ომში

XIX საუკუნის დასაწყისში ირანს არ სურდა, გულისტანის დამამცირებელ ზავს ბოლომდე შერიგებოდა. ეს იყო ხელშეკრულება რუსეთის იმპერიასა და სპარსეთს შორის, რომლითაც დამთავრდა 1804-1813 წლების რუსეთ-ირანის ომი. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სოფელ გულისტანში 1813 წლის 12(24) ოქტომბერს. დამამცირებელი იყო იმიტომ, რომ ამ ხელშეკრულებით სპარსეთმა დაკარგა ტერიტორიები არაქსის ჩრდილოეთით და აღიარა რუსეთის სიუზერენობა დაკარგულ მიწებზე. ირანის მიერ რუსეთისთვის დათმობილი რეგიონი მოცავდა დაღესტანს, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს, აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის სამთავროებს, ბაქოს, დარუბანდის, შირვანის, ყარაბაღის, განჯის, შექის, თალიშის სახანოებს ლენქორანის ციხე-სიმაგრითურთ. ამას გარდა, სპარსეთმა დაკარგა უფლება კასპიის ზღვაზე ფლოტის ყოლისა. ამ უფლებით ამიერიდან მხოლოდ რუსეთის იმპერიას შეეძლო ესარგებლა. ხელშეკრულებასთან ერთად გაფორმდა შეთანხმება თავისუფალ ვაჭრობაზე, რაც რუსეთს სპარსეთის ტერიტორიაზე სავაჭრო საქმიანობის შესაძლებლობას აძლევდა. ყველაფერ ამის სანაცვლოდ რუსეთი შეჰპირდა აბას-მირზას, რომ **ფათალი შაჰის** სიკვდილის შემდეგ მას დაუმტკიცებდა სპარსეთის ტახტს. ეს არ შესრულებულა, რადგანაც აბას მირზა ადრე გარდაიცვალა.

ისტორიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, რუსეთის იმპერიის მიერ ამიერკავკასიის ანექსიამ დაიცვა ადგილობრივი მოსახლეობა თურქული ინტერვენციებისაგან და მშვიდობა და ეკონომიკური სტაბილურობა დაამყარა.

ირანს განსაკუთრებით საქართველო არ ეთმობოდა და ახალი ომისათვის გაცხოველებით ემზადებოდა. არც რუსეთი აპირებდა ერევნისა და ნახიჭევნის სამუდამოდ დატოვებას ირანის სამანებში და თვითონაც გეგმავდა ახალ სამხრეთულ ომს. მაგრამ სამხრეთისკენ რუსეთის წინსვლა დროებით გადაიდო იმპერიის გულში დატრიალებული შემაშფოთებელია ამბების გამო. ეს იყო 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყება. მომდევნო წელს კი ახალი იმპერატორის, ნიკოლოზ პირველის, კარმა მაინც მოახერხა სამხრეთულ საქმეთა გააქტიურება.

**თავის მხრივ, ირანის სასახლის კარს ეგონა, რომ დეკაბრისტების ანტიცარისტული გამოსვლა უაღრესად ხელსაყრელ ამინდს ქმნიდა რუსეთის ცარიზმის გასანადგურებლად ამიერკავკასიის საომარ ასპარეზზე.**

და 1826 წლის ივლისში ირანელთა 60-ათასიანი არმია, **აბას-მირზას** სარდლობით, ომის გამოუცხადებლად შემოიჭრა ყარაბაღში, ხოლო შამქორის მთებში — ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსული კავალერიით.

ასე დაიწყო ახალი **რუსეთ-ირანის ომი.**

აბას-მირზამ განჯა აიღო და ბაქოსკენ და თბილისისკენ გაემართა.

რუსთა სარდლობამ მტერთან შესახვედრად ქართული მილიცია გაუშვა, სახალხო ლაშქარი პოლკოვნიკ **ვახტანგ სავარსამიძის** სარდლობით. ქართველებმა მტერს თბილისის გზები შეუკრეს.

**1826 წლის 2 სექტემბერს რუსებმა და ქართველებმა შამქორის ახლოს სასტიკად გაანადგურეს შაჰის 10-ათასიანი ნარჩევი გვარდია.** დამარცხებული ალექსანდრე ბატონიშვილი კახეთისკენ გაიჭრა. რუსებმა ქართველს ქართველები გამოადევნეს **გრიგოლ ორბელიანის, ზურაბ ანდრონიკაშვილის, გიორგი ესეს ძე ერისთავის** წინამძღოლობით. წამოეწივნენ და

### 1826 წლის 2 სექტემბერს რუსებმა და ქართველებმა შამქორის ახლოს სასტიკად გაანადგურეს შაჰის 10-ათასიანი ნარჩევი მეომრების გვარდია

ქართველმა თავადებმა დაამარცხეს ქართველი ბატონიშვილი. ძლივს გაასწრო სიკვდილს ალექსანდრემ.

13 სექტემბერს განჯასთან აბას-მირზამ თავი მოუყარა 40 ათას მეომარს. რუსთა სარდლობამ პირველები ისევ ქართველები მიუშვა მტერზე („წესადმცა არს წინამბრძოლობა ქართველთა“!). და შეიჭრნენ ქართველები ირანელთა შუაგულში, მიჰყვნენ რუსებიც, ირანელთა უმრავლესობა დააწვინეს. არაქსისკენ გაიქცა აბას-მირზა, ხოლო რუსთა და ქართველთა ჯარები განჯაში შევიდნენ. 1826 წლის მიწურულს აზერბაიჯანი გაიწმინდა შაჰის ჯარებისაგან.

### 1827 წლის 1 ნოემბერს თავრიზი მოულოდნელი თავდასხმით აიღო გენერალმა გიორგი ერისთავმა

1827 წელს იმპერატორმა **ნიკოლოზ პირველმა** კავკასიის მთავარსარდლისა და მთავარმართებლის პოსტზე მისთვის საეჭვო გენერალი ერმოლოვი პასკევიჩით შეცვალა.

გენერალმა **პასკევიჩმა,** უპირველესად, ნახიჭევანი გაწმინდა ირანელთაგან, მერე მიადგა ერევანს და გააფთრებული იერიშების შემდეგ, 1827 წლის 1 ოქტომბერს, აიღო კიდეც. რუს მეომრებთან ერთად ერევნისთვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა 600-მა ქართველმა ცხენოსანმა, რომელთაც სარდლობდა **გენერალი რომან ბაგრატიონი, სახელოვანი პეტრე ბაგრატიონის ძმა, ისიც ბოროდინოს ბრძოლის გმირი.**

1827 წელს რუსებმა და ქართველებმა ირანის საზღვრები გადალახეს. უძველეს სპარსულ ქალაქ თავრიზს 61-ათასიანი ირანული გარნიზონი იცავდა. პასკევიჩი ამ ქალაქის აღების გეგმას ჩაჰკირკიტებდა, როცა მოულოდნელად, 1827 წლის 1 ნოემბერს, თავრიზი თავდასხმით აიღო **გენერალმა გიორგი ერისთავმა.** ეს ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო იმ საომარ კამპანიაში და სწორედ ამიტომ იმპერატორმა ამ ოპერაციის მთავარი გმირი გიორგი ესეს ძე ერისთავი დააჯილდოვა ალექსანდრე ნეველის ორდენით. ქართველი გენერლის მიერ თავრიზის აღება აღა-მაჰმადხანის მიერ თბილისში დატრიალებული ტრაგედიის საზღაური იყოო; **მაშინ მტერიც და მოყვარეც იმას ამბობდნენ, რომ სპარსელებთან შურისმგებლად 30 წლის შემდეგ ბედმა ისევ ქართველი გაგზავნა, ოღონდ რუსეთის არმიის სათავეშიო.**

თავრიზის აღების შემდეგ რუსებსა და ქართველებს გზა გახსნილი ჰქონდათ თეირანისკენ. დაიძრნენ და მიუახლოვდნენ კიდეც ირანის სატახტო ქალაქს და 1828 წლის 10 თებერვალს დაიდო **ზავი თურქმანჩაიში.** ეს ზავიც რუსეთის სრული მონაპოვრებით აღინიშნა. რუსეთის სამფლობელოებს შეუერთდა ნახიჭევანისა და ერევნის ყოფილი სახანოები, კასპიის ზღვაც მთლიანად რუსეთის სანაოსნო-საბატონოდ გამოცხადდა და, ბოლოს, ირანს რუსეთისთვის სამხედრო კონტრიბუციად უნდა გადაეხადა — 20 მილიონი მანეთი.

თურქმანჩაის ზავის შემდგენელი და განმახორციელებელი იყო პოეტი და დიპლომატი **ალექსანდრე გრიბოედოვი**, რომელიც ირანში რუსეთის სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა.

გრიბოედოვის პროექტით, ნახიჭევნისა და ერევნის ყოფილი სახანოებისგან შეიქმნა სომხეთის ოლქი, რომელსაც პირველ მმართველად და გამგებლად დაენიშნა სახელოვანი ქართველი პოეტი და გენერალი **ალექსანდრე ჭავჭავაძე**, ალექსანდრე გრიბოედოვის სიმამრი.

ისევ გრიბოედოვის თავგამოდებით, ახალ სომხურ ოლქში ირანიდან გადმოსახლდა და დაემკვიდრა 40 ათასი სომეხი.

ინგლისის დიპლომატთა წაქეზებით, ირანის ხელისუფლება ცდილობდა თურქმანჩაის დამამცირებელი ზავის გადასინჯვას, მაგრამ რუსეთის ელჩი მტკიცედ მოითხოვდა უკვე დადგენილ სახელშეკრულებო პირობათა დაცვას. მაშინ, 1829 წლის 30 იანვარს, ისევ ინგლისელთა წაქეზებით გახელებულმა ბრბომ თეირანში თავდასხმა მოაწყო რუსულ საელჩოზე. მთელი დიპლომატური კორპუსი ამოწყვიტეს. მოკლეს ალექსანდრე გრიბოედოვიც. მისი გვამი ქართველებმა, ალექსანდრე ჭავჭავაძის მოთავეობით, თბილისში გადმოასვენეს და მთაწმინდაზე დაკრძალეს.

### 1827 წლის 1 ოქტომბერს, რუს მეომრებთან ერთად, ერევნისთვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა 600-მა ქართველმა ცხენოსანმა, რომლებსაც სარდლობდა გენერალი რომან ბაგრატიონი

## განცხადება

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ სათანამშრომლოდ იწვევს ჟურნალისტური საქმიანობის მსურველ პირებს (შეიძლება იყოს დამამთავრებელი კურსის სტუდენტიც). მსურველებმა გამოგვიგზავნეთ სივი მისამართზე:
GAZETI2009@YAHOO.COM ან დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 591 882 104

## ანზორ მაისურაძის ხსოვნას

**„დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია სახელმწიფო უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე“... ამ შესავალ წინადადებას ველარ წაიკითხავს „საქართველო და მსოფლიოს“ ერთგული მკითხველი.**



გარდაიცვალა **ანზორ მაისურაძე**, წლების განმავლობაში ჩვენი რედაქციის ულალატო მეგობარი.

წლების განმავლობაში იბეჭდებოდა მისი ინტერვიუები ჩვენს გამოცემაში. საკითხები — მრავალფეროვანი, აქტუალური, მასშტაბური, რთული, მწვავე, რომლებშიც გარკვევა ჩვენი თანამოქალაქეებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო, სწორედ მის კომპეტენტურ პასუხებში გაიშიფრებოდა.

სუპერპროფესიონალი იყო. ინტელიგენტი. განათლებული მრავალმხრივ, ისევე, როგორი მრავალმხრივიც არის ქვეყნის უშიშროების დაცვა.

ბატონმა ანზორ მაისურაძემ ცხოვრების გზა უხინჯოდ განვლო, იყო მართალი საპასუხისმგებლო პროფესიული მოვალეობის შესრულების დროსაც და ჩვეულებრივ ყოფით ურთიერთობაშიც. ჰყავდა უამრავი მეგობარი და თავადაც პატივისმცემელი იყო ყველასი. წლების განმავლობაში მუშაობდა საზღვარგარეთ და იქაც სახელი გაითქვა, როგორც მაღალი პროფესიული უნარ-ჩვევებით დაჯილდოებულმა, პროგრესულად მოაზროვნე დიპლომატმა.

შესანიშნავად იცოდა, რომ მისი პროფესიული საქმიანობა ადამიანების ბედ-იღბალთან იყო დაკავშირებული და ყოველთვის დიდი სიფაქიზითა და ყურადღებით ეკიდებოდა ყველა საქმეს, რომლებიც მისი სამსახურებრივი კომპეტენციის ფარგლებში შედიოდა.

იცოდა ბევრი რამ ისეთი, რაზეც ჩვენ, დანარჩენებს, წარმოდგენაც არ გვქონდა, რის გამჟღავნებასაც შესაძლებლად მიიჩნევდა, რაც არ დააზიანებდა ჩვენი ქვეყნის უშიშროებას, უზიარებდა ჩვენს მკითხველებს, არკვევდა ვითარებაში, აკვალიანებდა, ურჩევდა.

წავიდა და წაიღო ბევრი ისეთი საიდუმლო, რომლებსაც ვერასდროს გავიგებთ.

წავიდა და მიჰყვება ჩვენი გულწრფელი სიყვარული, რომელიც ზეციურ საქართველოში ფიანდაზად დაეფინება.

**„საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტები**

## Reflex: მიგრანტების მიერ გერმანიაში მორიგი გაუპატიურების ფაქტი იმატებს რასობრივი ომის საფრთხე

**მიგრანტების მიერ ჩადენილი სექსუალური ხასიათის დანაშაულის მატებასთან ერთად ძლიერდება ადგილობრივი მოქალაქეების აღშფოთება, რომლებიც, ცოტაც და, თვითონ განახორციელებენ მართლმსაჯულებას — შურს იძიებენ აღვირახსნილ მოძალადეებზე.**




აღვირახსნილობა და ძალადობა ყოველგვარ ზღვარს გადასცდა და დიდ საფრთხედ იქცა ევროპის კონტინენტზე, გაცილებით დიდ საფრთხედ, ვიდრე ახალი იმიგრანტების ან მეორე და მესამე თაობის იმიგრანტების მიერ ჩადენილი მკვლელობები და ტერაქტები. ჩვენი ქალების გაუპატიურება დანაშაულია, რომელიც საზოგადოებაში უფრო ძლიერ ქვეცნობიერ გააფთრებას წარმოშობს, ვიდრე ტერორისტული აქტი.

მიგრანტების მიერ ევროპელი ქალების გაუპატიურების შემთხვევები გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. 2015 წელს ჩასული მიგრანტები უკვე გაშინაურდნენ; მათგან უმეტესობას თვეების განმავლობაში ქალთან სექსი არ ჰქონია; ევროპაში ალკოჰოლი მათთვის ხელმისაწვდომია, მთვრალ ადამიანს კი ეზრდება სექსუალური აგრესია. თანაც ახალგაზრდა მუსლიმები უმალ თვრებიან.

რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია ახალი საზიზღარი ინციდენტის — ჯგუფური გაუპატიურების შესახებ. **ბავარიის ქალაქ ჰენკირხენ-ზიგერტსბრუნში, რომელიც მიუნხენიდან 20 კილომეტრში მდებარეობს, სამი მამაკაცი თავს დაესხა 16 წლის გოგოს, რომელმაც მიგრანტების საერთო საცხოვრებელს ჩაუარა.**

ორმა ის გააუპატიურა, მესამეს კი ხელი შეუშალა შემთხვევითმა გამვლელმა. პოლიციამ მალევე დააკავა მოძალადეები, რომლებიც ავღანელი ლტოლვილები აღმოჩნდნენ.

ასეთი ტრაგედიების რაოდენობა განუხრელად მატულობს, მატულობს საზოგადოების აღშფოთების გრადუსიც — ევროპელები მზად არიან, ფიზიკურად გაუსწორდნენ „ძვირფას“ იმიგრანტებს. ქალების გაუპატიურება ისეთი დანაშაულია, რომლის ჩამდენი სიკვდილით უნდა დაისაჯოს ან, სულ ცოტა — დაიკოდოს.

იმიგრანტების მიერ ჩვენი ქალების გაუპატიურება ჩვენი გენის გაქრობით გვემუქრება. ჩვენს ტერიტორიაზე ჩვენს ქალებთან გამრავლება ჩვენ თავად გვსურს... ბარბაროსებს ეს არ უნდა გავაბედინოთ. ასეთია ჩვენი სულის ყივილი, ნებისმიერი ჩვენგანის, რომლებიც ცივილიზებული და განათლებული საზოგადოების წევრებად ვითვლებით, მამაკაცები ვართ, ბოლოს და ბოლოს. საქმე ეხება უაღრესად ძლიერ, საბაზო ინსტინქტებს, რომლებიც ქმნის და აკონტროლებს ბუნებრივი შერჩევის პროცესს და რომელზეც ვერ იმოქმედებს ვერავითარი კულტურა, ჰუმანიზმი თუ ეთიკა. ამ ინსტინქტებს ვერაფერი შეცვლის.

ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ, თუ გერმანიის, საფრანგეთისა და შვედეთის მთავრობები (სადაც ყველაზე მეტი მიგრანტია), არ აღკვეთენ მიგრანტების მიერ ჩადენილ სექსუალურ დანაშაულს, იმ ქალაქების მკვიდრნი, რომლებშიც მიგრანტების დიდი რაოდენობაა თავმოყრილი, გაერთიანდებიან ჯგუფებად და დახოცავენ მათ, რითაც შურს იძიებენ ჩვენი ქალების გაუპატიურებისთვის.

თუ სექსუალური მოძალადეების წინააღმდეგ მთავრობები არ განახორციელებენ განსაკუთრებით მკაცრ სადამსჯელო პოლიტიკას და არ შეუთავსებენ მას ჩამოსულთა განათლებას, არ შთაუნერგავენ მათ, რომ ევროპაში გაუპატიურება უმძიმეს დანაშაულად ითვლება, მაშინ მიგრანტების რაიონებში დიდი სისხლი დაიღვრება და ძალადობის თეთრი ექსტრემიზმი საყოველთაოდ აღიარებულ მეინსტრიმად — ძირითად მიმართულებად — ჩამოყალიბდება.

აქვე ავხსნი: თუ მიგრანტები არ შეწყვეტენ ევროპელი ქალების გაუპატიურებას, უნდა ველოდოთ, რომ თეთრკანიანი მოსახლეობა, ჩვენი მოქალაქეები ძალიან მალე საკადრის პასუხს გასცემენ ლტოლვილ მოძალადეებს.

„პოგრომები“ (დარბევები) გარდაუვალი იქნება.

**ირჟი დოლეჟალი,**
**ჩეხეთი**

**P.S. რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მალაიზიაში პოლიციამ დააპატიმრა აშშ-ის მოქალაქე, ინგლისური ენის მასწავლებელი, რომელსაც ბრალად ედება ხუთი წლის გოგონას გაუპატიურება.**

## არალეგალი მიგრანტების ევროპაში გადაყვანის გამო უკრაინელები პოლონეთში დააპატიმრეს

**ეს ინფორმაცია პოლონეთის საზღვრის დაცვის სამსახურმა გაავრცელა.**

უკრაინელებს ბანგლადეშელი ლტოლვილები მანქანების საბარგულებში ჰყავდათ გამოკეტილი და საზღვარზე გადაჰყავდათ. დადგინდა, რომ მიზანი დასავლეთ ევროპაში მათი ჩაყვანა იყო. ამ საეჭვო მოგზაურობის „ბილეთები“ ბანგლადეშელებს 6-დან 13 ათასამდე ევრო დაუჯდათ. ცნობილია ისიც, რომ უკანონო გადაყვანის ორ ორგანიზატორს უნგრეთის პასპორტებიც ჰქონდათ. სასამართლომ უკრაინის მოქალაქეები სამი თვით დააპატიმრა საზღვრის უკანონოდ გადალახვის ბრალდებით. ბანგლადეშელები ლტოლვილთა სპეციალურ მიმღებში მოათავსეს.

## BaltNews.lt: ლიტვაში მონებით მოვაჭრეთა კიდევ ერთი ბანდა გაუვნებლეს

**კლაიპედის პოლიციამ დაასრულა გამოძიება სამი პირის საქმეზე, რომლებსაც ბრალად წაუყენეს ადამიანებით ვაჭრობა და უცხოეთში დანაშაულებრივ საქმიანობაში მათი იძულებითი ჩაბმა.**



პოლიციის პრესსამსახურში განაცხადეს, რომ 2014 წლის გაზაფხულზე სამმა ეჭვმიტანილმა გამოიყენა დაზარალებულთა უიმედო მდგომარეობა, უსასოობა, უმუშევრობა, არსებობის ლეგალური წყაროს უქონლობა და შესთავაზა მათ საზღვარგარეთ მშენებლობაზე სამუშაოდ მოწყობა მაღალი ანაზღაურებით. დაზარალებულები გადაიყვანეს საფრანგეთში, სადაც ძალადობითა და მუქარით აიძულებდნენ მაღაზიებიდან ტანსაცმლის, სუნამოს, საკვები პროდუქტების, ალკოჰოლური სასმელებისა და სხვა საქონლის მოპარვას.

ეჭვმიტანილთაგან ერთ-ერთს, დრუსკინინკაის მცხოვრებს, 1984 წელს უკვე მისჯილი ჰქონდა ექვს-ნახევარი წლით პატიმრობა; მეორეს მიმართ გამოძიება შეწყვეტილია საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის გამო; მესამე თანამონაწილე, რომელიც 1991 წელს არის დაბადებული, 2015 წლიდან იმალებოდა, მაგრამ ამას წინათ დიდ ბრიტანეთში დააკავეს და ლიტვას გადასცეს. გამოძიება ჩაატარეს ლიტვის საელჩომ საფრანგეთში და ქვეყნის შინაგან საქმეთა საკონსულო განყოფილებამ. ლიტვის კანონმდებლობით, ადამიანებით ვაჭრობა 2-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

უფრო ადრე ლიტვის მესაზღვრეებმა, უცხოელ კოლეგებთან ერთად, გამოააშკარავეს ადამიანებით ვაჭრობის საერთაშორისო ქსელი, რომლის წევრები აპირებდნენ დიდ ბრიტანეთში უკრაინელების ჩაყვანას იძულებით შრომაში ჩაბმის მიზნით. ამ ოპერაციის დროს სამი ლიტველი და ერთი უკრაინელი დააკავეს. სწორედ უკრაინელი იყო ამ უკანონო ბიზნესის ორგანიზატორი, ლიტვის მოქალაქეები კი მას ეხმარებოდნენ. მოტყუებული ადამიანები მათ გადაჰყავდათ უცხოეთში. ჩხრეკის ჩატარებისას მესაზღვრეებმა აღმოაჩინეს რვა „არალეგალი“ უკრაინიდან, რომლებიც დანაშაულებრივი საქმიანობისთვის იყვნენ განწირულნი.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894